

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

სოსლან სურმანიძე

ილია ჭავჭავაძე ქართულ კრიტიკასა და
ლიტერატურათმცოდნეობაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ლევან ბებურიშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი

თბილისი

2020

სარჩევი

ანოტაცია

(ქართულად).....3

ანოტაცია (ინგლისურად).....5

შესავალი.....7

თავი I. ილია ჭავჭავაძის ლირიკა XIX საუკუნის

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.....11

თავი II. ილია ჭავჭავაძის პოეტური ეპოსი XIX საუკუნის

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.....54

2.1. „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი

ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „ქართვლის დედა“54

2.2. „მეფე დიმიტრი თავდადებული“55

2.3. „განდეგილი“66

თავი III. ილია ჭავჭავაძის პროზა XIX საუკუნის

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.....81

3.1. „მგზავრის

წერილები“81

3.2. „გლახის

ნაამბობი“84

3.3. „კაცია-ადამიანი?!“92

3.4. „სარჩობელაზედ“103

3.5. „ოთარაანთ ქვრივი“105

3.6. დაუმთავრებელი მოთხრობა „უცნაური ამბავი“127

თავი IV. ილიას „სამი ღვთაებრივი საუნჯე“

და პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურათმცოდნეობა.....	133
დასკვნა.....	147
დამოწმებული ლიტერატურა.....	154

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების რეცეფცია XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, აგრეთვე ილიას მსოფლმხედველობის ერთი ასპექტის გააზრება პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

ნაშრომში თავმოყრილი და განხილულია ილიას პოეტურ და პროზაულ თხზულებათა ირგვლივ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, რეცენზიები, კრიტიკული წერილები და წიგნაკები. წარმოჩენილია ილია ჭავჭავაძის ფენომენისადმი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების მიმართების ისტორია. გამოკვეთილია ის მთავარი, ძირითადი აქცენტები, რომლებმაც თავი იჩინა ილიას შემოქმედების შესახებ XIX საუკუნეში შექმნილ კრიტიკულ ლიტერატურაში.

სადისერტაციო ნაშრომში ილიასმცოდნეობის განვითარების თანამედროვე გადმოსახედიდანაა შეფასებული ილიას თანამედროვე ქართველ კრიტიკოსთა დაკვირვებების მნიშვნელობა მწერლის შემოქმედების ცალკეულ მხარეთა შესწავლისათვის. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით აგრეთვე წარმოჩენილია მეცხრამეტე საუკუნის ქართული კრიტიკის ზოგადი თავისებურებები, ტენდენციები, კრიტიკოსთა განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ილიას ლირიკული პოეზიის რეცეფცია მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, გაანალიზებული და შეფასებულია ილიას ლირიკის პრობლემატიკისა და მხატვრული მხარის ირგვლივ პოეტის თანამედროვე კრიტიკოსთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ნაჩვენებია

ილიას ლირიკული პოეზიის შესახებ გავრცელებული მოსაზრებების ევოლუციური ხასიათი.

ნაშრომის მეორე თავი ილიას პოეტური ეპოსის შესახებ გამოქვეყნებული კრიტიკული ლიტერატურის მიმოხილვასა და შეფასებას ეძღვნება. ნაჩვენებია, თუ როგორ მიიღო ლიტერატურულმა კრიტიკამ თავის დროზე ილიას „აჩრდილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და განსაკუთრებით - პოემა „განდეგილი“, რომლის ირგვლივაც არც სადღეისოდ ცხრება დისკუსია.

მესამე თავში გაანალიზებულია ილიას პროზაულ თხზულებათა რეცეფცია მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში. განხილულია „მგზავრის წერილების“, „კაცია-ადამიანის“, „სარჩობელაზედ“, „გლახის ნამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ ირგვლივ გამოქვეყნებული კრიტიკული ლიტერატურა.

მეოთხე თავში განხილულია ილიასეული ფორმულის – „მამული ენა, სარწმუნოება“ – გააზრების თავისებურებები პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

დასკვნაში შეჯამებულია სადისერტაციო ნაშრომის მთავარი დებულებები და კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები.

Annotation

This thesis examines reception of Ilia Chavchavadze's works in the XIX c. Georgian literary criticism.

Ilia Chavchavadze's works immediately attracted the attention of Georgian critics. Different, in some cases diametrically opposite opinions were expressed about the novels by Ilia Chavchavadze in the XIX c. Georgian literary criticism. Artistic values of Ilia Chavchavadze's lyrics, poetic epos and prose were evaluated in various ways by critics.

This paper assembles and discusses materials, reviews, critical letters and notebooks of Ilia's poetry and prose published in the periodic press. presents the history of Georgian literary-social attitude toward the phenomenon of Ilia Chavchavadze. highlights main and basic accents about Ilia's works emerged in the XIX c. Georgian critical literature.

For the purpose of studying certain sides of the writer's works, this paper evaluates the importance of views by the critics of that time from the contemporary perspective of the development of literature studies. Based on the mentioned materials, this paper also presents general peculiarities and tendencies of the XIX c. Georgian literary criticism, different methodological approaches by critics.

The 1st chapter of the thesis discusses the reception of Ilia's lyrical poetry in Georgian literary criticism of the XIX century, analyses and evaluates statements about the problematics and artistic sides of his lyrics expressed by the critics of that time. It also presents the evolutionary character of common opinions about Ilia's lyrical poetry.

The 2nd chapter of the thesis overviews and evaluates some published critical literature about Ilia's poetic epos. It is presented, how literary criticism received the following works by Ilia: "*The Ghost*", "*The King Demetrius the Devoted*", "*Several Episodes from the Life of Kako the Robber*" and especially the poem "*The Hermit*", which is a subject of discussions till today.

The 3rd chapter analyses the reception of Ilia's prose in the XIX c. Georgian Literary Criticism. It overviews the critical literature published about "*The Letters of a Traveler* ", "*Is a Man a Human?!*", "*On The Gallows*", "*The Story of a Beggar*", "*Otaraant Widow*" and "*A Strange Story*".

The conclusion summarizes main statements of the thesis and basic outcomes of the research.

შესავალი

ქართული ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე მუდმივად იდგა ამოცანა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ უფრო სრულყოფილი წარმოდგენის შემუშავებისა. სადღეისოდ ამ მიზნის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ათწლეულების განმავლობაში ჩვენს სინამდვილეში ფილოლოგიის სფერო მეტად იდეოლოგიზებული იყო და ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში (მათ შორის ილიასმცოდნეობაში) ინერციით დღემდე დამკვიდრებულია მრავალი არასწორი და სადავო დებულება. პოსტსაბჭოთა ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევა ახალ საფეხურზე ავიდა; ილიასმცოდნეობა დამოუკიდებელ ქართველოლოგიურ დისციპლინად ჩამოყალიბდა (1990 წელს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა ილიას კაბინეტი, ხელმძღვანელი – პროფ. ლადო მინაშვილი. 2007 წლიდან კი ფუნქციონირებს „ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი“ (ხელმძღვანელი – პროფ. ნინო მამარდაშვილი), რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა და გამოსაცემად მოამზადა „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია 1837–1907“).

სადღეისოდ ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერების ამ დისციპლინის ერთ-ერთ ამოცანად გვევლინება მთლიანი წარმოდგენის შემუშავება დარგის ისტორიაზე, იმის ნათელყოფა, თუ როგორი იყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედების რეცეფცია მწერლის

თანამედროვე და მოგვიანო ხანის ლიტერატურულ კრიტიკაში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები უკვე შესრულებულია. 1957-58 წლებში ორ ტომად გამოიცა ქრესტომათიული კრებული „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“ (შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ი. ბოცვაძემ), რომელშიც თავმოყრილია ილიას შემოქმედების ირგვლივ გამოქვეყნებული მასალები 1917 წლამდე. ქრესტომათიის პირველ ტომს ერთვის იოსებ ბოცვაძის ვრცელი ნარკვევი, რომელიც 1977 წელს ცაკლე წიგნადაც გამოიცა (ბოცვაძე 1977).

ილიას შემოქმედებისადმი მწერლის თანამედროვე ქართული კრიტიკის მიმართების საკითხს შეეხო ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა ცალკეული შრომები (იხ. მაგ., ვახანია 1951, ზანდუკელი 1965, ჭუმბურიძე 1966, ჭუმბურიძე 1987, მინაშვილი 1995, კალანდია 1998, სიჭინავა 2000, აბაშიძე 2005, არახამია 2005, მემანიშვილი 2009 და სხვ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მრავალი საკითხი საჭიროებს გარკვევას და საგანგებო დამუშავებას. აღსანიშნავია ისიც, რომ იოსებ ბოცვაძის ორტომიანი ქრესტომათიის გამოქვეყნების შემდეგ გამოვლინდა არაერთი ახალი მასალა, ი. ბოცვაძის მონოგრაფიული გამოკვლევა კი, შეიძლება ითქვას, ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის სტანდარტებს იდეოლოგიური წანამდვრებიდან გამომდინარე.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, არსებობს აუცილებლობა ისეთი ნაშრომის შექმნისა, რომელშიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ გამოქვეყნებული მასალების ანალიზის საფუძველზე, წარმოჩენილი იქნება ილიას ფენომენისადმი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების მიმართების ისტორია, ილიასმცოდნეობის ძირითადი ტენდენციები, თითოეული კრიტიკოსის წვლილი ილიას შემოქმედების ცალკეულ მხარეთა შესწავლის საქმეში.

აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესწავლა, ცხადია, აღემატება ერთი ადამიანის შესაძლებლობებს და მოითხოვს მკვლევართა გუნდის მრავალწლიან შრომას. ჩვენი ამოცანა ცხადია, ვერ იქნება ყველა იმ მასალის დამუშავება, რაც კი

დღემდე ილიას შემოქმედების შესახებ შექმნილა. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანი უფრო კონკრეტული ხასიათისაა. ნაშრომში მიზნად ვისახავთ, რომ შევისწავლოთ ილია ჭავჭავაძის ლირიკული პოეზიის, პოეტური ეპოსისა და პროზის რეცეფცია მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, აგრეთვე ილიას შემოქმედების ერთი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტის გააზრება პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

კვლევისას გავითვალისწინეთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ მეცხრამეტე საუკუნეში შექმნილი არა ყველა გამოხმაურება (რეცენზია, ბიბლიოგრაფიული წერილი და ა. შ.), არამედ მხოლოდ ის ნაშრომები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ილიასმცოდნეობის ისტორიისათვის.

ნაშრომის აქტუალობა, როგორც აღინიშნა, იმითაა განსაზღვრული, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ისეთი გამოკვლევა, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა ილია ჭავჭავაძისადმი ქართული კრიტიკის მიმართების ევოლუციური ხასიათი ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების თანამედროვე გადმოსახედიდან. ამასთანავე, ამ ტიპის გამოკვლევას, ვფიქრობთ, ღირებულებას მატებს ის გარემოებაც, რომ როგორც სათანადო თეორიულ ლიტერატურაშია შენიშნული, მწერლის თანამედროვეთა კრიტიკული შეფასებების გათვალისწინება გვებმარება მისი შემოქმედების უფრო ღრმად გააზრებაში, რადგან თანამედროვეთათვის ზოგჯერ ბევრად უფრო გასაგებია ტექსტის ის ნიუანსები და ქვეტექსტები, რაც შემდგომი თაობების მკითხველისათვის ხშირად მიუწვდომელი რჩება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მასში კომპლექსურადაა შესწავლილი და გადააზრებული ილია ჭავჭავაძის შემოქმედების რეცეფცია მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, აგრეთვე ილიას შემოქმედების ერთი ასპექტის გააზრება პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. გამოკვეთილია ის მთავარი, ძირითადი აქცენტები, რომლებმაც თავი იჩინა ილიას შემოქმედების შესახებ XIX საუკუნეში შექმნილ კრიტიკულ ლიტერატურაში. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით აგრეთვე

წარმოჩენილია მეცხრამეტე საუკუნის ქართული კრიტიკის ზოგადი თავისებურებები, ტენდენციები, კრიტიკოსთა განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები. ილიასმცოდნეობის განვითარების თანამედროვე გადმოსახედიდანაა შეფასებული ცალკეულ კრიტიკოსთა შეხედულებების დადებითი და უარყოფითი მხარეები, განმაპირობებელი მიზეზები და მათი მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევის შემდგომი განვითარებისათვის.

ნაშრომი შესრულებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობით მიდგომის საფუძველზე. კვლევისას ვეყრდნობოდით ისტორიზმის, კომპარატივისტულ მეთოდებს და რეცეფციული ესთეტიკის თეორიულ გამოცდილებას.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება განსაზღვრულია იმით, რომ იგი დახმარებას გაუწევს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს, დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ცალკე კურსად იკითხება ილიასმცოდნეობა. ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ერთ-ერთი დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 159 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ილიას ლირიკული პოეზიის რეცეფცია მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, გაანალიზებული და შეფასებულია ილიას ლირიკის პრობლემატიკისა და მხატვრული მხარის ირგვლივ პოეტის თანამედროვე კრიტიკოსთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ნაჩვენებია ილიას ლირიკული პოეზიის შესახებ გავრცელებული მოსაზრებების ევოლუციური ხასიათი.

ნაშრომის მეორე თავი ილიას პოეტური ეპოსის შესახებ გამოქვეყნებული კრიტიკული ლიტერატურის მიმოხილვასა და შეფასებას ეძღვნება. ნაჩვენებია, თუ როგორ მიიღო ლიტერატურულმა კრიტიკამ თავის დროზე ილიას „აჩრდილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და განსაკუთრებით – პოემა „განდეგილი“, რომლის ირგვლივაც არც სადღეისოდ ცხრება დისკუსია.

მესამე თავში გაანალიზებულია ილიას პროზაულ თხზულებათა რეცეფცია მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში. განხილულია „მგზავრის წერილების“, „კაცია-ადამიანის“, „სარჩობელაზედ“, „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ ირგვლივ გამოქვეყნებული კრიტიკული ლიტერატურა.

მეოთხე თავში განხილულია ილიასეული ფორმულის – „მამული ენა, სარწმუნოება“ – გააზრების თავისებურებები პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

დასკვნაში შეჯამებულია სადისერტაციო ნაშრომის მთავარი დებულებები და კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები.

თავი I

ილია ჭავჭავაძის ლირიკა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

ილია ჭავჭავაძის ლირიკა ერთი ნაწილია ავტორის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობისა. ქართველი მკითხველის წინაშე ილია თავდაპირველად ლირიკოსი პოეტის როლში წარდგა. სწორედ ლირიკა აღმოჩნდა ის ჟანრი, რომლითაც ჭაბუკმა ილიამ საჭიროდ ჩათვალა თავისი ნაფიქრ-ნაგრძნობის გაზიარება მკითხველისათვის. როგორც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ლადო მინაშვილი მიუთითებს, „ილიამ თავისი მწერლური მოღვაწეობა ლირიკით დაიწყო, ხოლო შემდეგ და შემდეგ საკუთარ გრძნობათა დახასიათებას თანდათან შეენაცვლა იმ ვითარების, იმ მოტივთა ფართოდ განსახიერება და გაშლა, რაც მისი გრძნობების ხასიათს განსაზღვრავდა. ამან კი ვრცელი ეპიკური ჟანრები მოითხოვა, ხოლო ასაკში შესულ მწერალთან მხატვრული წარმოსახვა თანდათან მკვლევრისა და პუბლიცისტის მგზნებარე გულმა და არგუმენტირებულმა მსჯელობამ შეცვალა“ (მინაშვილი 1995: 90).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში იმთავითვე აღინიშნა ილია ჭავჭავაძის პროზის განუმეორებელი მხატვრული ძალა, ილიას, როგორც პროზაიკოსის ოსტატობა და ამ ფონზე ერთგვარად თითქოს დაიჩრდილა მისი ლირიკა. კრიტიკოსები ხშირად მიმართავდნენ ილიას პროზისა და პოეზიის შეპირისპირებას და აღნიშნავდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსებს აკლდა ჭეშმარიტი ლირიკულობა. ეს თვალსაზრისი დღემდე სიცოცხლისუნარიანია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ამიტომაც საინტერესოა იმის ნათელყოფა, თუ როგორი იყო ამ შეხედულების გენეზისი.

ილიას ლირიკულ პოეზიაზე საუბრისას ხშირად ივიწყებენ ხოლმე იმ გარემოებას, რომ პოეტის თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში ამ მოსაზრების საწინააღმდეგო შეხედულებაც იყო გამოთქმული. ამიტომაც მიზნად ვისახავთ ნათელვყოთ, თუ როგორ ვითარდებოდა აზრი ილიას პოეზიის თავისებურებათა შესახებ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

ილია ჭავჭავაძის პირველი ლექსი „ჩიტი“ 1857 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. ამას მოჰყვა ილიას სხვა ლექსებისა და თარგმანების გამოქვეყნებაც.

ილია ჭავჭავაძის ლირიკის პირველ შემფასებლად გვევლინება 50-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი კრიტიკოსი **ნიკოლოზ ბერძნიშვილი**. 1857 წელს მან გაზეთ „Кавказ“-ში გამოაქვეყნა წერილი „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა განახლებულ ჟურნალ „ცისკრის“ პირველი ნომრის შეფასებას. ნ. ბერძნიშვილი იმთავითვე აღნიშნავდა, რომ მისი მიზანი იყო არა „ცისკრის“ ლიტერატურული პროდუქციის დაწვრილებითი ანალიზი, არამედ მხოლოდ ზოგადი მიმოხილვა. სხვა მასალების გვერდით კრიტიკოსის ყურადღების ცენტრში მოექცა ახალგაზრდა ავტორის – ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩიტი“, რომელიც ნ. ბერძნიშვილმა შეაფასა, როგორც ბუნების მშვენიერი აღწერითა და პოეტური სიმსუბუქით აღბეჭდილი ნაწარმოები: „უკანასკნელი ლექსი მოგვეწონა, განსაკუთრებით, ბუნების უმწიკვლო სიწმინდის აღწერით, სიმსუბუქისა და გამოთქმის ხმოვანების გამო“ (ბერძნიშვილი 1857: 67). კრიტიკოსის ეს სიტყვები

პირველი ბეჭდური გამოხმაურება გახლავთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე ჩვენს სინამდვილეში.

ამის შემდეგ, ოთხი წლის განმავლობაში, ილიას შემოქმედება აღარ მოქცეულა ქართველ კრიტიკოსთა მხედველობის არეში, ვიდრე არ გამოქვეყნდა ილიას ცნობილი წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან „შეშლილის“ თარგმნაზედა“ (ჟურნალი „ცისკარი“, 1861, 4), რომელმაც საყოველთაო ვნებათაღელვა გამოიწვია და დიდ ლიტერატურულ პოლემიკას მისცა დასაბამი.

წერილის ირგვლივ გამართულ კამათში ჩნდება ილიას პოეზიის პირველი კრიტიკული შეფასებებიც. მართალია, ეს მოსაზრებები პოლემიკური იერიითაა შეფერილი და რიგ შემთხვევებში კრიტიკოსები სუბიექტური მოტივებით ხელმძღვანელობენ, მაგრამ მათი გათვალისწინება მაინც აუცილებელია ილიასმცოდნეობის ისტორიისათვის, რამდენადაც უკვე ამ პოლემიკის ფარგლებშივე გამოკვეთა ის შეხედულება ილიას ლირიკული პოეზიის ბუნების შესახებ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო გაბატონებული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.

1861 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მაისის ნომერში გამოქვეყნდა **ბარბარე ჯორჯაძის** სტატია „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედა“, რომელშიც ავტორი, გარდა ილიას წერილში წამოჭრილი, მისთვის სადავო ზოგადთეორიული მოსაზრებებისა, შეეხო ილიას ლირიკულ პოეზიასაც.

ბარბარე ჯორჯაძემ აღნიშნა, რომ ილიას ლექსები არ იყო თავისუფალი იმ ნაკლოვანებისაგან, რაზეც ახალგაზრდა ილია რევაზ ერისთავს საყვედურობდა. ილია ჭავჭავაძის პოეზიის ერთ-ერთ ასეთ მხატვრულ ნაკლად ბარბარე ჯორჯაძეს მიაჩნია რითმის გამო სიტყვის დამახინჯება. თავის მოსაზრების დასასაბუთებლად ბარბარე ჯორჯაძეს მოჰყავს ილიას ტაეპები ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსიდან: „მისი ლექსი სუბუქ ფრთათა ხან მეჯლისში მოფრინდება“ და აღნიშნავს, რომ სიტყვათშეთანხმების კანონები მოითხოვდა ამ სინტაგმის დაწერას შემდეგი სახით: „სუბუქის ფრთითა“, მაგრამ „სუბუქის ფრთებით რომ დაეწერა, მარცვული

მეტი მოუვიდოდა და, ლექსად აღარ გამოუვიდოდა“ (ჯორჯაძე 1861: 180), ამიტომაც რითმას შეეწირა სიტყვის მართლწერა. ასეთსავე გრამატიკული ნორმების დარღვევას ვხვდებით, ჯორჯაძის თქმით, ილიას სიტყვებში: „ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენ გიჟმა რა იცოდა...“, სადაც ნაცვალსახელს აკლია მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი.

ბარბარე ჯორჯაძე მიუთითებს სხვა სტილისტურ ხარვეზებსა და აზრობრივ შეუსაბამოებზეც. „გაზაფხულის“ ცნობილ ტაეპებს: „ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც სჭყვის“ – კრიტიკოსი ასეთ კომენტარს ურთავს: „თქუწნი რისხვა მქონდეს, თუ თავის დღეში გამეგონოს მერცხალი ჭყვისო, ღორზედ კი გამიგონია უთქომთ, ღორი ჭყვისო“ (ჯორჯაძე 1861: 180). მისთვის ასევე გაუგებარია, თუ რატომ უნდა იყოს ბაღში ობლად დარჩენილი ვაზი, „რომელსაცა რამდენიმე ასი და ათასი სხუა ვაზები ახვევიან“.

ბარბარე ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ არ აქვს გამართლება ილია ჭავჭავაძის მიერ უცხო სიტყვების გამოყენებასაც, რადგან ჩვეულებრივი მკითხველისათვის სრულიად გაუგებარია მათი შინაარსი: „მერმეთ ვსთხოვთ შეასმინოს ჩემს გაუნათლებელს გონებას, მაგ განათლებულმა პატივცემულმა სტუდენტმა, რა მნიშვნელობა აქუს ამ ლექსებს: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამმატიზმი და სხუანი. ხომ იცის, რომ ჩუჟენ ცისკრის მკითხულები, უფრო მეტნი ეგულვებიან სოფლებში, სადაც ესტეტიკური, იქნებ საჭმელათაც მივიდოთ“ (ჯორჯაძე 1861: 181).

შემდეგი კრიტიკოსი, რომელმაც განსჯის საგნად აქცევს ილიას ლირიკას, არის **გიორგი ბარათაშვილი**¹. იგი ძირითადად ზოგადი, ირონიული ხასიათის შენიშვნებით იფარგლება. მაგალითად, კრიტიკოსი ვერ სწვდება ილიას სიტყვების – „მამული საყვარელო, შენ როდის აყვავდები?“ – გადატანით მნიშვნელობას. იგი წერს: „გაზაფხულში“ პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის აღყვავებას. ნეტავ დაანახვა ეხლა, საქართუფლო როგორ მწვანე ხავერდით ბიბინებს!“ (ბარათაშვილი 1861: 191).

¹ ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, გიორგი ბარათაშვილი არის ფსევდონიმი ცნობილი მწერლის, „ცისკრის“ თანამშრომლის - ლავრენტი არდაზიანისა.

გ. ბარათაშვილი პირველი იყო მათგან, რომელმაც საგანგებოდ მიუთითა ილიას ლექსის **არამუსიკალობაზე, არაკეთილხმოვანებაზე**. კრიტიკოსმა ეს ასეთი სახუმარო გადახვევით განახორციელა: „გავაღე განიჯნა. უჰ! რა საზარელი ნოტიო სუნი მეცა! მაგრამ შევძელ როგორც იყო და ამოვალაგე დაობებული ცისკრები. მრავალი მათგანი იყო შეჭმული თაგუჭბისაგან და აჟ საკვრველება! შემდეგ სამის დღისა, რომელიც მოუნდა ცისკრების გაშრობას, ვნახე რომ არც თუ ერთი ლექსი უფ. ილია ჭავჭავაძისა არ იყო თაგუჭბისაგან კბილ ნახლები... დიდად გავკვირდი ესრეთის სანახაობით. მაშინ ვიფიქრე: თაგვები მუზიკის დიდი პატივისმცემელნი არიან და, ეტყობა, რომ უფ. ჭავჭავაძის ლექსები უნდა იყვნენ, უეჭველია, სხუადასხუა ღირსებითა გარდა, დიდი კეთილ ხმოვანნი“ (ბარათაშვილი 1861: 196).

კრიტიკოსი ეხება ილია ჭავჭავაძის ნ. ბერძენიშვილისაგან მოწონებულ ლექსს „ჩიტი“ და აღნიშნავს, რომ, მართალია, იგი გარეგნულად თითქოს გამართულია, მაგრამ შინაგანად ნაკლოვანი. თუ რა მხატვრული ზადი აქვს მხედველობაში, კრიტიკოსი ამას აღარ აკონკრეტებს.

გ. ბარათაშვილი ეხება ილიას თარგმანებსაც, კერძოდ ლექსს „ცრემლთა შინა ნუგეში (შილლერით)“:

„მოღელვენ ზვირთნი, მოქუხს მდინარე,
ტყე ყრუთ ხმაურობს, ორ მხრივ მდგომარე,
გადახრილ წყლისკენ ზის ნაზი ქალი.
უფრო ღელდება მდინარის წყალი,
უფრო სიშფოთით ზვირთი ზვავდება.
უნებურ ცრემლნი ქალის არ მალვით
ორ ნაკადულთა თვალთა იღვრება
და მის სიმღერა მოდის წყალსავით“.

კრიტიკოსის დასკვნით, ლექსში გამოყენებული ინვერსიული წყობა მის შინაარსს აბუნდოვანებს და აზრობრივ შეუსაბამოებს აჩენს. იგი წერს: „არ გამიგონია და ვერც წარმომიდგენია, როგორი უნდა იყოს „გადახრილი წყალი“, ან ეს „უნებური ცრემლნი ქალის არ მალვით“. თუ, ქალის არ მალვით იყო“ ცრემლი, მაშინ „უნებური“ რაღა იქმნებოდა?! - „ორ ნაკადულთა თვალთი იღვრება“. ნუ თუ ნაკადულს თვალები აქუს და ისიც ორ ნაკადულს ერთი თვალი?!“ (ბარათაშვილი 1861: 196).

გ. ბარათაშვილი მიუთითებს, რომ პოეტური ნაწარმოების ერთი უმთავრესი და აუცილებელი ელემენტია კეთილხმოვანება, რომელსაც მთლიანად მოკლებულია ილია ჭავჭავაძის ლირიკული ლექსები: „პოეტიკური თხზულება უნდა იყოს კეთილხმოვანი, რათა არა სტანჯავდნენ სმენას თავისის გაუთლელის ჯაყჯაყით და არც ისე დამბლათ მიათრევდნენ ფეხებს, როგორითაცა უფ. ჭავჭ. ლექსები“ (ბარათაშვილი 1861: 197).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კრიტიკოსი, საუბრობს რა ილიას ლექსთა გუმართაობაზე, მათ უპირისპირებს აკაკი წერეთლის ლექსებს, რომელიც გ. ბარათაშვილს მოხდენილი პოეტური თქმის ნიმუშებად მიაჩნია: „თუ არ გჯერათ, რომ თვთქმის, სულ ასე აქუს ნაწერი უფ. ჭავჭავაძეს თავისი ლექსები, გადაიკითხეთ მისი თხზულებები და მაშინ, თუ იპოვით ერთს მარდს ქართულს ლექსს, როგორსაც შევხვდებით მეტადრე უფ. აკ. წერეთელის თხზულებებში, ბოდიშს ვიხდი“. უფრო მეტიც, გ. ბარათაშვილი ცდილობს ილიასა და აკაკის პოეზიიდან კონკრეტული მაგალითების მოხმობით აჩვენოს მკითხველს აკაკის პოეტური ტალანტის სიძლიერე:

აკაკი:

ქურდულათ პირდაპირ ფანჯერს
მოადგება, ავლებს თვალებს,
ავლებს, გული მაღლა უძგერს,
მკერდს პერანგი დაჰფართხალებს.

ილია:

ერთხელ მეც, ძმანო, მეც მყვარებია,
გული წმინდ ალით მეც ამნთებია!..
რა მას უყვარდი და მეც მიყვარდა,
ცხოვრება ჩუწნი ბევრს კარგს გვიქადდა!

გ. ბარათაშვილის თქმით, აკაკის პოეზია „გულის გამღებია“, ილიას ლექსები კი „რაზარუხია“. კრიტიკოსის დასკვნა კატეგორიულია: „უფ. ჭავჭავ. ლექსები არიან უგარმონიო, უფერული, უნდილი და ისეთი მძიმე, რომ ვერა თაგვის მუცელი ვერ მოინელებდა და აჲ ეს იყო მიზეზი, რომ მისი ლექსები იყვნენ კბილ უხლებელი“ (ბარათაშვილი 1861: 195).

კრიტიკოსი კიდევ ერთ მძიმე ბრალს უყენებს ილიას პოეზიას, მისი თქმით, ილიას ლექსები არ არის ამოზრდილი ქართული პოეზიის ბუნებიდან: „ უფ. ჭავჭავ. ლექსებში არ არის რა ქართული, გარდა სიტყვებისა (ისიც სუყველანი არა)“ (ბარათაშვილი 1861: 197). გაურკვეველია, რა უნდა ჰქონდეს მხედველობაში კრიტიკოსს, როდესაც აღნიშნავს, რომ მისი პოეზია ეწინააღმდეგება ქართული ლექსის ბუნებას. საფიქრებელია, რომ ქართული პოეზიის ბუნებად იგი კეთილხმოვანებას მიიჩნევს, რასაც ისაკლისებს ილიას ლირიკაში.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პატრიოტული პათოსიც რატომღაც ხუმრობის ხასიათზე აყენებს გ. ბარათაშვილს: „ერთს სწეულებას ვპოულობთ მის ლექსებში, ეს გახლავსთ – მარადი კვნესა და გულმტკივნეულობა მამულისათვის“ (ბარათაშვილი 1861: 188). ილიას გადაჭარბებულ პატრიოტულ პათეტიკას, კრიტიკოსის თქმით, ის მიზანი აქვს, რომ ამით დაფაროს თავისი ლექსების ფორმრივი სიღარიბე და მოუქნელობა: „კვნესით ბევრს აუხვევს თვალებს და მით დაჰფარავს ლექსების ნაკლულოვნებას“ (ბარათაშვილი 1861: 191).

ბარბარე ჯორჯაძისა და გიორგი ბარათაშვილის წერილები, რა თქმა უნდა, ილიას ლირიკის ობიექტური შეფასების ნიმუშებად ვერ ჩაითვლება, რადგან კრიტიკოსები წინდაწინ შემუშავებული თვალსაზრისით მიდიან ლიტერატურულ ტექსტებთან. გ. ბარათაშვილის სტატია საყურადღებოა იმ კუთხით, რომ სწორედ აქ ჩნდება თავდაპირველად ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეტურ ბუნებათა შეპირისპირების მცდელობა, რასაც მოგვიანებით არაერთი მკვლევარი მიმართავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თავისი უღმრთესი კრიტიკოსების გ. ბარათაშვილისა და ბ. ჯორჯაძის ზოგიერთი შენიშვნა ახალგაზრდა ილიამ გაიზიარა. მაგალითად, ლექსში „მწუხარება“, რომელიც „ცისკრის“ 1860 წლის მე-9 ნომერში დაიბეჭდა ვხვდებით ასეთ სტრიქონებს: „და მე კი მკლავდა მწუხარების ისართ ტკივილი“. გ. ბარათაშვილი ირონიულად მიუთითებდა გაუმართავ, შინაგანად წინააღმდეგობრივ ფრაზაზე: „ისართ ტკივილი“. იგი ასევე იწუნებდა „ელეგიის“ უკანასკნელ ტაეპს „როსღა გვექნება ჩვენ გაღვიძება“ და აღნიშნავდა, რომ აზრობრივად გამართული იქნებოდა: „როსღა გვეღვიძოს ჩვენ გაღვიძება“. ილიამ მართლაც ამგვარად ჩაასწორა „ელეგიის“ ბოლო ტაეპი, „მწუხარების“ შესაბამისი სტრიქონი კი ასე შეცვალა: „და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა ტკივილი“. ილიამ გაითვალისწინა ბარბარე ჯორჯაძის შენიშვნაც. როგორც აღინიშნა, მწერალმა ქალმა პოეტს დაუწუნა ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსის პირველი ტაეპი: „მისი ლექსი სუბუქ ფრთითა“. შესიტყვება „სუბუქ ფრთითა“ მან გაუმართავად ჩათვალა. აგრეთვე უხერხულად მიიჩნია გამოთქმა „ხან დაჰყურებს ღრუბლიანი“. მართალია, ილიამ ამ შენიშვნებზე პასუხი გასცა ბარბარე ჯორჯაძეს, მაგრამ მაინც შეცვალა აღნიშნული ტაეპები შემდეგნაირად: 1) „მისი ლექსი შვებით, ლხენით... 2) ხან დაჰყურებს ნადვლიანი...“ (იხ. მემანიშვილი 2009: 47).

როგორც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მკვლევარი ხათუნა მემანიშვილი მიუთითებს: „ეს ფაქტებიც ადასტურებს, რომ ილიას არ ეთაკილებოდა სხვისი რჩევის, შენიშვნის მიღება... ილია შენიშვნას იღებდა არამხოლოდ კეთილის მოსურნეთაგან, არამედ პოლემიკაში ჩართულიც კი, მოკამათისაგან, თუ ანგარიშგასაწევად ჩათვლიდა ოპონენტის რომელიმე შესწორებას“ (იხ. მემანიშვილი 2009: 47).

ილიას ლირიკაზე შემდეგ გამოხმაურებას ვხვდებით ანტონ ფურცელაძის 1863 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ქართული ლიტერატურა – „საქართველოს მოამბე“, 1863 წლის იანვრისა და თებერვლის

წიგნები“, რომელიც მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის ახლად დაარსებული ჟურნალის ლიტერატურული მასალების მიმოხილვას.

სტატიაში ანტონ ფურცელაძე შეეხო ილიას ლირიკულ პოეზიასაც. მან მაღალი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძის ლექსს „მუშა“ და იგი ავტორის „შედეგრად“ გამოაცხადა. ანტონ ფურცელაძემ ლექსის ღირსებად ჩათვალა გარკვეული თემატური სიახლის შემოტანა ჩვენს ლიტერატურაში. მისი თქმით, პოეტმა ამ ნაწარმოებით მოახერხა მკითხველისათვის თვალსაჩინოდ დაენახებინა უბრალო ადამიანის აუტანელი ყოფა თანამედროვე უსამართლო სოციალურ სისტემაში და აღედგინა მის სულში თანაგრძნობის ფაქიზი განცდა: „პოეტი ხუდოჟნიკი ამ საგანზედ... ისე წარმოდგენს თავის შეგუბებულს გესლს და შემაგრებულს მწუხარებასა, ისე გამოგისახავთ და თვალთ დაგანახვებთ ამის მდგომარეობასა. შეგიყვანთ ამათ გულში და როგორც თქუფნს თითს, ისე დაგანახვებთ ამათ კაცობრივის გულის ფეთქვას, კაცობრივს გრძნობას, რომელიც კაცსავე უსამართლობით, ძალმომრეობით, საზოგადოების სიბრძნით და დაუნახებლობით აქუთ იმათ შემაგრებული უწყალო ტოლვაში... ამას ყველას ისე დაგანახვებთ, რომ გულგახევებულ კაცსა შეურყევს უწყალებასა და აგრძნობინებს ამათს დაჩაგვრას და უსამართლობას“ (ფურცელაძე 1863ა: 304).

ანტონ ფურცელაძემ ყურადღება მიაქცია ლექსის დახვეწილ ლირიკულ სიუჟეტსა და სურათოვანებას. განსაკუთრებით სულისშემძვრელია, კრიტიკოსის აზრით, ბატონის დამოკიდებულება მუშისადმი, რაც მკითხველის საოცარ აღელვებას იწვევს: „სწორეთ რომ საუცხოვო სურათებია! კაცი, ჩემსავით კაცი, ვინ იცის რამდენით ჩემზედ ნაკლები ღირსებით, გონებით, სინდისით, გრძნობით მხედავს ტვირთ ქვეშ საცოდავთ მოკლულს ლუკმა პურისათვის და ამის მაგივრათ, რომ შემიბრალოს, ქონება, რომელშიაც მე უთუოდ წილი მაქუს, რომელიც იმას გამოუქენჯნია ჩემისთანა დაჩაგრულის კაცისაგან და ახლა ეძახის თავის საკუთრებას, - მიწილადოს მე... ის ამის ნაცვლათ, არამთუ არ იჩენს მცირედსაც არის სიბრალულსა... მოაქუს ტვირთი პატრონთან მუშასა და პატრონი გროშობით უკლებს

– უნდა ფასში გამორჩეს ოფლით და წელის წყვეტით პურის ლუკმის შემძინებელს კაცსა...აი მხატვრობა, რომელსაც გვიჩვენებს ჩუქნ ჭავჭავაძე „მუშაში“ (ფურცელაძე 1863ა: 305).

მიუხედავად ამისა, ანტონ ფურცელაძე ფიქრობს, რომ პოეტი სათანადოდ ვერ თანაუგრძნობს მუშას, მის ინტონაციაში კი ერთგვარი სიყალბეა შეპარული. კრიტიკოსს რატომღაც ჰგონია, რომ ავტორმა ვერ შეძლო სრულყოფილად გაეთავისებინა მუშის აუტანელი მდგომარეობა: „ეს ტემა, ეს სასურათოები მარჯვეთა აქუს ჭავჭავაძეს შეკრებილი და გაწყობილი, მაგრამ თქუწ აქ ვერა ჰხედავთ, რომ ავტორი თანაგრძნობდეს ამას. ესა ცდილობს, რომ დაუახლოვდეს, მიაკრას ამათს მდგომარეობას გული, მაგრამ ვერც გულით და ვერც გრძნობით ვერ დანათესავებია ის ამათ ცხოვრებასა, და აქ ჰხედავთ დაძალადებულ გრძნობას, რომელიც გამოდის ცარიელი ავტორის წრიპინი“ (ფურცელაძე 1863ა: 305). ერთი სიტყვით, ამ პასაჟში ანტონ ფურცელაძემ თავისებურად განავითარა შეხედულება ილიას ლექსების „ნაძალადეობის“ თაობაზე, რაზეც ჯერ კიდევ გ. ბარათაშვილი მიუთითებდა.

კრიტიკოსის თქმით, ლექსების ავტორი თავისი კომენტარების საშუალებით კი არ უნდა გადმოგვცემდეს მუშის აუტანელ მდგომარეობას, არამედ ცოცხალი სურათების დახატვით აღვიძრავდეს თანაგრძნობას: „ავტორი კი არ უნდა თითონ დასწრიპინებდეს თავისგნით გამოხატულს პირს - ის უნდა სხუას აგრძნობინებდეს და მიაღებინებდეს ყურადღებას თავის გამოსახულებაზედ. ამის გამო, რომ ავტორი ვერ თანაჰგრძნობს მხურვალეთ და ვერ დანათესებია თავის გამოსახულებას, თქუწ როდესაც კითხულობთ, „მუშასა“, არ ჰგრძნობთ იმ სიმწარესა, იმ ნაღველს, იმ სიბრალულს, რომელსაც ცდილობს ავტორი, რომ გამოგიხატოთ... (ფურცელაძე 1863ა: 305). აშკარაა ანტონ ფურცელაძის მსჯელობის წინააღდეგობრივი ხასიათი. თავიდან იგი აქებს ილიას მუშის მდგომარეობის ცოცხალი სურათის დახატვისათვის, ბოლოს კი მიუთითებს მას მხატვრული განსახიერების ნაკლოვანებაზე. კრიტიკოსის მსჯელობის ეს შინაგანი წინააღდეგობა ალბათ იმით შეიძლება აიხსნას, რომ იგი,

როგორც „ცისკრის“ თანამშრომელი, ტენდენციურია კონკურენტი ჟურნალის ლიტერატურული მასალის შეფასებისას.

ილიას ამ კონკრეტულ ლექსზე დაყრდნობით ანტონ ფურცელაძე განზოგადებას მიმართავს და უფრო მკაფიოდ საუბრობს ილიას, როგორც ლირიკოსი პოეტის, გრძნობათა „ნაძალადეობაზე“. იგი წერს: „ყველა ლექსში, რომელიც კი ჩუქნ წაგვიკითხავს უფ. ჭავჭავაძისა, სჩანს, რომ ავტორი ძალზედ აძალადებს წერაზედ თავსა. ასე რომ დღეს თქუწნა კითხულობთ ამის ლექსებსა, ისე ჰგრძნობთ ამაზედ ნაძალადეობას, რომ მკითხველი თითქო გაუტეხელს ტყეში მიდისო და მეძვნარი ფეხებში ედებო, ისე უგუბდება სული და ექსაქსება გულისხმა... ამ ნაძალადეობას და ჭაპანწყვეტას, – ვიტყვ მდაბიურით – ამას ლექსებში ყველგან შეჰკვდებით“ (ფურცელაძე 1863ა: 305).

ანტონ ფურცელაძე მიუთითებს ილიას, როგორც ლირიკოსი პოეტის გრძნობათა გადაჭარბებულ, ყალბ, სენტიმენტალურ ხასიათზე. მას გადაჭარბებულად ეჩვენება ლექსის „მას აქეთ რაკი“ პათოსი. კრიტიკოსის გაღიზიანებას იწვევს ილიას ცნობილი სიტყვები:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
რომ შენ მიწაზედ, ამდენს ხალხში, კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზიარო.

ამ სიტყვებში კრიტიკოსი ახალგაზრდა პოეტისათვის შეუფერებელ ქედმაღლობას ხედავს: „ერთი ჰკითხეთ, საყუარელნო მკითხველნო, უფ. ჭავჭავაძესა: მაშ ვისთვის უკრთება ასე უწყალოთ ძილი, ვისთვის იკლავს თავსა, თუკი მრთელს საქართველოში იმისთანა კაცი არ არის, რომ ღირსი იყვეს მაგისი აზრის „განზიარებისა“? როგორცა სჩანს, ეგ ცარიელი საქართველოს მიწისათვისა დრტვინავს და ჰფიქრობს!.. (ფურცელაძე 1863ა: 306).

ამავე 1863 წლის „ცისკრის“ ივლისის ნომერში დაიბეჭდა ანტონ ფურცელაძის წერილი „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც პუბლიცისტი კვლავ შეეხო ილიას პოეზიას. კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ აკლია ღვთივმომადლებული პოეტური ნიჭი და მის კომპენსირებას თავდაუზოგავი შრომით ცდილობს. ა. ფურცელაძის კატეგორიული დასკვნის მიხედვით, ილია თვისებრივ სიახლეს კი არ ქმნის, არამედ საზრდოობს ლიტერატურული გავლენების წყალობით: „ჭავჭავაძე ახალს ვერაფერს ვერას შეიქმს. თუ როდისმე ცდილობს ჭავჭავაძე, რომ თავისით დაჰბადოს, ის არა ჰბადავს ნიჭით, – ის ჰკრებავს ძალათი, ხელოვნურათა სხუა და სხუა ჭაკტებსა, სხუა და სხუა ავტორების განვლენილებების ქვეშ და ისე არდგენს ერთს მთელსა... აქ ნიჭი კი არა მუშაობს, ხელოვნება მუშაობს“ (ფურცელაძე 1863 ბ: 358).

თუმცა კრიტიკოსი მიუთითებს, რომ სწორედ ამიტომაცაა დასაფასებელი ილია ჭავჭავაძის შრომა. იგი განასხვავებს ორი ტიპის პოეტებს. პირველთა გაცნობიერებული არ აქვს შემოქმედებითი აქტი, ისინი ღვთივმომადლებული ნიჭით არიან ცხებულნი და მიჰყვებიან შთაგონებისა თუ მუზის კარნახს, ამიტომაც მათ ნაწერებში არ იგრძნობა ძალდატანების კვალი: „პოეტი რომ სწერს, თითონაც ვერ ჰხედავს და არ გაეგება, როგორ მოსდის თავში ის სურათები, ის მხატრობაები და სულის ჩამდგმელი მშვენებაები, რომელსაც ავტორი სახავს. ის არის მაშინ გარინდული. გონება აქუს დაკრვებული თავის ასაწერს, ანუ გამოსახატავს საგნებზედ. იმას მოზდის აზრი აზრზედ და ყოვლის უწვალებლად გამოჰყავს ნასახი, – და ამ უწვალებლობას თითონ მკითხველიცა ჰხედავს კითხვის დროს“ (ფურცელაძე 1863ბ: 359). ამ ძალდაუტანებელი პოეტური ნიჭის ნიმუშად კრიტიკოსი მიიჩნევს აკაკი წერეთლის შემოქმედებას: „აი, მაგალითისათვის აიღეთ აკაკი წერეთლის ლექსები – რომელსაც „მოამბის“ რეცენზენტი ვერა ჰყურობს წყალობის თვალთ, ნახეთ რამდენი უძალადოება და მიმოხრუა აქუს, რამდენი მშვენიერება და ტაქტი აქუს. რა კოლორიტი და სიმაღლე, რამდენი ნიჭი სჩანს ავტორისა! აიღეთ ამის სატირული „აპპელაციის მცოდნე“, ამისი „მესტვრე“, რამდენს მაღალსა და

გონივრულს ირონიას იპოვით. რამდენი კაცის ცნობასა და ცოდნასა ნახავთ ავტორისასა. (ფურცელადე 1863 ბ: 359).

აკაკის პოეზიის ლაღი დაუმაბავი მდინარების გამო, თითქოს ავტორი სრულიად ქრება მკითხველის არეალიდან და რჩება მხოლოდ მის მიერ შექმნილი მხატვრული სურათი: „აქ ავტორს სრულებით ვერა იცნობთ. თქუწნა ხედავთ თვთონ საგანსა და საქმესა“. რეცენზენტი ადარებს ერთმანეთს ილიას „მუშასა“ და აკაკის „მუშურს“ და ამ უკანასკნელს ბევრად მაღლა აყენებს ილიას ლექსზე, რადგანაც, მისი აზრით, იგი პოეტური სიხალასით, უბრალოებითაა აღბეჭდილი და „აქ არ არის არც ის სანტიმენტალური წრიპინი, რომელსაც ჰხედავთ თქუწნ ჭავჭავაძის „მუშაში“, არც არის ის ნამაღადობა. - რის სუმბუქათ, თარხნათ და გრძნობით წარმოთქმული“ (ფურცელადე 1863 ბ: 358). კრიტიკოსის დასკვნით, აკაკი წერეთელი თავისი ბუნებით ლირიკოსი პოეტია, ილია ჭავჭავაძე კი პროზაიკოსი, „წერეთელი კიდევ შეუდარებელია ჩუწნს მელექსეებში... მაგრამ ამასაცკი ვიტყვთ, რომ წერეთელი ვერ დასწერს ვრცელს პროზას და თუ დასწერს ჯიმშერიძეს შორს დარჩება“ (ფურცელადე 1863 ბ: 358).

ილიას ლექსებს კი, ან. ფურცელაძის აზრით, ატყვია ხელოვნურობა და ამიტომაც, მისი კატეგორიული ფორმულირებით, „ჭავჭავაძე მოკლე ლექსების წერაში ისე დაბლა სდგას წერეთელზედ, როგორც კვერნაკი იალბუზზედ“. ერთი სიტყვით, უკვე უადრეს კრიტიკულ წერილებშია შენიშნული ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთის განსხვავებული პოეტური ბუნება და შედარების საგნადაა ქცეული მათი შემოქმედება. ეს საგულისხმო ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ანტონ ფურცელაძის, ისე სხვათა მსჯელობას უმრავლეს შემთხევაში ტენდენციური ხასიათი აქვს.

კრიტიკოსი არ უარყოფს, რომ აკაკი წერეთელიც განიცდის სხვა მწერალთა გავლენას, თუმცა, მისი აზრით, აკაკი ახერხებს, რომ დაძლიოს, გადაამუშაოს ეს გავლენა და მაღლა დადგეს მასზე, ილია კი მისი აზრით, გავლენის „მონელებას“ ვერ ახერხებს. „თუმცა არც წერეთელია ამცდარი ამისა, რომ გავლენა არ ჰქონდეს ამაზედ

სხუა მწერლებსა. მაგრამ ეს იმ განვლენაზედ მაღლა დგება და თითონ ეს იხდის მონათ თავიზედ განვლენის თხზულებასა და აძლევს თავის ძლიერებას, თავის ხასიათს, თავის ფორმებს, თავის გზასა და ჭავჭავაძე კი ხდება სრულებით ტყვე თავიზედ განვლენელისა“ (ფურცელაძე 1863 ბ: 361). ეს თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, სრულიად დაუსაბუთებლადაა მოწოდებული.

ანტონ ფურცელაძის ეს სტატიები, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება ილია ჭავჭავაძის ლირიკის ობიექტური შეფასების ნიმუშებად, რამდენადაც იგი პოლემიკური იერითაა შეფერილი და ავტორიც წინდაწინვე შემუშავებული თვალსაზრისით ხელმძღვანელობს.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში საგანგებოდაა აღნიშნული ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძის პოეზიის ერთ-ერთი პირველი შემფასებელი იყო აკაკი წერეთელი. 1865 წელს 25 წლის აკაკი ჟურნალ „ცისკრის“ სექტემბრის ნომერში აქვეყნებს წერილს „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“. „ჩონგური“ იყო სახელწოდება ლექსების კრებულისა, რომელიც შეადგინა კირილე ლორთქიფანიძემ და გამოსცა 1864 წელს პეტერბურგში. წიგნში თავმოყრილი იყო ქართველი პოეტების: ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვ. ლექსები. როგორც მიუთითებენ, „ჩონგური“ თავისი კონცეფციით ჩაფიქრებული იყო, როგორც იმავე ხანებში გამოსული დავით ჩუბინაშვილის „ქართული ქრესტომათიის“ საპირწონე კრებული.

ახალგაზრდა აკაკი კირილე ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი წიგნის რეცენზენტად მოგვევლინა. მან მაღალი შეფასება მისცა შემდგენლის თავგამოდებას და ახალი კრებული მონათლა, როგორც „პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და ჰკვნესის ქართველების კვნესით“ (წერეთელი 1865: 394). აკაკი წერეთლის თქმით, წიგნის ეს ეროვნული ხასიათი, სულითხორცამდე ქართულობა უმთავრესად განპირობებული იყო ორი ავტორის – ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის კრებულში წარმოდგენილი ლექსებით.

იქვე აკაკი წერეთელი აღნიშნავს, რომ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს ილია ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის სახელთა დაწყვილება, რადგან ილიას პოეზია საკმაოდ ნაკლოვანია კეთილზმევანების თვალსაზრისით. აკაკი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს და ეთანხმება ანტონ ფურცელაძის აზრს ილიას ლირიკული ლექსების „ნაძალადეობის“ თაობაზე: „ვსთქუათ თუ გინდა ბარათაშვილი დიდი მწერალია, მაგრამ იმასთან ი. ჭავჭავაძეს რა უნდა? ვინ ამღევს ამას ბარათაშვილის გვერდით ალაგს? ჰმ, ეს ილია ჭავჭავაძე, ჭაპან-წყვეტით ლექსების მწერალი, რომლის ლექსებშიაც არც სულის განმახორციელებელი პოეზია იპოება და არც სასმენელის დამატკბობი გარმონია ისმის, ნუთუ ერთს ტახტზედ გვერდით უნდა მიუჯდეს ბარათაშვილს?... ჯავრობს მკითხველი“ (წერეთელი 1865: 395). მაგრამ, აკაკის თქმით, ილიას ლირიკის ეს მხატვრული ნაკლოვანება კომპენსირებულია ღრმა იდეური შინაარსით. აკაკი წერეთელი მიიჩნევს, რომ ილია ღირსია ბარათაშვილთან ერთ ტახტზე ჯდომისა, რადგან სწორედ რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებაშია საძიებელი გენეტიკური სათავე ილიას ლირიკული პოეზიისა. აკაკის თვალსაზრისით, ორივე პოეტმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის განახლების პროცესში: „დიახ, ჩემო ბატონო! ეგ თქუჴნი ნაქები და შემკული ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორედ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქუსთ ჩუჴნს ლიტერატურაში, ერთ გვარათ დაუვიწყრები არიან, ერთს გაუწყვეტელის ჯაჴვით გადამბულები არიან ერთი მეორეზედ. ერთის უმეორესით გაგება ძნელია! ერთის სიტყვით ეგენი არიან მოსე და აარონი ჩუჴნის ლიტერატურისა“ (წერეთელი 1865: 395). ამ განცხადების დამტკიცებას აკაკი ვრცელი მსჯელობით ისახავს მიზნად.

ბარათაშვილისა და ილიას შემოქმედების სიდიადე რომ გავაცნობიეროთ, აკაკის თქმით, აუცილებელია თვალი გადავავლოთ ჩვენი ლიტერატურის განვითარების ისტორიას. აკაკი წერეთელი ახალი დროის, რეალისტური ესთეტიკის პოზიციიდან აფასებს ძველი ქართველი ლირიკოსების შემოქმედების აქტუალობასა და მხატვრულ ღირებულებას. მისი აზრით, სახელგანთქმული ბესიკის ლექსები

მხოლოდ „მოცლილი კაცის სასმენელს ატკბობენ“. როგორც ბულბული, რომელიც მხოლოდ ჩვენს სმენას ატკბობს ნაზი გალობით ვერ ჩაითვლება უპირველეს პოეტად, ისე ბესიკის პოეზია, აკაკის თქმით, ვერ ქმნის არსებით სიახლეს ჩვენი პოეზიის ისტორიაში, რადგანაც ის დაცლილია სოციალური შინაარისაგან და „ლექსებში ცარიელი სტვენის მეტი არაფერი მოისმის“ (წერეთელი 1865: 396).

აკაკი წერეთელი გახაზავს ძველი ქართული ლირიკის ვიწრო ინდივიდუალურ ხასიათს: „ამისათვის ძველი მწერლების ლექსებში ჩუჭნ ვერაფერს ვხედავთ, გარდა ბუნების აღწერისა, სიყუარულისა, ღვინის, ვარდის, ბულბულის და ვირისა, ერთის სიტყვით, მათის საკუთარის გრძნობისა და ამ მიზეზით ისე ეკუთვნიან ისინი ჩუჭნ ხალხს, როგორც ზემოხსენებული ჩიტები“ (წერეთელი 1865: 396).

გავითვალისწინებთ რა ისტორიულ კონტექსტს, აკაკის თქმით, ჩვენთვის ნათელი გახდება ბარათაშვილის პოეზიის ნოვატორული არსი. მართალია მან გარკვეული ხარკი გადაუხადა ძველი ქართული ლირიკის, აღმოსავლური პოეტიკის ტრადიციებს, მაგრამ უკვე მის პირველსავე პოეტურ ნიმუშებში (მაგ., ლექსში „ბულბული ვარდზედ“) უკვე იგრძნობა ახალი თვალთახედვა და ანალიტიკური ნაკადის შეჭრა პოეზიაში.

საგულისხმოა, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირის სევდიანი განწყობილების მიზეზებს აკაკი წერეთელი სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე დაყრდნობით ხსნის. ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების უპირველეს საერთო ნიშანს კი კრიტიკოსი სულიერი ობლობის მოტივში ხედავს. აკაკი ფიქრობს, რომ ბარათაშვილთან აღნიშნულ გრძნობას აჩენს „ხალხის დაბალი ცხოვრების“ ცქერა და იგივე ფაქტორი გვევლინება ილიას პოეზიაში აღნიშნული მოტივის წარმომშობად. აკაკი წერს: „საკვრველია, რომ ეს ჰაზრი [სულიერი ობლობის მოტივი] მეორე ჩუჭნმა სასიქადულო მწერალმაც თ. ი. ჭავჭავაძემ სხუა სიტყულებით გამოსთქუა:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,

ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაუზიარო –

ეს სიტყვები ეკუთვნოდა ბარათაშვლს და არა ჭავჭავაძეს და ჭავჭავაძემ გადაიტანა თავისი თავი ბარათაშვლის დროინდელ ქართველებში“.

რა თქმა უნდა, აკაკი წერეთლის ეს მოსაზრება სადავოა. აკაკი აშკარად რეალისტური, მისთვის სასურველი პოზიციიდან ცდილობს ახსნას ბარათაშვილის ლირიკის სულისკვეთება. იგი პოეტის სულიერი ობლობის მიზეზს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაში ხედავს და შემდეგ მას უკავშირებს ილია ჭავჭავაძის ლირიკის მოტივებს. აკაკი ისეთი პირად-ინდივიდუალური ხასიათის ლექსშიც კი, როგორიცაა „სულო ბოროტო“, ბარათაშვილის ეროვნულ იმედგაცრუებას ხედავს: „რისთვის მომიკალ ყმაწვლს კაცს ბრმა სარწმუნოება?“ – რა სარწმუნოება იყო ეს, რომელსაც ბარათაშვლი ნანობს, თუმცა ბრმათ და ცრუთ კი რაცხავს? ეს სარწმუნოება იყო, რომელსაც მთელი ხალხი საქართველოსი, გარდა ბარათაშვლისა აღიარებდა და ბედნიერი ეგონა თავისი თავი“ (წერეთელი 1865: 400). აკაკის პატრიოტულ-ალეგორიული განმარტების თანახმად, ბარათაშვილის მერნის თანამდევნი შავი ყორანი, რომლისაგან თავის დაღწევასაც იქადაღა ლექსის ლირიკული გმირი, „იყო ის უგუნურება, რომელსაც დაპყრობილი ჰყუანდა საქართველო“ (წერეთელი 1865: 401).

აკაკი წერეთლის აზრით, მართალია ბარათაშვილის შემდეგ არაერთი ნიჭიერი მწერალი გამოჩნდა ჩვენი ლიტერატურის ასპარეზზე, დიდი პოეტის ნაკვალევს აღარავინ შესდგომია. აკაკის კატეგორიული დასკვნის მიხედვით, „თუმცა ნიჭიანი მწერლები კი გამოჩნდნენ საქართველოში და ჯელოვანებაც კარგათ გაიგეს... ხალხის დარდი არა ჰქონიათ, თავის ქეიფს უნდებოდნენ“ (წერეთელი 1865: 402).

აკაკის თქმით, სწორედ ამ სულიერი „სიკორტის“ ჟამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც გააგრძელა ბარათაშვილის მიერ გაკვალული გზა და შეიქნა მისი „მოკანანახე“.

აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძემ სრულიადაც არ შეიფერა აკაკის მხრიდან მისი მონათვლა ბარათაშვილის მემკვიდრედ. 90-იან წლებში დაწერილ თავის უბრწყინვალეს „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ ილიამ, სავსებით სამართლიანად, ბარათაშვილის სევდა, აკაკისაგან განსხვავებით, პატრიოტულ მოტივზე დაყრდნობით კი არ ახსნა, არამედ გვიჩვენა რომანტიკოსი პოეტის ფილოსოფიური ლირიკის უნივერსალური ხასიათი. ილიამ ისიც აღნიშნა, რომ ქართული ლიტერატურის ასპარეზზე უკანასკნელ ხანს გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა პოეტი, რომელიც ცდილობდა ბარათაშვილის გზის მიყოლას, თუმცა მისი დასახელებისაგან ილიამ თავი შეიკავა. ტ. ტაბიძის აზრით, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ვაჟა-ფშაველა (იხ. ტაბიძე 2008: 84).

თავის წერილში აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებს ილიას პოეზიის ერთ თავისებურებაზე, კერძოდ იმ ფაქტზე, რომ ილია ხშირად გვევლინება თავისი ლირიკის პერსონაჟების მონაცვლედ, მათ გამახმოვანებლად. თითქოს, ილიას ლირიკის პერსონაჟები თავისთავად ღირებულების მქონენი კი არ არიან, არამედ ავტორის ერთგვარ ნილბად გვევლინებიან. ილიას ლექსებში „ვხედავთ ქართველების ტანჯუასა და გოდებას, მაგრამ რა საგანიც არ უნდა აიღოს ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირათ მაინც თვთონ არის. ავიღოთ მისი ჭკუიანი ლექსი, მაგალითად, „გუთნის დედა“ რა კარტინას გვიხატავს ავტორი? ასე ჰგონია კაცს, რომ სერზედ შემჯდარი ჭავჭავაძე მიჩერებია გულგრილად მოდილინე გუთნის დედას და ეუბნება: „შე სულელო, აი რას უნდა გრძნობდე და აი რასო“ (წერეთელი 1865: 402).

ამავე თავისებურებას ხედავს აკაკი ილიას ლექსში „ხმა სამარიდამ“, სადაც გარდაცვლილი მექრთამის მონოლოგია წარმოდგენილი. ლექსის სიტყვებში:

გლეხებთან ვიყავ ჭკვიანი,

ტუტუცი ნაჩალნიკებთან,
უხმოსთან ვიყავ ხმიანი
და უსიტყვო ხმიანთანა.
ვინც მე შიშით მიყურებდა,
მას ბრაგი-ბრუგს დავუწყებდი
და ვინც კი დამიყვირებდა,
მას მე ფეხ ქუჭშ ვუძვრებოდი

აკაკის თქმით, სამარიდან კი არ გვესმის ხმა, ეხლა ვხედავთ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც, როგორც სასტიკი მსაჯული ეუბნება შემცოდეს: „შენ ეს ცოდვები გაქვს და ესაო!“ (წერეთელი 1865: 403). აკაკის ერთგვარად აღიზიანებს ილიას პოეზიის ჭარბი რიტორიკულობა და მისი კატეგორიული შეფასებით, „ამ ლექსებში პოეზიის ნატამალიც არ იპოება, ეს არის მხოლოდ ცარიელი რიტორობა“ (წერეთელი 1865: 403).

თავის წერილში აკაკი აგრეთვე მიუთითებს ილიას ლექსის რიტმულ გაუმართაობასა და რითმულ სიღარიბეზე. იგი იწუნებს ილიას პოეტურ ტექსტებს მელოდიური თვალსაზრისით და ყურადღებას ამახვილებს რიტმის დარღვევაზე: „ლექსების შემარცვლა უსწორმასწოროა და რითმაც, პირველი სიმდიდრე ჩუჭნის ლექსისა, არსად სჩანს, ერთის სიტყვით, როგორც ლექსი, – ძალიან სუსტია“ (წერეთელი 1865: 403), მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, აკაკი ილიას პოეზიას ბევრი სხვა პოეტის შემოქმედებას ამჯობინებს: „ამის ერთს სტრიქონს, ფუთოზით რომ მიბოძოთ ჩუჭნის ბულბულების ნაწერში, რომელშიაც პოეზია იქმნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი. და მიზეზიც ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველს დღიურს ჭეშმარიტებას, ჩუჭნს ნაკლულოვნებას და ჩუჭნს საჭიროებას (წერეთელი 1865: 403).

წერილის ბოლოს აკაკი ერთგვარად აჯამებს თავის შეხედულებას ილია ჭავჭავაძის პოეზიაზე: ილია, როგორც ლექსის ოსტატი, სუსტია, მისი ლირიკის მთავარი ღირებულება ღრმააზროვნებაშია: „თუ ჭავჭავაძის ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება,

მაგრამ ჩუწნ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ (ხელოვნურათ ნათქვამი სისულელე და ოცნება, მაინც სისულელე და ოცნება იქნება), ჩუწნ ვეძებთ ჭკვიან აზრებს და ამას კიდევაც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში. – ამასაც ვერ დავფარამთ, რომ ჩემის აზრით ამახინჯებს ქართულს და სიტყვებს კვეცავს, რომ ძალ დატანებით ლექსი გამოიყვანოს ხოლმე და რა საჭიროა!“ (წერეთელი 1865: 403).

აქედანვე გამომდინარეობს აკაკის რჩევა ილიასადმი, რომ უმჯობესი იქნება, მან თავისი აზრები პროზაული ფორმით მიაწოდოს მკითხველს. აკაკის აზრით, ეს მით უმეტეს მიზანშეწონილია იმის გათვალისწინებით, ილიამ უკვე უჩვენა მკითხველს ამის შესანიშნავი ნიმუშები თავის პროზაში: „უმჯობესი არ არის და მისთვისაც უკეთესი და უადვილესი, რომ ის, რასაც ლექსათ გვეუბნება, პროზით გვითხრას? ამითი არა თუ დაჰკარგავს ღირსებას, კიდევაც მოიმატებს!.. კიდევ დაგვიმტკიცა ეს თავისი პროზით, სადაც ძალას არ ატანდა თავის ნიჭს და თავის გზაზედ იდგა... ჩემის აზრით, მისი „კაცია ადამიანი“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტათ რჩებიან ჩუწნს ლიტერატურაში“ (წერეთელი 1865: 403).

ძალზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წერილის ბოლოს, მსჯელობს რა ლიტერატურული კრიტიკის საჭიროებაზე და ქართულ საზოგადოებაში გავრცელებულ მავნე აზრზე (რომ კრიტიკის არსებობისათვის აუცილებელია სათანადო დონის მხატვრული პროდუქცია) აკაკი მიუთითებს, რომ ლიტერატურული კრიტიკის არარსებობას ჩვენს სინამდვილეში ვერაფერი გაამართლებს, რადგანაც ქართველებს გვყავს ისეთი მწერლები, როგორებიც არიან: შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე: „თუმცა ბევრჯერ გამიგონია... რომ ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოსჩნდეს და დაჰწეროს მისი განხილვაო, მაგრამ ეს სულ ტყუილი თვალის ახვევა არის. ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო!... სწავლულებო, მოგვხედეთ! რა არის ეს გულის შემაზარებელი თქუწნის მხრით გულგრილობა? გვიჩვენეთ გზა და კვალი და თუ ვერ გამოგყვით, მაშინ დაგვცინეთ და მაშინ შეგვრისხეთ!“ (წერეთელი 1865: 404). რუსთაველისა და

ბარათაშვილის სახელების გვერდით ილია ჭავჭავაძის ხსენება ყველაზე თვალნათლივ მიუთითებს, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა ილიას პოეზიას აკაკი წერეთელი, მიუხედავად მისი ლირიკის მხატვრული ფორმის მიუღებლობისა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების მიმართების ისტორიაში ყურადღებას იქცევს **ალექსანდრე ცაგარელის** ვრცელი ნარკვევი „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელიც ხუთ ნაწილად გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ 1870 წელს. წერილის პირველ მონაკვეთში ალექსანდრე ცაგარელი, ფაქტობრივად, ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების ზოგად კანონზომიერებებს მიმოიხილავს, ეხება ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის შემოქმედების საკვანძო საკითხებს. უკვე წერილის სათაური მიგვანიშნებს, რომ ავტორის კილო ბასრი და კრიტიკულია.

ნარკვევის მეორე ნაწილი ილია ჭავჭავაძის ახლად გამოცემული მოთხრობის „კაცია-ადამიანის“ განხილვას ისახავს მიზნად, თუმცა, მას ილიას შემოქმედებითი მოღვაწეობის ზოგადი შეფასება უძღვის წინ. ალექსანდრე ცაგარელის თქმით, „ილ. ჭავჭავაძე რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ, საკმაოდ ლანძღეს კიდეც და აქეს კიდეც, მაგრამ არც მომხრეებმა და არც მოწინააღმდეგეებმა არ იცოდნენ რიგიანათ ან რისთვისა ჰფლავდნენ ტალახში და ან რათა სცემდნენ თაყვანსა და გუნდრუკს რათ უკმევდნენ (ცაგარელი 1870: 199).

ამ სქემატურ განცხადებაში ერთგვარი გაღიზიანებული ინტონაციაა თვალშისაცემი. რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ახლადგამოჩენილი ილიასადმი არაერთგვაროვანი იყო, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ან ერთ ბანაკს არ ესმოდა ილიას მნიშვნელობა, ან – მეორეს. პირიქით, ილიას როგორც მხარდაჭერის, ისე კრიტიკის მიზეზი მისი გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიცია და რეფორმატორული სულისკვეთება გახდა, რაც ყველამ შესანიშნავად გააცნობიერა.

ალექსანდრე ცაგარელი მიუთითებს, რომ ილია ჭავჭავაძემ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მოიპოვა რა

მხარდამჭერები და მიმბაძველები, ერთგვარი შემოქმედებითი მერყეობა დაიწყო და ჩვენს პოეზიაში სენტიმენტალურ განწყობილებებს გაუხსნა გზა: „ილ. ჭავჭავაძე არ არის თავისუფალი თავის თხზულებებში „ბებიური გულჩვილობისა და გულმტკივნეულობისაგან“. ამას ეტყვიან სენტიმენტალურ, ანუ ჩვენს ენაზედ ასე ვსთქვათ „ცინგილიანობით პოეზიას“, რომელიც ყოველ წუთში ქვითინებს, ფრანგების მქადაგებელსავით. - ასე შუა გზაზედ და რაღაც გამოურკვეველ ლიტერატურულ მიმართულებაში გაუშვა ილ. ჭავჭავაძემ (თვითონ თავისი პოეზიის ხასიათიც ვერ გამოიჩინა ცხადათ) თავისი მცირე და გზის უცოდინელი, მაგრამ ერთგული ლაშქარი, რომლის დროშაც ასე მამაცურად ეჭირა და უძღოდა წინ (თუმცა საუბედუროთ, მარტო ერთ-ორ წელიწადს), და თავისი უკუდგომით დაამტკიცა ძველი, მაგრამ ყოველთვის ახალი ჭეშმარიტება, რომ „პოეტი თავისი ხალხის ჭეშმარიტი შვილია“ (ცაგარელი 1870: 199-200).

ეს განცხადება, ცხადია, სრულ გაუგებრობაზეა აღმოცენებული. თავის პირველსავე, საპროგრამო წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდან „შეშლილის“ თარგმნაზედა“ ილია ჭავჭავაძემ დაუფარავად გამოხატა უკიდურესად კრიტიკული დამოკიდებულება სენტიმენტალიზმის, როგორც დრომოქმული ლიტერატურული მიმდინარეობის მიმართ. ეს პოზიცია ილიას არასდროს გადაუსინჯავს. სენტიმენტალიზმი მისთვის მიუღებელ ესთეტიკურ კონცეფციად დარჩა. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რაზე დაყრდნობით ფიქრობს კრიტიკოსი, რომ ილიამ უკან დაიხია და სენტიმენტალისტური ხასიათის ნაწარმოებები შექმნა. თუ მას მხედველობაში აქვს „გრძნობათა სიჭარბე“ ილიას პოეზიაში, ეს ფაქტორი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება სენტიმენტალიზმის სხვა მიმდინარეობათაგან განმასხვავებელ ნიშნად.

ალექსანდრე ცაგარელს ილია ნამდვილი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ მწერლად მიაჩნია, რამაც, მისი თქმით, ჭაბუკობის დროიდანვე იჩინა თავი. „თუმცა ჯერ მარტო ორიოდე პატარ-პატარა ნიმუშები გვაჩვენა თავის მოღვაწეობისა და მუშისა ჭაბუკობის ასაკის დროს, მაგრამ ამ ცოტაშიაც, როგორც პატარა ცვარში,

ცხადათ გამოსჭვრის ბედნიერი პოეტიკური ნიჭი. ნაკლებულობა იმის პოეზიას მართალია ბევრი აქვს, მაგრამ ღირსება უფრო ბევრი“ (ცაგარელი 1870: 200).

ალექსანდრე ცაგარელი მიუთითებს, რომ მხოლოდ შრომა ვერ აქცევს კაცს წარმატებულ პოეტად, თუ მას თანდაყოლილი ნიჭიც არ აქვს მომადლებული. ილია ჭავჭავაძე კრიტიკოსს სწორედ ასეთ, ღვთისაგან ხელდასხმულ შემოქმედად წარმოუდგება, რომელსაც მოეპოვება თანდაყოლილი პოეტური ტალანტი: „რაც სიკეთესა და ღირსებას აჩვენებს ილ. ჭავჭავაძის პოეზია ავტორში, სახელდობრ ღრმა პოეტურ ბუნებას – ამას ვერსად ვერ იპოვნის და ვერ შეიძენს კაცი, თუ ბუნებით არ არის დაჯილდოებული, თუნდაც კაცმა თავის დღენი იმის ძიებაში დააღამოს. მართალია ბეჯითობით და ცდით ბევრს შეიმატებს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძეები მარტო იბადებიან“ (ცაგარელი 1870: 201).

ფაქტობრივად, ესაა პირველი ზოგადი, ცალსახად დადებითი შეფასება ილია ჭავჭავაძის პოეზიისა ქართულ სინამდვილეში. ალექსანდრე ცაგარელი უპირისპირდება მისი წინამორბედი კრიტიკოსების (გ. ბარათაშვილის, ბ. ჯორჯაძის, ა. ფურცელაძის, ა. წერეთლის) თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ილიას აკლია ბუნებითი ნიჭი ლირიკოსი პოეტისა და ის ძალდატანებით, „ჭაპანწყვეტით“ წერს ლექსებს. ალექსანდრე ცაგარელი პირიქით, ილიას ისეთ შემოქმედად მიიჩნევს, რომელსაც აქვს თანდაყოლილი პოეტური ტალანტი.

კრიტიკოსს თავისი სისადავითა და უშუალოებით ხიზლავს ილიას ცნობილი ლექსი „გაზაფხული“, რომელიც მისი წერილის გამოქვეყნებამდე მძაფრი კრიტიკის ობიექტი გახდა. ალ. ცაგარელის შეფასებით კი, „ამ პატარა ლექსის მეტიც რომ არ დაეწერა რა ილ. ჭავჭავაძესა, მაშინაც კი ადვილი მისახვედრი იქნებოდა, რომ ამის წარმომშობელი უბრალო ნიჭის პატრონი არ უნდა იყოს. თავის მარტივი გამოთქმით, გრძნობისა და ჰაზრის სიღრმით, თავისუფალი მიმდინარეობით, ზმნისა და სახელი არსებითის სიმდიდრით, რომლებიც საგნებსა და იმათ მოქმედებას გამოხატავენ. აგრეთვე რითმის კეთილხმოვანებითა ნამდვილი სახალხო-ნაციონალური ლექსის

მაგალითი არის და ამ უმაღლესი ღირსებითა და თვისებით ეს ლექსი ღირსია ჰიენეს კალმისა!“ (ცაგარელი 1870: 201).

ალექსანდრე ცაგარელი გამოყოფს ნაწარმოების მთავარ ღირსებას: იგი დაწერილია მსუბუქი ენით, ლირიკული სიუჟეტიც დაუმაბავად ვითარდება და რაც მთავარია, – ნაწარმოები გამომხატველია ხალხის საერთო სულისკვეთებისა, იგი „სახალხო-ნაციონალური“ ნაწარმოებია. კრიტიკოსის თქმით, ლექსში ძალზე ლაკონურად, კალმის ერთი მოსმითაა დახატული ფიზიკური ბუნების განახლება. ალ ცაგარელს ხიბლავს ლექსის სურათოვნება, ფსიქოლოგიური სიზუსტე: „რომელ ქართველს არ ეცნობა ეს „ვაზის ტირილი“ გაზაფხულდა, – სხვა ენაზედ რომ გადავთარგმნოთ ეს სიტყვები, გაუგებარი იქნება, იმიტომ რომ ნამდვილი ქართული სიტყვა და ღრმა ხალხის ენა, ანუ გამოთქმა არის „ვაზის ტირილი“, ამას მარტო ქართველი გაიგებს (აგრეთვე შესანიშნავია ამ ლექსში ღრმა პსიქოლოგიური ფაქტი: მეტი ლხინისგან ტირილი)“ (ცაგარელი 1870: 201).

კრიტიკოსს ხიბლავს ნაწარმოების კომპოზიციური შეკრულობა, შინაარსისა და მხატვრული ფორმის სრული შესაბამისობა, რაც, მისი თქმით, ხელოვნების სრულყოფილი ქმნილების უმთავრესი მახასიათებელია: „ლექსს რომელშიაც გარეგანი სახე, ფორმა შინაგანი ღირსების ღრმა გრძნობასთან და ჰაზრთან შეწონილნი არიან, ერთმანეთან შეწონასწორებულნი და შედუღებულნი, – ვამბობ ლექსს, რომელსაც ეს თვისებები აქვს, არის ნამდვილად სრული ხელოვნური“ (ცაგარელი 1870: 202).

ილიას პოეტური ტალანტის თვისებად კრიტიკოსს მიაჩნია განსხვავებულ საკითხთა განსხვავებული მხატვრული რაკურსით განსახიერების უნარი: „ჭავჭავაძის ნიჭი არ არის მარტო ერთგვარი, ერთმხრივი, არამედ დაჰყურებს საგანს ყოველმხრივ და მრავალ სხვადასხვა ფერდაგვარ საგანსა, მაგ., დიდი გრძნობითა სწერს ლექსს მძინარე ქალზედ, ადრე „ცისკარში“ მთვარეზედ და ამგვარ საგნებზედ უწერა, მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებს დიდათ კაცობრივულ, ჰუმანურ საგნებზედ წერას, როგორც „მუშა“, „გუთნის დედა“, „ნანა“ და სხვანი“ (ცაგარელი 1870: 202).

ილიას პოეზიის კიდევ ერთ ღირსებად ალექსანდრე ცაგარელი მიიჩნევს პოეტური თქმის სიმძლავრეს, ენერგიულობას: „მეორე მოუცილებელი თვისება და უდიდესი ღირსება იმის პოეზიისა არის სიტყვა-გამოთქმით საშინელი და შეუმაგრებელი ძალა, გულწრფელობა და გულდიაობა, – აქედან წარმოსდგება მის პოეზიის ღრმა გრძნობა და ყოვლის შემძვრელი შემოქმედება, რომელიც მკითხველის, ანუ მსმენელის გულს ეტანება და სწვავს“ (ცაგარელი 1870: 203). ილიას შემოქმედების ეს თავისებურება შემდგომში საგანგებოდ იქნება შესწავლილი.

სწორედ ილიას პოეზიის ზემოთ ხსენებული თავისებურებისაგან გამომდინარეობს, კრიტიკოსის აზრით, ის ფაქტი, რომ მას მკითხველზე ემოციური ზემოქმედების საოცარი ძალა აქვს და ნათლად შეგვაგრძნობინებს პოეტის სათქმელს.

ამის შემდეგ ალექსანდრე ცაგარელი პარალელს ავლებს, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძის, მეორე მხრივ კი, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას შორის. კრიტიკოსის მართებული დაკვირვებით, ილია ჭავჭავაძისათვის უცხოა, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძის სანადიმო, სამღერალი ინტონაცია, ასევე ბარათაშვილისეული სევდა და პესიმისტური განწყობილება: „ამის პოეზია არც ისეთ სევდისა და სასოწარკვეთილების ნისლსა ჰგვრის, კაცსა, როგორც ნ. ბარათაშვილის ლექსები და არც ისეთ „გოგონა და ძუძუნას“ კილოზედ ღიღინებს, როგორც ალ. ჭავჭავაძე. არა, ამას არც იმედი აქვს დაკარგული უკეთეს მომავალზედ და არც დიდი სასოება და მოლოდინი აქვს (მაგ., „ქართვის დედას“)“ (ცაგარელი 1870: 203).

ერთი მოხდენილი შედარებით კრიტიკოსი ახერხებს გაგვითვალსაჩინოს ბარათაშვილისა და ილიას სევდის განსხვავებული ხასიათი. თუ ბარათაშვილის სევდას უფრო უნივერსალური, მეტაფიზიკური ხასიათი აქვს და უფრო მძაფრად განიცდება, ილიას სევდიანი განწყობილება უპირატესად ეროვნულ-პატრიოტულ ნიადაგზეა აღმოცენებული და მომავლის იმედით დაბალანსებული: „ამის [ილიას] ლექსი მართალია სწვავს გულსა, ჰკბენს, მაგრამ გველისავით კი არა, როგორც ბარათაშვილის ლექსები, არა ასე ვთქვით, ტკბილად, როგორც ყმაწვილი უკბენს

დედასა. ამის პოეზიაც სისხლს უმღვრევს მართალია კაცსა, მაგრამ გესლითა და შხამით კი არა,... არამარტო წარსული დროების მოგონებითა (მაგ: „არაგვი“), მომავალში სიმხნის მოცემითა („ნანა“) ან არა და ღვთის შეწევნას მოიწვევს ხალხზედ („ღვთის მშობელო ეს ქვეყანა შენი ხვედრია...“) და სხვა ამგვარი ლექსებითა ანუგეშებს თავის სამწყსოსა“ (ცაგარელი 1870: 203).

ძალზე საგულისხმოა ალექსანდრე ცაგარლის შემდეგი მსჯელობაც. იგი მიუთითებს, რომ ილიას პოეზიის ერთგვარი თემატური შეზღუდულობა, პატრიოტული მოტივის მოქცევა შემოქმედების ცენტრში როდი განაპირობებს ილიას შეზღუდულ მოქალაქობრივ თვალსაზრისს. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში კრიტიკოსი პატრიოტული და კოსმოპოლიტური თვალთახედვის ორგანულ შენივთებას ხედავს: „ილია ჭავჭავაძეს აქვს ის იშვიათი თვისება, რომელიც დიდ ღირსებას შეადგენს, – იმის ლექსები არიან თითქმის დიდათ საცნობელ და ხანდახან ღრმა კაცობრიულ საგნებზედ დაწერილი... პოეტის დიდად პატრიოტული ლექსები სულაც არ უშლიან და ეწინააღმდეგებიან იმისსავე მაღალ კოსმოპოლიტიკურ ლექსებს. ამასთანავე, რაზედაც უნდა სწერდეს, ყოველთვის გრძნობა, წარმოდგენა, მთელი პოეზიის კილო ნამდვილ კეთილშობილურია“ (ცაგარელი 1870: 203).

ილიას პოეზიის ღირსებათა დახასიათების შემდეგ კრიტიკოსი მის ნაკლოვნებებსაც ეხება ორიოდ სიტყვით. ალექსანდრე ცაგარლის თქმით, ილია ჭავჭავაძის ლირიკული ლექსების ნაკლი უმთავრესად გარეგნული, ფორმოზრივი ხასიათისაა და განსაზღვრულია ვერსიფიკაციული გაუმართაობით, აგრეთვე გადაჭარბებული მჭევრმეტყველობით: „უმეტესი ნაწილი ნაკლულოვნება აქვს ილ. ჭავჭავაძის პოეზიასა გარეგანი ფორმის... ენისა და ლექსთწყობის შეუმუშაველობა, ცოტა გრძნობის ქონვა ზოგ ლექსში და ბევრი მსჯელობის ჩაჩრა“ (ცაგარელი 1870: 204).

ალექსანდრე ცაგარელი აღნიშნავს, რომ ზოგან ილიას ენა გაუმართავია და ეს გაუმართაობა განპირობებულია რუსული ენის სინტაქსის ზეგავლენით. კრიტიკოსის დასკვნით, ილიას ზოგიერთი ლექსი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ავტორს

ჯერ რუსულად მოეფიქრებინოს და შემდეგ ეთარგმნის ქართულად: „უმეტესი ნაწილი ილ. ჭავჭავაძის ლექსებისა რუსული ენიდგან თარგმნილსა ჰგავს, იმდენათა აქვს რუსული ენის კილო და წინადადებათა წყობა. აგრეთვე სიტყვები არის ნახმარი, პოეზიაშიც კი ხანდახან და იმათ მიხვრა-მოხვრა რუსული ენის კანონებზედ. საზოგადოთ იმისი ლექსების კითხვის დროს რუსულათ უნდა ჰფიქრობდეს კაცი. ხშირად გაუჭირებლივ უცხო ენიდგან სესხულობს სიტყვებსა და გამოთქმებს“ (ცაგარელი 1870: 205).

ალექსანდრე ცაგარლის დაკვირვებით, ილიას პროზის ენაშიც შეინიშნება რუსულის ზეგავლენა, რუსულის კალკები. ამის ერთი მაგალითა, კრიტიკოსის თქმით, ფრაზა ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აღწერლობიდან: „მუაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა თამაშობდა“. ეს გამოთქმა, ალ. ცაგარლის სამართლიანი შენიშვნით, რუსულის კალკია და აკლია სიტყვა „როლი“ (საქვეშაგებოს როლს თამაშობდა“ „играл роль шкафа“).

კრიტიკოსი მიუთითებს, რომ ილიას ლექსებში ზოგჯერ ვხვდებით აზრობრივ შეუსაბამობებსაც. მაგალითად, ლექსში „ხმა სამარიდამ“ მიცვალებული მექრთამე დივანბეგი სააქაოს მყოფთ სთხოვს, საიქიოს ქრთამი თუ სჭრის, შემატყობინეთო. ალ. ცაგარელს უკვირს: „ვაჟო, თითონ იქ არის, ვერა გაუგია და ჩვენ აქედან რა პასუხი უნდა მივსცეთ, – მართალია, თუ იუმორია დაცილება მოკლე ჭკუის პატრონ დიამბეგისა, მაინც ძალიან მოუხერხებელი, უშნო, უღამაზო, „ულოლიკო“ იუმორია, რომელიც აჩვენებს, რომ ან თითონ ავტორი მოტყუებულა, ან სხვას თვალებს უბამს ამ უნდილ ხუმრობითა“ (ცაგარელი 1870: 204).

ილიას პოეზიაში, ალ. ცაგარლის თქმით, ხანდახან აზრი სჯაბნის გრძნობას, არადა ჭეშმარიტი პოეზია, უპირველეს ყოვლისა, გრძნობადად აღქმადია და „პოეტი უმეტესად გამომხატველია ან აღმწერი რომელიმე საგნისა ან მოქმედებისა და მერე მსჯელი“. ილიას ლექსებში, კრიტიკოსის მიხედვით, მჭევრმეტყველურობა ზოგჯერ ეკლესიური ქადაგების ფორმას იღებს. ცაგარლის დასკვნით, „ამ პოეტური გრძნობის,

მარტივი და უბრალო წარმოდგენის უქონლობისგან მოხდება ხოლმე ისე, რომ ხშირათ ილ. ჭავჭავაძე იძულებულია თვითონვე ატაროს ხელით, როგორც ჭოჭინაზედ მიყუდებული ყმაწვილი, თავისი მოქმედი პირები და მუდამ ჩასჩურჩულებდეს, რა უნდა თქვან... და არ აცლის თავიანთ ბუნებით, ჰაზრისა და შეგნების, გრძნობის შესაფერად რას იტყოდნენ, იმათ ნებაზედ რომ მიეგდოთ. ამგვარი ხასიათი და კილო აქვთ „მუშას“, „გუთნის დედას“ და სხვა, სადაც ასე უხვად არის მსჯელობა და ხშირად კაცთმოყვარული გულმტკივნეულობა ქადაგების კილოზედ“ (ცაგარელი 1870: 204). ამკარაა, რომ ალექსანდრე ცაგარელი აქ გარკვეულწილად იმეორებს იმ შეხედულებას, რაც მანამდე ანტონ ფუცელაძემ და აკაკი წერეთელმა გამოთქვეს. კერძოდ, ამ კრიტიკოსების მიერ ნალკად ფასდება ილიას თვისება – თავის სიმაღლეზე აიყვანოს განსახიერებული ლირიკული სუბიექტები.

ალექსანდრე ცაგარლის ამ წერილში წამოყენებული დებულებები ილიას ლირიკასთან დაკავშირებით, როგორც ვნახეთ, მრავალმხრივაა საყურადღებო. ალექსანდრე ცაგარელმა, მართალია, გარკვეულ დონეზე გაიზიარა წინამორბედი კრიტიკოსების შენიშვნები (მაგ., ილიას პოეზიის გადაჭარბებულ რიტორიკულობასთან დაკავშირებით), მაგრამ, მეორე მხრივ, მათ არაერთ მოსაზრებას არგუმენტირებულად დაუპირისპირდა. ანტონ ფუცელაძის, გიორგი ბარათაშვილის, ბარბარე ჯორჯაძისა და აკაკი წერეთლისაგან განსხვავებით, ალექსანდრე ცაგარელმა მიუთითა, რომ ილიას სახით თანდაყოლილ პოეტურ ნიჭთან, ჭეშმარიტ ლირიკულ ტალანტთან გვექონდა საქმე. ძალზე საგულისხმოა აგრეთვე ალ. ცაგარლის მოსაზრებები ხალხურ პოეზიასთან ილიას სიახლოვის, მისი პოეტური ფრაზის სიმძლავრის, ილიას სევდის ბუნებისა და სხვ. საკითხთა შესახებ.

ილიას ლირიკის მხატვრული ბუნების შესახებ საინტერესოა თვალსაჩინო ქართველი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის **ნიკო ნიკოლაძის** თვალსაზრისიც. ჯერ კიდევ 1871 წელს ერთ-ერთ კორესპონდენციაში („საქართველო“, გაზ. „დროება“, 1871 წ. # 26) ნიკო ნიკოლაძემ ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით

მოიხსენია. მან აღნიშნა, რომ მრავალი თანამედროვე პოეტი მხოლოდ ლექსის კეთილხმოვანებას, ფორმალურ მხარეს აქცევს ყურადღებას და არ ზრუნავს აზრის მკაფიოდ, ხატოვნად გამოთქმისათვის. ნიკოლაძის თქმით, „ჩვენს ლიტერატურაში ამ ცოდვაში უმანკოდ დარჩა მარტო ნ. ბარათაშვილი და ილ. ჭავჭავაძე“ (ნიკოლაძე 1871: 2).

ილიას ლირიკას ეხება ნ. ნიკოლაძე „გლახის ნაამბობისადმი“ მიძღვნილ სპეციალურ წერილშიც. ძალზე საგულისხმოა კრიტიკოსის მიერ ილიას პოეზიის ღირსებათა აღნიშვნა იმ დროს, როდესაც ილიას პოეტური ნიჭისადმი სალიტერატურო წრეებში გარკვეული სკეპსისი არსებობდა. უპირველეს ყოვლისა, ნ. ნიკოლაძე ყურადღებას ამახვილებს ილიას პოეზიის ხალას, ხალხურ ენაზე და ზოგადად სიახლოვეზე ხალხურ შემოქმედებასთან, რომლისგანაც პოეტმა საუკეთესო ტრადიციები იმეძკვიდრა. ილიას ლექსებში, ნიკოლაძის თქმით, „ჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა, თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავი და მაინც ლაზათიანი გამოთქმა. ეტყობა, რომ ილ. ჭავჭავაძეს ჩვენი ხალხის პოეზიისათვის ყური უთხოვებია, მის ხასიათს გაცნობია, მისი სულით აღვსილა“ (ნიკოლაძე 1873: 431).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ილიას პოეზიის შეფასების საკითხში ნიკო ნიკოლაძემ მაინც არათანმიმდევრულობა გამოავლინა. გაზეთ „Новое Обозрение“-ს 1889 წლის 1865-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე“ ნიკო ნიკოლაძემ უარყო თავისი ადრინდელი შეხედულება ილიას ლირიკის შესახებ. კრიტიკოსის კატეგორიული დასკვნით, აკაკი წერეთელი „ერთადერთი მგოსანია უკანასკნელი საუკუნის ნახევრის ქართველ მოლექსეთა შორის. ამას იმ მნიშვნელობით ვამბობ, – წერს ნიკოლაძე, – რომ მხოლოდ აკაკი წერეთელს აქვს ბუნებიდან მიმადლებული სპეციფიკური ნიჭი, რომელიც პოეტებს ქმნის“ (ნიკოლაძე 1985: 35). ნიკო ნიკოლაძე ერთმანეთს ადარებს ილიასა და აკაკის პოეტურ ბუნებას და აღნიშნავს, რომ „როგორც პოეტს, ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთლის ნიჭის ნამცეციც არ მოეპოვება. მისი ლექსები ნახელოვნებია, მძიმე

არამხატვრული და ბევრი ოფლითა და რიტორიკით გაჟღენთილი“ (ნიკოლაძე 1985: 40). კრიტიკოსის აზრით, ილიას ლექსები თავისთავად არ იბეჭდებიან მკითხველის ცნობიერებაში და ძნელია მათი დამახსოვრება, მაშინაც კი, როდესაც სპეციალურად ვცდილობთ მათ დასწავლას. მიუხედავად ამისა, ნიკოლაძის თქმით, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად მაინც ილია ჭავჭავაძე გვევლინება და მისმა პოეზიამ ბევრად უფრო დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, ვიდრე აკაკის ლირიკამ. კრიტიკოსი ამ გარემოებას შემდეგი მიზეზით ხსნის: „ერთი – შედარებით ნაკლებ დაჯილდოებული ბუნებისაგან, ყოველთვის შეუსვენებლად ავარჯიშებდა მთელ თავის ძალ-ღონეს, რომ თავისი ნიჭისათვის მიეცა მთელი ის განვითარება და ძლიერება, რომელიც მისაწვდომი იქნებოდა მისთვის... მეორემ კი ჭეშმარიტად პოეტად დაბადებულმა, სრულიად არ დაატანა თავს ძალა, თავისი პოეტური ნიჭი არ აღჭურვა მისი განმავლობის ყველა აუცილებელი ელემენტით და ამიტომაც იგი ვეღარ გასცილდა თავისი შიშველი ბუნების პირველყოფილ სიწმინდესა და უბრალოებას“ (ნიკოლაძე 1985: 41-42). ამიტომაც ვერ დაიჭირა აკაკიმ, ნიკოლაძის თვალსაზრისით, ის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რაც მას ბუნებით ეკუთვნოდა.

1892 წელს გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი, რომელსაც საგანგებო რეცენზიით გამოეხმაურა **სილოვან ხუნდაძე**. უკვე ის ფაქტი, რომ მისი წერილი დაიბეჭდა ილიას „ივერიასთან“ იდეურად დაპირისპირებულ გაზეთ „კვალში“ (1894, # 20, 29, 30) მიუთითებდა, რომ ილიას წიგნის შეფასებისას კრიტიკოსი ტენდენციურობას თავს ვერ დააღწევდა.

ს. ხუნდაძე სტატიის შესავალში აღნიშნავს, რომ იგი ხელს ჰკიდებს საკმაოდ უსიამოვნო საქმეს, – პირუთვნელად შეაფასოს ილია ჭავჭავაძის ლირიკული პოეზია, რის გამოც იგი მრავალ უსიამოვნებას მოელის მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემელთა მხრიდან.

კრიტიკოსი ქრონოლოგიურად მიჰყვება ილიას თხზულებათა პირველ ტომში მოქცეულ ლექსებს და კრიტიკულ შენიშვნებს ურთავს მათ.

ს. ხუნდაძე თავდაპირველად ეხება ლექსს „ყვარლის მთებს“, რომელსაც იწუნებს გადაჭარბებული რიტორიკის გამო. იგი ადარებს ილიას ნაწარმოებს გრიგოლ ორბელიანის ლექსს „სადამო გამოსაღმებისა“. იგი წერს: „ყვარლის მთებში“ ბევრი გრძნობაა გამოთქმული, მაგრამ ეს გრძნობა, ჩვენის აზრით, ერთობ გაზვიადებულია, სიტყვები სჭარბობს გრძნობის ძლიერებას და მით აფერმკრთალებს წრფელ სიყვარულს. 16 წლით ჩვენ პოეტზე წინეთ გრიგოლ ორბელიანმა აგვიწერა გამოსაღმების მწვავე წუთები ლექსში „სადამო გამოსაღმებისა“. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ამ ორ ლექსს შორის! „სადამო გამოსაღმებისას“ როცა წაიკითხავთ, გული ისე არ დაგიმშვიდდებათ, თუ მეორედ, მესამედ და მრავალჯერ არ წაიკითხეთ. ამის მიზეზი ის არის, რომ პოეტი მრავალ გრძნობას აგვიძრავს გულში და იმათ გამოსახატავად ბევრ სიტყვას არ ხარჯავს“ (ხუნდაძე 1894 ა: 500). უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსი არცთუ გამართლებულ შეპირისპირებას მიმართავს. მართალია, ორივე ლექსი განშორების თემას ეხება, მაგრამ დიამეტრულად განსხვავებულია მათი კონცეპტუალური მიზანდასახულობა, ერთი სატრფიალო ლირიკის ნიმუშია, მეორე – პატრიოტულის. ორივე პოეტი, გრძნობათა გამოხატვის თავისებურ გზას ირჩევს, ამიტომაც ერთ მიდგომას მეორისათვის სანიმუშოდ ვერ დავსახავთ. კრიტიკოსის ერთადერთი შენიშვნა, რომელიც ნამდვილად გასაზიარებელია, ეხება სიტყვათშეთანხმებას „მძვიფრნი ქარნი“, რომელიც ყურს სჭრის წერილის ავტორს – „მძაფრი ქარი კი გვესმის, რა არის. და მძვიფრნი ქარნი ვერ გავიგეთ, სიტყვა მძვიფრნი ლექსიკონში არ იპოვება“ (ხუნდაძე 1894 ა: 501).

ს. ხუნდაძე იწუნებს ლექსს „სანთელი“, რომელიც, მისი აზრით, „არაფერს წარმოადგენს“ აზრით და ფორმით. ლექსი „ხმა სამარიდამ“ ასევე ირონიული შენიშვნების განწყობაზე აყენებს კრიტიკოსს, მისი აზრით, ამ ლექსში პოეტმა ვერ დაძლია მის წინაშე მდგარი ამოცანა. „ხმა სამარიდამ“ „წარმოადგენს მდივანბეგს, ხალხის მცარცველ-მგლეჯელის აღსარებას, თუ როგორ ეპყრობოდა ის გაჯავრებულ ადამიანებს და უსამართლობით ზრდიდა და ტენიდა თავის ჯიბეს. ჩვენ პოეტს, როგორც ჩანს, სატირულ კილოზე მოუწყვია თავისი ჩანგი, მაგრამ, სატირის მაგიერ,

მდივანბეგს ბოროტმოქმედების მშრალი ანგარიში წარმოუდგენია მკითხველისათვის (ხუნდაძე 1894 ა: 502).

კრიტიკოსის მოწონებას იმსახურებს ლექსი „ქართვლის დედას“, რომელიც მისი აზრით, ფორმითაც და შინაარსითაც პასუხობს ლირიკული პოეზიის მოთხოვნებს. ლექსი „გავსწორდეთ ბედო“ ს. ხუნდაძეს სამართლიანად აგონებს ბარათაშვილის ლირიკის მოტივებს, მაგრამ ფიქრობს, რომ ილია მაინც ვერ მაღლდება რომანტიკოსი პოეტის მხატვრულ დონემდე.

ს. ხუნდაძის თქმით, ჭეშმარიტი პოეტური გრძნობითაა სავსე აგრეთვე ილიას „ალაზნის“. იგი აქაც პარალელს ავლებს ბარათაშვილის პოეზიასთან („პიქრნი მტკვრის პირას“). ღრმაშინაარსიან, მაგრამ ფორმოზრივად სუსტ ლექსად მიაჩნია კრიტიკოსს „ნანა“.

სილოვან ხუნდაძის წერილის მიხედვით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ასპექტი, რაშიც იგი ხედავს ილია ჭავჭავაძის, როგორც ლირიკოსის სისუსტეს:

1) რითმების არაკეთილხმოვანება (მაგ.: ჩემს ცრემლს – ნუგეშს. ჰაერის სისქეს – მწუხარს თვალსა ჩემს და სხვ.).

2) დიალექტური ფორმების გამოყენება (მაგ.: მერედ, მინამ, გარშამო, დავიწყობ და ა. შ.).

3) ბრუვათა ნიშნების მოკვეცა და სიტყვების უშნოდ შემოკლება (მაგ.: სცემდა წმინდ ნათელს, ან შენმ გიჟმა რა იცოდა, ყვავილს სწოწნს და სხვ.).

4) ცეზურის დარღვევა ლექსებში (დაბალი და მაღალი შაირის შერევა).

5) იმ ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რომლებიც თავიანთი სიმკვეთრით უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ლექსის კეთილხმოვანებაზე (მაგ.: ქართვლის, ღმრთის, ჰშვრება და სხვ.).

6) პარონომაზია (კლდე ქვისა, არ ძალმიძს ვერრით გაძლება და ა. შ.).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სილოვან ხუნდაძის მსჯელობა მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ბევრად უფრო კონკრეტული ხასიათისაა და სათანადო მხატვრული მასალითაც ილუსტრირებული. კრიტიკოსი არ რჩება

მხოლოდ ზოგად განცხადებათა ამარა. იგი კონკრეტული მაგალითებით ცდილობს საკუთარი მოსაზრების დამტკიცებას და მისი ზოგიერთი შენიშვნა ნამდვილად გასათვალისწინებელია. თუმცა, კრიტიკოსის არაერთი დაკვირვება მაინც არაა გასაზიარებელი.

მაგალითად, ლიტერატურათმცოდნეობაში უდავო ფაქტადაა მიჩნეული, რომ რითმათა მრავალფეროვნება მაინცდამაინც არ არის ნაწარმოების პოეტურობის განმასაზღვრელი ფაქტორი, ისევე როგორც სუსტი რითმები არ გულისხმობს იმთავითვე პოეტური ტექსტის სისუსტეს.

არც ლექსში რიტმული ცვალებადობა შეიძლება ჩაითვალოს უდავო ნაკლად, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, ეს ხერხი ილიას შემოქმედებაში, როგორც ლ. მინაშვილი მიუთითებს, „მკითხველის ყურადღების სათქმელ შინაარსზე გადატანას ემსახურება“ (მინაშვილი 1995: 152).

იმავეს თქმა შეიძლება ილია ჭავჭავაძის ლირიკის ლექსიკურ ფონდზეც, მკვეთრ ფრაზებსა და გამოთქმებზე, – მწერლის მისწრაფებაზე შექმნას ქართული ენისათვის არაჩვეულებრივი ლექსიკური ფორმები და ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები. დავიმოწმებთ ისევ პროფესორ ლადო მინაშვილის აზრს: „ილია ლექსზე მუშაობისას ირჩევს „მძიმე“ გამოთქმებს და ქართული ენისათვის ერთგვარად უჩვეულო ფორმებს. ამითი პოეტი აზრითი შინაარსით დატვირთულ თითოეულ ფრაზას სიმყარეს ანიჭებს იმ გაგებით, რომ თითქოს ნელა, დაკვირვებით გაატარებს მათ მკითხველის ცნობიერებაში მათი მნიშვნელობის ხელშესახებად წარმოდგენის, გაგების მიზნით, საზოგადოდ ლექსის აზრობრივ მხარეზე ყურადღების გამახვილების მიზნით“ (მინაშვილი 1995: 152). სილოვან ხუნდაძეს ეს გარემოება არ აქვს გათვალისწინებული.

1894 წელს „საქართველოს კალენდარში“ ი-ნი ამერის ხელმოწერით გამოქვეყნდა წერილი „ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“, რომელიც მიზნად ისახავს ილიას ლიტერატურული მოღვაწეობის ზოგად შეფასება-დახასიათებას. საყურადღებოა წერილში გამოთქმული მოსაზრება ილიას ლირიკული პოეზიის

შესახებ. მისი აზრით, ილიას ლექსები ნიმუშია მთლიანი, დასრულებული პოეტური ტექსტებისა, სადაც ყველა სიტყვა საკუთარ ადგილზეა. „რაც გინდა პატარა იყოს ლექსი, იგი დამთავრებულია, მას არა აკლია რა არც თავში, არც შუაწელში და არც ბოლოში, თანა ყოველი ნაწილი ლექსისა შეზავებულია ისე, რომ მეტ-ნაკლებობა არ გიმღვრევთ გონსა (ი-ნი ამერი: 1894: 97).

ილიასა და აკაკის პოეტურ ბუნებათა ურთიერთმიმართების საკითხს გაკვრით ეხება **ზაქარია ჭიჭინაძე** 1897 წელს გამოცემულ წიგნაკში „აკაკი“. იგი აღნიშნავს, რომ ილიას პოეზია აზრის პოეზიაა, მას ინტელექტის ძალდატანების კვალი ეტყობა, აკაკის ლირიკა კი ჭეშმარიტი პოეტური შთაგნობის ნაყოფია: „მართალია, ილია ჭავჭავაძეც მაღლით ცხებული მწერალ-მგოსანია, მაგრამ ეს უფრო ჰაზროვნების მიმყოლია, ეს ყოველს თავის ლექსს სთხუზავს, ჰკაზმავს, ამშვენებს და ისე ჰბეჭდავს... აკაკი შობილია ნამდვილ მგოსნათ ზემთაგონების ძალოვნებისაგან ამალღებულის ნიჭით, როგორც შოთა რუსთაველი“, – წერს **ზაქარია ჭიჭინაძე** (ჭიჭინაძე 1985: 53).

1898 წლის 24 მაისს ჩაფიქრებული იყო ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის იუბილის აღნიშვნა, რომელიც მწერლის არაკეთილმოსურნეთა თავგამოდებით ჩაიშალა. თუმცა სპეციალურად ამ დღისათვის დაიწერა **მიხეილ ნასიძის** (მეგახლავარ) წიგნაკი „თ. ილია ჭავჭავაძე – ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“.

გარდა ზოგადი ხასიათის შეფასებებისა, ნაშრომში ილიას შემოქმედების შესახებ კონკრეტულ დაკვირვებებსაც ვხვდებით.

მიხეილ ნასიძე თავდაპირველად ილიას ლირიკას ახასიათებს. იგი საკვებით სწორად მსჯელობს პოეზიის ბუნებაზე. მ. ნასიძე აღნიშნავს, რომ ნაწარმოების პოეტურობას არ განსაზღვრავს მხოლოდ ლექსწყობა. პროზაული ფორმით გამოთქმული აზრი შეიძლება ბევრად უფრო პოეტური იყოს, ვიდრე ლექსითი ფორმით დაწერილი. „ცხადია და ძველისძველი ჭეშმარიტებაა, რომ პოეზიის მთავარი თვისება ლექსთა განწყობა არ არის. ძალიან კარგის ლექსებით შეიძლება

დაიწეროს პროზა, აგრეთვე ულექსოდ არიან დაწერილები უმშვენიერესნი პოეტურნი თხზულებანი. ერთს დროს არითმეტიკას ლექსად სწერდნენ, რომ მოწაფეს ადვილად გაეზეპირებინა არითმეტიკული წესები და კანონები, რასაკვირველია, ეს პოეზიის ნაყოფი არ იყო, რაც გინდა ჰარმონიული და კოხტა ლექსთწყობა გამოსულიყო“ (ნასიძე 1898: 540).

ავტორი თავის წერილში იმ მოსაზრებას ავითარებს, რომ პოეზია იგივე ფილოსოფიაა, ოღონდ მხატვრული სახეებით გამოთქმული. იგი თავად ილია ჭავჭავაძის ადრეულ შეხედულებას ეყრდნობა, რომ პოეზია თავისი არსით არის სახეობრივი აზროვნება. ამიტომაც ჭეშმარიტი პოეზიის უმთავრესი მახასიათებელი, კრიტიკოსის თქმით, უნდა იყოს მდიდარი სახეობრივი სამყაროს არსებობა: „ხშირად გაუგონია ქართველის ჩვენებურ კრიტიკოსებისაგან. ილიას ლექსი მძიმეა, ნაკეთებია, ძნელად იკითხებაო და სხვა. ცხადია, რომ ამის მთქმელი აქცევს ყურადღებას გარეგნობას, ფორმას, რომელსაც პოეზიაში სულ მდაბალი და უკანასკნელი ადგილი უჭირავს, რუსთველის ლექსებიც ახლა ცოტა არ იყოს მძიმედ იკითხება: ვითომ ამიტომ მათში პოეზიამ იკლო? ყველაზედ ადვილად იკითხება:

ყანწით ვსვამ ღვინოს
თქვენს სადღეგრძელოს,
და გაუმარჯოს
ჩვენს საქართველოს!

ანუ

ეო, მეო
ძმაო დემეტრეო!
წმინდა ნინოს კარები
როგორ გააღეო?
ხელი შევყავ ვაჩხარუნე,
ისე გავტეხეო... და სხვ.

ამიტომ ეს ლექსი თვალი და მარგალიტია პოეზიისა?“ (ნასიძე 1898: 541).

ლექსის ფორმოზრივი სიმარტივე, ფორმის ადვილად აღქმადობა, მიხეილ ნასიძის მართებული შენიშვნით, სრულიადაც არაა ნაწარმოების პოეტურობის უმთავრესი პირობა. ეს მის მიერ მოყვანილი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს. ნაწარმოების პოეტურობის საზომი, კრიტიკოსის თქმით, ისევ და ისევ სახეობრივ აზროვნებაშია საძიებელი, თუ რამდენად ცხოველ და ორიგინალურ პოეტურ ხატებს გვაწვდის შემოქმედი. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ ილიას პოეზიას, მ. ნასიძის თქმით, იგი სრულად პასუხობს პოეტური ნაწარმოების წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს: „მითხარით, რა ემართება „საშუალო ქართველის“ გულსა, როდესაც იგი კითხულობს „დიმიტრი თავდადებულს“, „ელეგიას“, „განდეგილს“, „აჩრდილს“. იგი გული ხან იტანჯება, ხან ხარობს, ხან იცინის, ხან სტირის. იგი გული ბუდეში ვეღარ დგება, ვეღარ მოთავსებულა, იგი იწევს გარეთ სამოქმედოდ „სიკეთისა“ და „სიმშვენიერის“ სახელით... და აი უტყუარი ატესტატი უტყუარის და მაღალის პოეზიისა. დიახ, ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, უდიდესი მხატვარია (художник) და მან და მხოლოდ მან მოუპოვა მას ჩვენში სახელი დიდის პოეტისა“ (ნასიძე 1898: 541). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მიხეილ ნასიძის განცხადება მაინც ზოგად შეფასებად რჩება და იგი ვერ ახერხებს კონკრეტული მაგალითებით გაგვითვალსაჩინოვოს და წარმოაჩინოს ილიას ორიგინალური სახეობრივი აზროვნება.

მ. ნასიძე სავსებით სამართლიანად უპირისპირდება იმ თვალსაზრისს, რომელიც ერთმანეთისაგან ხლეჩს მხატვრული ნაწარმოების ფორმასა და შინაარსს: „იტყვიან ხოლმე ჭავჭავაძის ლექსი პოეზიით კი არ მოქმედობს ხალხზედ, არამედ მაღალის აზრებით და შინაარსითო. ამის მთქმელს, მკითხველო, ნუ შეგეშინდება და პირდაპირ უთხარი, რომ მას არაფერი გაეგება პოეზიაში. ლექსი, მოთხრობა, რომანი, რომელიც აშენებულია ტენდეციაზედ, სწავლა-მოდღვრებაზედ, თუ გინდ მთელის ქვეყნის ფილოსოფია იყოს შიგ მოთავსებული და პოეზიას კი მოკლებულია, არა

ღირს არც გროშათ, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, იგი ვერ გაიკვლევს მის დღეში გზას ადამიანის გულისკენ, ვერ გაათბობს, ვერ აათრთოლებს, - ეს პოეზიის მადლია და არა ბრძნული აზრებისა“. კრიტიკოსის სამართლიანი შენიშვნით, ფორმა და შინაარსი არ არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და თუ ილიას თხზულებები დიდ მხატვრულ ზემოქმედებას ახდენენ მკითხველზე, ეს არა ერთი რომელიმე კომპონენტის, არამედ მხატვრული ნაწარმების, როგორც მთლიანობის, მისი ფორმისა და შინაარსის ერთიანობის დამსახურებაა.

სავსებით სწორად მსჯელობს კრიტიკოსი რომანტიკოსთა ლირიკასთან ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ურთიერთმიმართების საკითხზე. მისი თქმით, გრიგოლ ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედება მთლიანობაში მაინც პრინციპის – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ გამოხატულებად რჩება: „გრიგოლ ორბელიანი და ალ. ჭავჭავაძე, მაგალითებრ, უფრო ჩაითვლებიან მსახურებად „წმინდა ხელოვნებისა“. „დღიური ვარამი“ და სამოქალაქო მოტივები ნაკლებად იქცევენ მათს ყურადღებას“ (ნასიძე 1898: 542). ნიკოლოზ ბარათაშვილი, მ. ნასიძის თქმით, უდიდესი პოეტია, მაგრამ მისი შემოქმედება არაა თემატურად ისე მრავალფეროვანი, როგორც ილია ჭავჭავაძის პოეზია. სწორედ ამიტაა გამორჩეული ილია მეცხრამეტე საუკუნის ქართველი პოეტებისაგან: „ილია ჭავჭავაძის მუზა ისე ღრმად ვერ ჩაფრინდება კაცის გულში, როგორც ბარათაშვილისა, ნაცვლად ამისა განიერ გზას გაიტანს. ერთი თუ სიღრმით დაჰკრავს, მეორე სიგანით, ფრთაგაშლილობით – ნ. ბარათაშვილის მუზა დაგწვავთ, ჯვარს გაცმევთ და დაგტოვებთ ისე. ილია ჭავჭავაძის მუზას ხან თუ პესიმიზმი შეიპყრობს, ხან ოპტიმიზმიც ესტუმრება ხოლმე. თემების სიმრავლით და მრავალფეროვნებით ილია ჭავჭავაძე მაღლა დგას ბარათაშვილზედ, მხოლოდ მისს ლექსს არ ძალუძს ღრმად ჩასვლა კაცის გულში, როგორც პირველისას“ (ნასიძე 1898: 542).

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში პერიოდულ პრესაში კრიტიკული პუბლიკაციების გამოქვეყნება დაიწყო სრულიად ახალგაზრდა ავტორმა, შემდეგში მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის

პირველი სისტემური კურსის შექმნელმა, თვალსაჩინო კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა კიტა აბაშიძემ. 1898 წელს მან ჟურნალ მოამბის ორ ნომერში (#8, 9) გამოაქვეყნა ეტიუდი ილია ჭავჭავაძეზე („ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან: თ-დი ილია ჭავჭავაძე“), რომელიც მცირედი რედაქტირების შემდეგ ავტორმა შეიტანა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ (1911-1912).

სხვა საკითხებთან ერთად კიტა აბაშიძე თავის ეტიუდში ილია ჭავჭავაძის ლირიკულ პოეზიასაც განიხილავს. უპირველესი ნიშანი ილიას ლირიკისა, კრიტიკოსის თქმით, არის ის, რომ პოეტმა მანამდე არნახული ძალით გაახშირან ჩვენს ლიტერატურაში პატრიოტული მოტივი. ღვთაებრივი გრძნობა მამულის სიყვარულისა აქცია მან თავისი ლირიკის მამოძრავებელ ძალად. კიტა აბაშიძის თვალსაზრისით, საპროგრამო იყო პოეტის სიტყვები „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“. მისი თქმით, ილიას „განსხვავება სხვა პოეტებისაგან აქვე იწყება“. კიტა აბაშიძის განსაზღვრებით, საქართველოს აღდგენა იქცა „იდე-ფიქსად“ ილიას შემოქმედებისა. ეს განცდა წარმართავდა ილიას მთელს ლიტერატურულ მოღვაწეობას და ამაზე მეტყველებს პოეტის ერთ-ერთი ბოლო ლექსიც („ბაზალეთის ტბა“).

კიტა აბაშიძის თვალსაზრისით, რეალიზმის სათავეებთან ქართულ პოეზიაში ილია ჭავჭავაძე დგას: „პოეზიაში თ. ილია ჭავჭავაძე გახლავსთ რეალიზმის განმამტკიცებელი, რეალიზმის პოეზიაში გამაძლიერებელი“ (აბაშიძე 1898: 14). უნდა ითქვას ისიც, რომ კიტა აბაშიძეს თავისებური განმარტება აქვს რეალიზმისა, რომლის მიხედვითაც, რეალიზმი „უპირადო გრძნობების გამოსახვაა“. ცხადია, ეს განმარტება სადღეისოდ სწორად ვერ იქნება მიჩნეული, რამდენადაც პიროვნული გრძნობა-დამოკიდებულებების გამოხატვის გარეშე ლიტერატურა საერთოდ ვერ იარსებებს.

კ. აბაშიძის თქმით, რომანტიკოსთა ლირიკა უპირატესად პირად-ინდივიდუალურ გრძნობათა სფეროში რჩებოდა, ილიას პოეტური ნოვატორობის საფუძველი კი ისაა, რომ მან საზოგადოებრივი აქცია თავისი ლირიკის უმთავრეს

საგნად: „უმთავრესი ტემა, საგანი ი. ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემებისა საზოგადოებრივი ხასიათისაა. იშვიათად მოიძებნება არა თუ ჩვენს ლიტერატურაში, თვით ევროპულშიაც კი მწერალი, რომელსაც მისებრ ცოტა ყურადღება მიექცის პირად გრძნობათა გამოხატვისათვის“ (აბაშიძე 1898: 19).

კიტა აბაშიძე უპირისპირდება ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ილიას, როგორც ლირიკოსს, აკლია ნიჭი და ერთგვარად ეძნელება გრძნობათა გამოხატვა ლირიკული ფორმით.. კრიტიკოსის თქმით, სინამდვილეში ამგვარი მიდგომა ილიას განცობიერებული არჩევანია, რადგან მისი ამოცანაა არა ვიწრი ინდივიდუალური გრძნობების გადმოცემა, არამედ საზოგადოებრივად ღირებული განცდების გადმოშლა მკითხველის წინაშე.

კიტა აბაშიძე მიუთითებს, რომ თუ მოისურვებდა, ილიას შესანიშნავად შეეძლო პირად-ინტიმური გრძნობების გამომხატველი ლირიკული ნიმუშების შექმნაც. ამის ბრწყინვალე დასტურია, კრიტიკოსის აზრით, ილიას მუხამბაზური მეტრით შესრულებული ლექსი „აღარც ნატვრა და აღარც იმედია“: „აღარ უნდა ბევრი ლაპარაკი, რომ ავტორს „აღარც ნატვრა და აღარც იმედია“-სას შეეძლო თავისი ლირის პირადის კვნესისა და ოხვრის გამომთქმელი სიმები აეჟღერებინა, მაგრამ როგორც კი მისი ხელი აიწევდა, რომ ჩონგურზედ პირადის გრძნობის გამომხატველი ხმები დაეკრა, შეგნებული აზრი მოვალეობისა ხელს, სიმთან მიტანილს, ქვად აქცევდა“ (აბაშიძე 1898: 24).

გარკვეულწილად ეწინააღმდეგება საკუთარ თავსვე და წინამორბედი კრიტიკოსების შეხედულებას იმეორებს კიტა აბაშიძე, როდესაც წერს, რომ „თ. ჭავჭავაძეს ხშირად პირადი ლირიზმი ეპარება ხოლმე სხვის გრძნობის გამოხატვაში და ხშირად პოეტის „მე“ ამოჰყოფს თავს სხვისი სახით... პოეტი თვით ჩნდება მუშის გრძნობათა გამომხატველად... მუშის პირით პოეტი ლაპარაკობს, ანდა უკეთ ვსთქვათ, თვით პოეტის პირით გამოსთქვამს მუშა მას, რასაც გრძნობს, ან უნდა ეგრძნო. ამით ჩვენი პოეტი რომანტიკოსობს“ (აბაშიძე 1898: 26). აქაც მეთოდოლოგიურ ხარვეზთან გვაქვს საქმე, ამ შემთხვევაში ავტორის პირადი

გრძნობის გამოვლენა, რა თქმა უნდა, რომანტიკული ნაკადის გამოვლენად ვერ ჩაითვლება.

საინტერესოა კიტა აბაშიძის თვალსაზრისი ბუნების გრძნობის გამოვლენის თავისებურებათა შესახებ ილია ჭავჭავაძის ლირიკაში. კრიტიკოსის განსაზღვრებით, ილია-ლირიკოსს ნაკლებად აინტერესებს ბუნების თავისთავადი ღირებულება. იგი წერს: „როცა პოეტი ბუნებას გვისურათებს, მას არც ბუნების გარეგანი სიმშვენიერე იტაცებს, არც ის გავლენა, რომელიც მას აქვს პოეტზედ ამა თუ იმ განწყობილებების დროს“. ბუნება ილიასთან პატრიოტულადაა გაშინაარსებული და მისი სურათები პოეტის ფიქრს პატრიოტულ მიმართულებას აძლევს: „როცა ბუნება ხარობს, როცა „აყვავებულა მდელი, აყვავებულან მთები“, სამშობლო აგონდება და სევდიანად ეკითხება: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აღყვავდები?“, როცა ბუნებასა სძინავს... მას კიდევ აქაც თავისი ქვეყნის „ტანჯვით ამოძახილი კვნესა“ ესმის“ (აბაშიძე 1898: 27).

კიტა აბაშიძე ყურადღებას ამახვილებს ილია ჭავჭავაძის სატირულ ლირიკაზე და აღნიშნავს, რომ ილიას სარკაზმი ხანხდახან მწვერვალს აღწევს. ამის დასტურად კრიტიკოსს მოჰყავს ილიას ლექსი „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, ანუ ჩვენი ისტორია მე-19 საუკუნისა“ და აღნიშნავს, რომ „ილია ჭავჭავაძის სატირას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში, რადგან საზოგადო ხასიათისაა, მთლად მთელის ერის ძირითად ნაკლულევანებათ ეხება და არა აქვს სახეში კერძო მოვლენა, ანუ კერძო ჯგუფი საზოგადოებისა“ (აბაშიძე 1898: 29).

ასეთია კიტა აბაშიძის ძირითადი თვალსაზრისი ილიას ლირიკული პოეზიის შესახებ.

როგორც ვხედავთ, მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ორი ძირითადი თვალსაზრისი გამოიკვეთა ილია ჭავჭავაძის პოეზიის ირგვლივ. ერთი მათგანის მიხედვით, ილიას პოეზია მოკლებული იყო ჭეშმარიტ ლირიკულობას, რისი მიზეზიც გალხდათ მისი ლირიკის ზედმეტად მჭევრმეტყველური ხასიათი (ამ მოსაზრებას სხვადასხვა ფორმით გამოთქვამენ ანტონ

ფურცელაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე), არამუსიკალურობა, ფორმოზრივი დაუხვეწაობა, რიტმული გაუმართაობა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ილიას პოეზიის ამგვარად შემფასებელთა უმრავლესობა პოლემიკურ დამოკიდებულებაში იყო მასთან და ამანაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი ასეთი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას.

მეორე შეხედულების თანახმად, ილია ჭეშმარიტი ლირიკული ტალანტით დაჯილდოებული პოეტი იყო (ამ მოსაზრებას გამოთქვამენ ალ. ცაგარელი, მ. ნასიძე, კ. აბაშიძე), რომელიც რეალიზმის ფუძემდებლად გეგველინება ქართულ პოეზიაში. ამ კრიტიკოსებმა ყურადღება გაამახვილეს ილიას ლირიკის ისეთი მხატვრული თავისებურებების შესახებ, როგორებიცაა: თემატური მრავალფეროვნება, სიახლოვე ხალხურ პოეზიასთან, პოეტური ფრაზის სიმძლავრე და სხვ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ერთი, ისე მეორე შეხედულების მომხრეების მსჯელობას მომეტებულად მაინც ზოგადი ხასიათი ჰქონდა და მაინც ნაკლებად იყო ილუსტრირებული კონკრეტული მხატვრული მასალით.

საკითხი ილიას პოეზიის ბუნების შესახებ დიდხანს იყო ლიტერატურათმცოდნეთა პოლემიკის საგანი და იგი საბოლოოდ სათანადოდ დამუშავდა პროფ. ლადო მინაშვილის მიერ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „ილია ჭავჭავაძე“ (თბილისი, 1995). მკვლევარმა წარმოაჩინა, რომ ნაწარმოების ლირიკულობის მთავარი ნიშანია სულიერი მღელვარება. ლირიკა მღელვარებით აღბეჭდილი პოეტური გვარია და ამ მოთხოვნას სათანადოდ პასუხობს ილიას პოეზიაც. „როდესაც ილია ჭავჭავაძის ლექსების მხატვრული ღირსება ფასდება, როდესაც მისი ნამდვილი ლირიკულობა ხდება შესამოწმებელი, ამ დროს, ბუნებრივია ამ ლექსების დახასიათება უნდა მოხდეს მღელვარების, ემოციური დაძაბულობის დადასტურების თვალსაზრისითაც (მინაშვილი 1995: 108). ლ. მინაშვილი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ილია არაა ობიექტივისტი ხელოვანის ტიპი, იგი გამუდმებით ცდილობს საგნებისა და მოვლენებისადმი საკუთარი

მიმართების დამყარებას და ამ აზრით, მთელი მისი შემოქმედება მღელვარების ნიშნითაა აღბეჭდილი.

მკვლევარმა საგანგებო ყურადღება მიაპყრო ილიას ლირიკის მჭევრმეტყველურობასაც და გვიჩვენა, რომ ილიას წესად აქვს აამაღლოს განსახიერებული ლირიკული სუბიექტი თავის სიმაღლემდე და რომ „ილიას ლექსის მჭევრმეტყველურობას გაუცვეთელი და სიახლის ნიშნით წარმოდგენილი ლექსიკაც და საზოგადოდ, მეტყველებაც აპირობებს“ (მინაშვილი 1995: 144-145).

ერთი უმთავრესი ბრალდება, რასაც მეცხრამეტე საუკუნის ქართველი კრიტიკოსები უყენებდნენ ილიას ლირიკას, არის რიტმის დარღვევა, დაბალი და მაღალი შაირის შერევის ფაქტები. ამ გარემოებას სათანადო ახსნა მოუძებნა ქართული ვერსიფიკაციის ცნობილმა მკვლევარმა თეიმურაზ დოიაშვილმა. მან დამაჯერებლად ნათელყო ის გარემოება, რომ რიტმულ ცვალებადობას ილიას ლირიკაში ყოველთვის ღრმა მხატვრული ფუნქცია აკისრია და ერთ ნაწარმოებში ინტონირების ორ განსხვავებული ტიპი მის შინაარსთან და სტრუქტურასთან არის ღრმად დაკავშირებული (იხ. დოიაშვილი 1999: 28-64).

სადღეისოდ, შეიძლება ითქვას, რომ უკვე სათანადოდაა წარმოჩენილი ილია ჭავჭავაძის ლირიკის ნოვატორული არსი.

თავი II

ილია ჭავჭავაძის პოეტური ეპოსი

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

§ 2. 1. „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „ქართვლის დედა“

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთი საყურადღებო ნაწილია მისი ეპიკური პოეზია. ილია ლირიკულ და პროზაულ თხზულებებთან ერთად იმთავითვე ქმნის პოეტური ეპოსის ნიმუშებსაც.

„აჩრდილი“ ილიას ერთ-ერთ საპროგრამო ნაწარმოებადაა მიჩნეული. თხზულების პირველი ვარიანტი ავტორმა 1859 წლისათვის დაამთავრა, თუმცა მისი სრულად გამოქვეყნება ვერ მოახერხა. პოემის მხოლოდ ერთი ნაწყვეტი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. საბოლოო ვარიანტის დაბეჭდვა 1881 წელს გახდა შესაძლებელი.

უნდა ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკას მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ გამოუვლენია ამ თხზულებისადმი.

იონა მეუნარგიამ „განდეგილზე“ საუბრისას აღნიშნა, რომ ავტორმა „აჩრდილსა“ და სხვა ნარაწმობებში გამოიჩინა ისეთი პოეტური ნიჭი, რომლის გადაჭარბებაც ვერ შეძლო შემდეგი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში (მეუნარგია 1883).

გარკვერით ეხება „აჩრდილს“ **ესტატი მჭედლიძე** (ბოსლეველი), რომელსაც ეს პოემა მოჰყავს იმის დასტურად, თუ რამდენად ძალუმს ილიას ცხოვრების მოვლენათა შინაგანი კანონზომიერების დანახვა და მხატვრული ხორცშესხმა (მჭედლიძე 1883).

„აჩრდილს“, როგორც ილიას ჭავჭავაძის ერთ-ერთ საპროგრამო ნაწარმოებს თავის ეტიუდში ეხება **კიტა აბაშიძე**. იგი ზოგადად მსჯელობს ნაწარმოების ზნეობრივ პრობლემატიკაზე. ძალზე საყურადღებოა და ზუსტი კრიტიკოსის მიერ ამ ნაწარმოების ჟაბრობრივი დასახიათება. მისი მართებული შეფასებით, „აჩრდილი“ „ლირიკული პოემაა პოეტისა, საზოგადოებრივის კვნესისა და გოდების გამომთქმელი“ (აბაშიძე 1898: 29).

ამის გარდა, ფაქტიობრივად, მწერლის სიცოცხლეში პოემა „აჩრდილზე“ საგულისხმო სხვა არაფერი თქმულა. მას მხოლოდ ასახელებდნენ ილიას სხვა ნაწარმოებთა გვერდით, როგორც მწერლის პოეტური ოსტატობის ნიმუშს.

მაინდამაინც არ ყოფილა კრიტიკისაგან ყურადღებით განვიხილული ილიას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. მას ეხება **ალექსანდრე ხახანაშვილი** რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ წერილში ილიას შემოქმედების შესახებ (ხახანაშვილი 1893) და ძირითადად ნაწარმოების სიუჟეტის თხრობით იფარგლება. პოემაზე საუბრობს კიტა აბაშიძეც თავის ეტიუდში. იგი მიუთითებს, რომ ილიამ ამ პოემაში გაანალიზა ის სოციალური ვითარება, რაც აიძულებდა გლეხს იარაღისათვის მოეკიდა ხელი.

რაც შეეხება ილიას კიდევ ერთ ადრეულ პოემას „ქართველის დედა“, არც ის გამხდარა საგანგებო მსჯელობის საგნად მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში. მასზე ზოგადად საუბრობს ალექსანდრე ხახანაშვილი ზემოთ ხსენებულ წერილში.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ განსაკუთრებული ყურადღება ილიას პოეტური ეპოზის ორი ნიმუშისადმი „მეფე დიმიტრი თავდადებულისა“ და „განდეგილისადმი“ გამოავლინა.

§ 2. 2. „მეფე დიმიტრი თავდადებული“

პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ 1877-1878 წლებში დაიწერა. იგი გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1879 წელს. გამოქვეყნებისთანავე ეს თხზულება კრიტიკოსთა დიდი ვნებათაღელვის საგნად იქცა.

1879 წელსვე დაიბეჭდა **გ. თუმანიშვილის** წერილი „ეხლანდელი ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“, რომელშიც სხვა ნაწარმოებებთან ერთად ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულზეც“ არის ნათქვამი ორიოდ სიტყვა. კრიტიკოსის წერილის მთავრი აზრი ისაა, რომ თანამედროვე ქართული პრესა მეტად უფერულია და ვერ პასუხობს დროის მოთხოვნილებებს. ამ მოსაზრების დასტურად ავტორი ილია

ჭავჭავაძის შემოქმედებას მოიხმობს. გიორგი თუმანიშვილის თქმით, ათი-თხუთმეტი წლის წინ ილია ჭავჭავაძე დიდ გავლენას ახდენდა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე. ახალგაზრდები ბაძავდნენ მას და იზეპირებდნენ მის „მუშას“ და „პოეტს“. შემდეგ კი ილიას პოეტური ნიჭი თითქოს დაიფერფლა. ამის დასტურად მიაჩნია კრიტიკოსს ილია ჭავჭავაძის ახლადგამოქვეყნებული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“: „დიმიტრი თავდადებული“, რომელიც მოიწონა ერთმა, ორმა მწერალმა, წაიკითხეს „ივერიის“ მკითხველებმა და ჩქარა დაივიწყეს. ზოგმა წაიბუტბუტა: „ჭავჭავაძეს აღარ აქვს ძველებური პოეტური ნიჭი“ და ამით გათავდა ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა თავის წამკითხავებზე ილ. ჭავჭავაძის ახალმა ლექსმა“ (თუმანიშვილი 1879: 239).

კრიტიკოსის თქმით, ასეთი შთაბეჭდილება ნაწარმოების შესახებ იმიტომ შეიქმნა, რომ ილიას ენამ ბევრად უფრო მეტი სისადავე შეიძინა ახალ პოემაში, ვიდრე მის ადრინდელ თხზულებებში. „დიმიტრი თავდადებული“ დაწერილია უფრო მსუბუქ ლექსით და ცოცხლ ხალხურ ენით, ვინამც „მუშა“ და „პოეტი“. მართალია თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, რომ ის არ არის მდიდარი ნამდვილი პოეზიით, ე.ი. ვერ იპოვით ცოცხალ სურათებს დახატულებს ხელოვნურად, მრავალფეროვანი ენით, მაგრამ ვერც ეს შენიშვნა აგვიხსნის რასმეს, რადგან ილ. ჭავჭავაძის ლექსს ადრეც ნეკრასოვის ლექსის ხმა ჰქონდა დავარდნილი“ (თუმანიშვილი 1879: 239).

რაში მდგომარეობს ილიას პოეზიის მსგავსება ნეკრასოვის შემოქმედებასთან, კრიტიკოსის აზრით? მისი შეხედულებით, საერთო ორ პოეტს შორის ისაა, რომ მათ პოაზიაში დომინანტობს აზრი და მათი შემოქმედება პასუხობს დროის აქტუალურ სოციალურ პრობლემატიკას.

გ. თუმანიშვილის თქმით, ილია ჭავჭავაძის, როგორც პოეტის ნოვატორობის საფუძველი ისაა, რომ მან მოახდინა თანამედროვეობის იმ თემატიკის აქტუალიზება ქართულ ლიტერატურაში, რაც თავის დროზე სიახლედ აღიქმებოდა. ამასთანავე ილიამ მოიტანა პოეზიისა და პოეტის დანიშნულების ახლებური გაგება ჩვენს სინამდვილეში: „აიღეთ „მუშა“, ის დაწერილია იმ დროს, როცა ჩვენი

განათლებულები თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე ბატონები იყვნენ, გარდა ორიოდ ახალგაზრდასი. დაცინვა ამ უგულო ბატონობაზე და ტირილი „მუშა კაცის“ უბედურებაზე ახალი რამ იყო ჩვენს მწერლობაში. იგივე ითქმის „პოეტზე“. ამ ლექსის დაბადებამდე თითქმის მთელი ქართული პოეზია ჩაყლაპული იყო „ვარდ და ბუღბუღის“, „წალკოტისა და იადონის“, „აშიყთ ჭიკჭიკას“ სიმღერებით. არავის არ აგონდებოდა, რომ პოეტი უნდა იყოს ხალხის შვილი და იმისთვის სულდგმულობდეს. ილ. ჭავჭავაძის „პოეტმა“ გვითხრა ახალი სიტყვა, კაცთმოყვარეობით სავსე, მეტელი ძმობის და თანასწორობის“ (თუმანიშვილი 1879: 240).

ეს ნოვატორული სულისკვეთება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა, გ. თუმანიშვილის თქმით, შემდეგში თანდათან მიინავლა, გაუფერულდა. ამ შემოქმედებითი კრიზისის ნიშნებს ხედავს კრიტიკოსი პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“, რომელშიც, მისი აზრით, „არაფერია ახალი“.

გ. თუმანიშვილს ერთგვარად აღიზიანებს ილიას მხრიდან ისტორიული თემატიკისადმი მიბრუნება და წარსულის იდეალიზაცია: „იქ პოეტი დამღერის მეფეს, რომელმაც თავის დაღუპვა ირჩივნა, თავისა და თავის ქვეყნის დაღუპვასთან ერთად. აქ ძლიერი გმირობა არაფერია, მაგრამ რაც უნდა დიდი გმირობა იყოს, ის არაფერს ახალს არ გვეუბნება“ (თუმანიშვილი 1879: 240). ცხადია, ასეთი მოთხოვნის წაყენება მწერლისადმი შეუწყნარებელია. შეუძლებელია მწერლის ყოველ თხზულებას ნოვატორული ღირებულება მოვთხოვოთ. კრიტიკოსი მითითებასაც კი აძლევს ილიას, თუ რაზე იქნებოდა უმჯობესი, რომ ეწერა. მისი თქმით, მკითხველზე ბევრად უფრო ცხოვლად იმოქმედებდა, პოეტს რომ აღეწერა „ახალგაზრდა, ცხოვრებისაგან ჯერ არ გაფუჭებული კაცის ტანჯვა ერთ ლუკმა პურის შოვნაზე“ (თუმანიშვილი 1879: 239). აშკარაა კრიტიკოსის შეზღუდული ლიტერატურული თვალთახედვა. იგი მხოლოდ ვიწრო სოციალურ თემატიკას მიიჩნევს შემოქმედებითად ღირებულად, თითქოს ასეთი პრობლემატიკა უკვე თავისთავად აპირობებდეს ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას.

„მეფე დიმიტრი თავდადებულს“ გამოეხმაურა ალექსანდრე სარაჯიშვილიც წერილით „მწერლობა“ (გაზ. „დროება“, 1879, # 31). კრიტიკოსმა დაიწუნა ნაწარმოების მთავარი გმირის სახე. მისი შეხედულებით, მწერალმა ვერ მოახერხა დაემლია მის წინაშე მდგარი მხატვრული ამოცანა – ეჩვენებინა მამულისათვის თავდადებული გაუტეხელი გმირი. ალ. სარაჯიშვილის თქმით, დიმიტრი არაა გაუბზარავი სახე. იგი დამოუკიდებლად კი არ მიდის თავგანწირვის გადაწყვეტილებამდე, არამედ დარბაზს მოიხმობს და მღვდელმთავრის შეგონების შემდეგ განიზრახავს ყაენთან წასვლას. ამიტომაც, კრიტიკოსის თქმით, იგი უფრო მსხვერპლია, ვიდრე – გმირი: „მეფე თითქმის სხვის გადაწყვეტილებას ემორჩილება და არა თავის გულის წადილს. ასე რომ დიმიტრი გმირი არ არის, ის მამულის მსხვერპლია, თავის ქვეყნის მოწამე... შეცოდების ღირსია“ (სარაჯიშვილი 1879: 242).

დიმიტრი მეფე კრიტიკოსს სქემატურ სახედ ეჩვენება. მას თითქოს არავინ და არაფერი უყვარს. ის არავის ემშვიდობება წასვლის წინ. მაგრამ, ალ. სარაჯიშვილი იქვე ხსნის ამ გარემოებას. მისი თქმით, მეფის ამბავი თავად ილია ჭავჭავაძეს, როგორც მთხრობელს რომ ეამბნა, მაშინ ყოველივე ამას ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით აღწერდა, მაგრამ ვინაიდან ავტორი ბრმა მეფანტურეს გადმოაცემინებს მომხდარს, იძულებულია „თავისი გმირიც დაამდაბლოს“, რათა არ დაირღვეს მხატვრული დამაჯერებლობა. ასე გადაიქცევა, კრიტიკოსის თქმით, თხზულების მხატვრული ნაკლი მის ღირსებად.

ალ. სარაჯიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ნაწარმოების მხატვრულ ფორმას, ილიას ლექსწყობას. „მისი ლექსი დაემსაგავსება რიგზე წყობილს და გაწვრთნილს ჯარს“ (სარაჯიშვილი 1879: 243). კრიტიკოსი აღნიშნავს იმ გარემოებასაც, პოემა მდიდარია პოეტური სურათებითაც.

ალექსანდრე სარაჯიშვილის რეცენზიას გამოეხმაურა გრ. ვოლსკი (უმწიფარიძე) წერილით „შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა: „დიმიტრი თავდადებული“ (გაზ. „დროება“, 1879, # 53).

თავის საპასუხო სტატიაში გრ. ვოლსკიმ ეჭვქვეშ დააყენა ალ. სარაჯიშვილის ზოგიერთი შეხედულება. იგი აცხადებს, რომ თუ მართალია სარაჯიშვილის მტკიცება, რომ დიმიტრი თავდადებული უფერული სახეა, გმირი კი არ არის, არამედ მსხვერპლი, მაშინ შეუძლებელია ვისაუბროთ ილია ჭავჭავაძის პოეტურ ოსტატობაზე, რადგან მწერალს ვერ დაუძლევია მის წინაშე მდგარი მხატვრული ამოცანა. გრ. ვოლსკის ვერ აკმაყოფილებს ალ. სარაჯიშვილისეული ახსნა მეფის სახის სქემატურობისა (რომ იგი განპირობებულია ილიას მიერ შერჩეული თხრობის სტრატეგიით, – ამბის მთხრობელად ბრმა მეფანტურის შერჩევით).

წერილის ავტორი არ იზიარებს ალ. სარაჯიშვილის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ მეფე დიმიტრი დამოუკიდებლად კი არ იღებს თავგანწირვის გადაწყვეტილებას, არამედ დარბაზის რჩევის შედეგად. პოემის სიუჟეტის ამგვარი ინტერპრეტაცია გრ. ვოლსკის არასწორად მიაჩნია: „თქვენ სრულიად ვერ გიცვნიათ და დაამახინჯეთ პოეტისგან გამოხატული დიმიტრი. დიმიტრი არ იყო ერთი იმ დესპოტთაგანი, რომელსაც შეეყარა კრება ოლონდ თავის ნების გამოსაცხადებლათ იმის დაუკითხავად, თუ რა აზრისანი არიან დიდებულნი და მღვდელ-მთავარნი. ის იხმობს წარჩინებულ დიდკაცობას, უხსნის გარემებას და ეკითხება რჩევას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშავს, რომ ის დაემორჩილება რჩევას. დასტურიც, გარდა მღვდელ-მთავრისა, ყველა ევედრება დარჩენას, სირცხვილის ჭამათ მიაჩნია მეფის გაცემა და თუმცა გრძნობს, ვერას გავა. მზათაა შეაკვდეს გმირულათ მამულის მტერს. მეფე ცხადათ, გარკვევით აღიარებს თავის აზრს და ყრილობაც დალონებით ემორჩილება. რა არის აქ გაუგებარი, რაშია ხასიათის სისუსტე, მხდალობა, გაუგებრობა?! პირიქით, კრებას რომ დამორჩილებოდა, უნდა დარჩენილიყო, და ან სადაურია, საქართველოს მეფე კრებას ემორჩილებო?!“ (ვოლსკი 1879: 245-246). მოტანილი ამონაწერიდან ცხადად ჩანს, რომ გრ. ვოლსკი ძალზე დამაჯერებლად და სწორად მსჯელობს. იგი მიუთითებს, რომ მეფე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას, არ უჯერებს მათ, ვინც დარჩენას ევედრება და მიდის თავის გასაწირად.

გრ. ვოლსკი ეკამათება ალ. სარაჯიშვილის იმ მოსაზრებასაც, რომ დიმიტრი თითქოს გულცივი კაცია და არ ემშვიდობება არავის სამშობლოს დატოვების წინ. ამგვარი ბრალდების წაყენება, კრიტიკოსის თქმით, პერსონაჟისადმი არაა გამართლებული, რამდენადაც მწერლის წინაშე სრულიადაც არ იდგა მხატვრული აუცილებლობით ეჩვენებინა ჩვენთვის მეფის მახლობლებთან გამოთხოვების სცენა: „რათ იჩენთ უცნაურს იქ, სადაც არაფერია უცნაური! კაცია და გუნება: ვის ხუცესი მოსწონსო და ვის ხუცის ცოლიო. ერთი იტყვის, რატომ დედას არ გამოეთხოვაო, მეორე – ცოლი რათ არ გადაპროშტაო, მესამე – მეძებრებს უნდა გამომშვიდობებოდაო და მეასე – ხატებსო... ეს ადამიანის გემოზეა, და პოეტი ყველას ვერ გაწვდება. განა გმირისთვის მოიძებნება თავის ხალხზე უსაყვარლესი სატრფო და მეგობარი? იმაზედ უკეთესი გამომშვიდობება და სიყვარულის გამოცხადება, რომელსაც მეფე უცხადებს ხალხს, განა შეიძლება კიდევ?!“ (ვოლსკი 1879: 245-246). გრ. ვოლსკის თქმით, მწერალმა შეარჩია რამდენიმე არსებითი, მთავარი მომენტი გმირის ცხოვრებიდან (დიდებულებთან თათბირი, ხალხთან გამოთხოვება, გამოგზავნილ ჯართან შეხვედრა, ყაენის წინაშე წადგომა, ტყვეობაში ყოფნა და სიკვდილით დასჯა), რომელშიც ნათლად გამოჩნდა მისი ვაჟკაცობა, გაუტეხელი ხასიათი და მამულისათვის თავგანწირვა: „როგორ თუ გმირი არ არის მეფე, რომელსაც დარჩენას ევედრება მთელი ხალხი, რომლის გულისთვის სამარეში ფეხჩადგმული მოხუცი, როგორც მთელი ხალხის სურვილის და გრძნობის გამომთქმელი, მზათ არის შვილები მტერს შეაკლას და რომლის რკინა გული (თუმცა სტირს და ვაებს) უცვლელათ ადგია ერთხელვე გადაჭრილ-გაზომილს აზრს?!“ (ვოლსკი 1879: 246).

გრიგოლ ვოლსკი ბრწყინვალედ სწვდება ნაწარმოებში ილიას მიერ წარმოდგენილი დრამატიზმის არსს. მისი თქმით, პოემის ავტორი დიდი დამაჯერებლობითა და ფსიქოლოგიური სიღრმით გვიჩვენებს გმირის სულში მიმდინარე ბრძოლას თვითგადარჩენის ინსტინქტსა და ზნეობრივ მოვალეობას შორის: „უკანასკნელათ ტანჯულ-წამებულმა, ღონემიხდილმა ხორცმა კინაღამ სძლია მაღალ სულსა და დაამტკიცა, რომ რაც უნდა გმირი ადამიანი იყოს, ადამიანი მაინც

ადამიანათ რჩება. უბრალო სიკვდილის შვილსა და ნამდვილ გმირს შუა ამ შემთხვევაში ის განსხვავებაა, რომ გმირი გმირობას მაინც ბოლომდე გაიტანს, მაშინ როდესაც უბრალო მომაკვდავი მოულოდნელათ, საცოდავად იჩენს, რომ წუთისოფელს მანიც ვერ მოსცილდება. აქაც, ჩემის აზრით, საქებურმა პოეტმა გამოიჩინა კაცის გულის ნამდვილი ცოდნა და მხატვრულ-პოეტური გულთმისნობა“ (ვოლსკი 1879: 247).

გრიგოლ ვოლსკის დასკვნით, არავითარი მნიშვნელობა გმირის ხასიათის გასახსენლად არ აქვს იმ ფაქტს, რომ ამბის ნარატორად გვევლინება არა ავტორი, არამედ ბრმა მეფანტურე. კრიტიკოსის თქმით, ალ. სარაჯიშვილს არასწორი წარმოდგენა აქვს უბრალო ხალხზე, როცა აცხადებს, რომ ჩვეულებრივი მეფანტურე ვერ შეძლებდა გმირის სულიერი მოძრაობის სრულფასოვან აღწერას. კრიტიკოსის თქმით, თავად ილია რომ ყოფილიყო ამბის მთხრობელი, ისიც უთუოდ იმავე ფორმით გადმოგვცემდა მომხდარს, როგორც – მეფანტურე, ამიტომაც, მისი აზრით, არაფრის მომცემია მთხრობელისა და ავტორის შეპირისპირება ნაწარმოებში: „თქვენ ძლიერ ცუდი აზრი გქონიათ შედგენილი დაბალი ხალხის პოეტურ ნიჭზე, თუ გგონიათ, რომ მისი გონება ვერ გაიგებს, ვერ მიწვდება გმირის გულის გულს, უნებურად დაამდაბლებს და, როცა ლომის გამოხატვას დააპირებს, კატა გამოუვა ხოლმე“ (ვოლსკი 1879: 248). კრიტიკოსის თქმით, ამის დასტურია ხალხური პოეზია, სადაც შეიძლება ბევრ ფაქტობრივ უზუსტობას ვხვდებით, ხშირად არეულია ისტორიული პირები და მოვლენები, მაგრამ ფსიქოლოგიური დამაჯერებლობისა და ეროვნულ გმირთა ხასიათების წარმოჩენის თვალსაზრისით ხალხური საგმირო ეპოსი არ ჩამოუვარდება ლიტერატურულ შედეგებს.

1894 წელს გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა **სილოვან ხუნდაძის** წერილი „მეფე დიმიტრი თავდადებული“ მკითხველის შენიშვნები“.

ავტორი თავდაპირველად ქართული კრიტიკის ზოგად მდგომარეობაზე საუბრობს და მიუთითებს, რომ რადიკალიზმი დამახასიათებელი ნიშანია საერთოდ ჩვენი კრიტიკული აზროვნებისათვის. ქართველი კრიტიკოსები ან ხელაღებით

უარყოფენ ამა თუ იმ მწერლის ნააზრევს, ან ხოტბას ასხამენ მას. ასეთი დამოკიდებულება, კრიტიკოსის აზრით, ხშირად ვლინდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართაც. იგი წერს: „ილია ჭავჭავაძე, ჩვენის აზრით, შესანიშნავი მწერალია ჩვენს ქვეყანაში, ბევრი ნიჭიერი თხზულება მიუწოდებია მას ქართველ საზოგადოებისათვის. მაგრამ ეს გარემოება კრიტიკისათვის არ არის საკმაო საფუძველი, რომ ამ მწერლის კალმის ყოველივე ნაწარმოები უნაკლულოდ და უძვირფასეს განმად ჩაითვალოს“ (ხუნდაძე 1894ბ: 490).

კრიტიკოსი წერილის დასაწყისშივე კატეგორიულობით აცხადებს: „ილია ჭავჭავაძის თხზულებათა შორის ჩვენ ზოგი მიგვაჩნია შესანიშნავ თხზულებათ, ხოლო იმის კი დიდი წინააღმდეგი ვართ, რომ „დიმიტრი თავდადებული“ შესანიშნავი და საუკეთესო იყოს. ამიტომაც ავიღეთ კალამი, რომ ჩვენი აზრი წარმოვთქვათ ამ პოემის შესახებ“ (ხუნდაძე 1894ბ: 491).

იგი აღნიშნავს, რომ ყმაწვილობისას, როცა წაიკითხა ილიას პოემა, ნაწარმოებმა ძლიერ ააღელვა და ცრმლებიც დაღვარა, მაგრამ როცა უკვე ზრდასრულმა ხელახლა გადაიკითხა იგი, მასზე დიდი შთაბეჭდილება ნაწარმოებს აღარ მოუხდენია.

სილოვან ხუნდაძის აზრით, ავტორმა ვერ მოახერხა წარმოეჩინა მეფის დიდბუნებოვნება. მისი აზრით, დიმიტრი კი ცდილობს, რომ მოიქცეს, როგორც მწყემსი კეთილი, „მაგრამ საქმით კი გამოდის, რომ მწყემსი ცხვრის ფარას ღვთის ანაბარათ ტოვებს და ხელის გაუნძრევლათ მგელს კბილებში უვარდება. ჩვენის აზრით, ამისთანა მწყემსსაც „ფუ“ ეთქმის, რადგან მისი საქციელი, თუ სიმხდალის არა, უგუნურობის ნაყოფია, წინდაუხედავი და უანგარიშო თავგანწირვა... (ხუნდაძე 1894ბ: 491). კრიტიკოსის თქმით, მწერალმა ვერ დაგვიხატა მისაბადი სახე, ვინაიდან იგი მხოლოდ მსხვერპლია და არა გმირი, რომელიც ხალხს აძლევს ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის მაგალითს: „როცა კი მეფე უხმლოდ და უიარაღოდ მტერთან მიდის და „მამკალიო“ ეუბნება, ამგვარ მაგალითს ხალხის ბუნების მხოლოდ გალაჩრება შეუძლია და არა გაგულადება და გამხნევება“ (ხუნდაძე 1894ბ: 492).

სილოვან ხუნდაძის კატეგორიული დასკვნით, დიმიტრი თავდადებული არ არის ქართველ მეფეთა შორის სანატრელი იდეალი. მეფის თავგადასავალი დაწვრილებითაა მოთხრობილი „ქართლის ცხოვრებაში“. პოეტი კი თითქმის არაფერს უმატებს ისტორიულ ამბავს. ილიასეული ამ პოემაში, კრიტიკოსის თქმით, არის მხოლოდ ის, რომ 1) მეფის თავგადასავალს მოგვითხრობს ვიღაც მეფანდურე (ეს ხერხი ილიამდეც მრავალგზის გამოუყენებიათ), 2) მოხუცისა და მის ორის შვილის გამოსვლა. კრიტიკოსის აზრით, საუკეთესო ადგილი პოემისა მეფისადმი მოხუცის მიმართვაა: „ამ სიტყვას მე ყოველთვის აღტაცებაში მოვეყვარ და ვამბობ: აი, კაცი, რომელსაც არ შეჰხებია ლაჩრობა და რომელსაც ესმის სამეფოს წარმომადგენლის დანიშნულება! ის, მხოლოდ ის არის ჩვენის თანაგრძნობისა და თვით სამეფო ტახტის ღირსი, და არა მეფე დიმიტრი, როგორც პოეტი ფიქრობს – მეთქი“ (ხუნდაძე 1894ბ: 492).

მეფე დიმიტრი თავდადებული მისაზრდობი პიროვნება ვერ იქნება, კრიტიკოსის აზრით, თუნდაც იმიტომ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იგი თავდაპირველად თავის ხალხის მოყვარე, მოწყალე და ღვთისმოსავი იყო, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ უწესო ცხოვრების წესს დაადგა: სამი ცოლი შეირთო და მისი მაგალითით მთელი სამეფო გაირყვნა. ს. ხუნდაძე წერს: „ჩვენის აზრით, დიმიტრის საქციელი (მტრის შებრძოლების შიში და მტრის წინ ლაჩრულად ქედის წახრა) მეფის გარყვნილ ცხოვრების შედეგი უნდა ყოფილიყო, თორემ „პატარა კახს“ განა ერთხელ და ორჯერ დამუქრებია ასჯერ უფრო ძლიერი მტერი? — მაგრამ, მოხუცის არ იყოს, „მტრისა წინ არ წაუხრია ქედია“ (ხუნდაძე 1894ბ: 494).

ს. ხუნდაძე ყურადღებას ამახვილებს პოემის რიტმულ თავისებურებებზეც. იგი ნაკლად უთვლის ილიას იმას, რომ თხზულება შერეული რიტმითაა ნაწერი და ერთმანეთში გადადის დაბალი და მაღალი შაირი: „დიმიტრი თავდადებულში“ ერთობ ხშირად არის დაღვეული ლექსთწყობის ზემოხსენებული კანონი. ამის მაგალითი თითქმის ყოველ ხანაშია, მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია ყველას აქ ვერ მოვიყვანთ“ (ხუნდაძე 1894ბ: 495).

კრიტიკოსის აზრით, მეტად უფერულია ნაწარმოები რითმული თვალსაზრისითაც, რადგანაც ავტორი არ ზრუნავს საგანგებოდ ლექსის ამ კომპონენტზე: „მუსიკალობასა და უჰარმონიობას ის გარემოებაც ხელს უწყობს, რომ ჩვენი პოეტი რითმების სიმდიდრეს ყურადღებას არ აქცევს, ერთობ მძიმესა და ხმაშეუწყობელ რითმებს ხმარობს ხშირად: „ბიჭმა“ — „წადილმა“, „როდი იყვნენ“, „შესწირვიდნენ“, „ხელში“—„ჩვენში“, „გვიხაროდა“, — „ემატებოდა“ და მზგავსთავე თითქმის ყოველ ხანაში“ (ხუნდაძე 1894ბ: 496). ს. ხუნდაძე მიუთითებს პოეტური ლიცენციის ნიმუშებზე, რომლებიც, მისი აზრით, უფრო ენის დამახინჯების შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი საბოლოო დასკვნით კი ეს თხზულება ილიას შედევრად ვერ ჩაითვლება.

სილოვან ხუნდაძის ვერსიფიკაციული დაკვირვებების დამაჯერებელი კრიტიკაა წარმოდგენილი თეიმურაზ დოიაშვილის ილიას პოეტიკისადმი მიძღვნილ ნარკვევში. თ. დოიაშვილი მიუთითებს, რომ სილოვან ხუნდაძის კატეგორიული დასკვნით, მაღალი და დაბალი შაირის შერევა ლექსწყობის კანონების დარღვევად ცხადდება, მაგრამ ეს ასე არაა. კრიტიკოსის თქმით, „სილოვან ხუნდაძის მსჯელობა ტიპური ნიმუშია კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების მერტულ-რიტმული სტრუქტურისადმი აბსტრაქტული, განყენებული მიდგომისა. ასეთი მიდგომა, როგორც წესი, მცდარ დასკვნებს წარმოშობს – კონკრეტული სიტუაციისა და კონტექსტის გაუთვალისწინებლად რომელიმე ფორმალური კომპონენტის, მათ შორის მეტრულ-რიტმული სტრუქტურის, ფუნქციის გარკვევა და შეფასება შეუძლებელია“ (დოიაშვილი 1999: 60). მკვლევარმა აჩვენა, თუ რა მხატვრული ფუნქცია აქვს ილიას პოემაში მაღალი და დაბალი შაირის შერევას და როგორ ეფექტურად იყენებს ილიას ამ ხერხს სათქმელის ემოციურ-აზრობრივი აქცენტირებისათვის (იხ. დოიაშვილი 1999: 60-63).

შემდგომი ხანის მკვლევართაგან ორიოდე სიტყვით ეხება ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულს“ კიტა აბაშიძე. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამ პოემის სახით საქმე გვაქვს მკაფიო რეალისტური მიზანდასახულობის ნაწარმოებთან, რომელშიც

სინამდვილისადმი რეალისტური მიდგომა კიდევ უფრო განმტკიცებულია. „დიმიტრი თავდადებული“ ნამდვილი რეალურ-ეპიკური პოემაა. ამ პოემით თ. ი. ჭავჭავაძე შეუდგება მტკიცედ გარკვეულს რეალიზმის გზას” (აბაშიძე 1898: 30). ამ პოემაში, კიტა აბაშიძის აზრით, კლასიკური მშვენიერებითაა ხორცშესხმული უდიადესი ეთიკური პრინციპი – პირადი კეთილდღეობის მიტანა ქვეყნის სამსხვერპლოზე: „მთელი აზრი და შინაარსი პოემისა, რომელიც ღაღადებს, რომ ყოველისავე პირის კერძო სურვილი და ზრახვები უნდა სამშობლოსა, ერისა და საზოგადოების საკურთხეველზედ იქმნეს მსხვერპლად მიტანილიო” (აბაშიძე 1898: 30).

როგორც ვხედავთ, „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ლიტერატურული კრიტიკის მხრიდან არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული. ილიას პოემა მემარცხენე მიმართულების კრიტიკოსთა უკმაყოფილების საგნად იქცა. ილიას უსაყვედურეს ფეოდალური მონარქიის აპოლოგეტობა, წარსულის იდეალიზაცია, თანამედროვეობის თემატიკისადმი გულგრილობა. გ. თუმანიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და ს. ხუნდაძე მიიჩნევდნენ, რომ დიმიტრი არ არის მისაბამი და გაუზიარავი სახე, რამდენადაც იგი თავს სწირავს არა საკუთარი ნებით, არამედ სხვათა რჩევის შედეგად. ს. ხუნდაძემ პოემა დაიწუნა ვერსიფიკაციული თვალსაზრისითაც. „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ შესახებ შექმნილ კრიტიკულ ლიტერატურაში უთუოდ გამორჩეულია გრ. ვოლსკის წერილი, რომელშიც გათვალისწინებული და არგუმენტირებულად გაკრიტიკებულია წინამორბედი კრიტიკოსების მსჯელობა. გრ. ვოლსკიმ შესანიშნავად წარმოაჩინა ილიას მიერ მოწოდებული დრამატიზმის არსი, მეფის შინაგან სამყაროში მიმდინარე ბრძოლა ზნეობრივ მოვალეობასა და სიცოცხლის შენარჩუნების ბუნებრივ ინსტინქტს შორის.

§ 2. 3. „განდეგილი“

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია პოემა „განდეგილს“. ნაწარმოების გამოქვეყნების დროიდან დღემდე „განდეგილის“ შესახებ გამოქვეყნდა ასობით სამეცნიერო ნაშრომი თუ ლიტერატურული წერილი. მიუხედავად ამისა, დღემდე პოემის იდეის შესახებ დიამეტრულად საპირისპირო მოსაზრებები არსებობს. აღნიშნულის გათვალისწინებით კიდევ უფრო საინტერესოა, თუ როგორი იყო ილიას თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის გამოხმაურება „განდეგილზე“, რა მომენტებზე გაამახვილეს ყურადღება ილიას თანამედროვე კრიტიკოსებმა.

პირველი სპეციალური რეცენზია, რომელიც მიემდვნა „განდეგილს“, ეკუთვნოდა იონა მეუნარგიას (დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ 1883 # 53). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, როგორც ი. ბოცვაძე მიუთითებს, თავად ილია ჭავჭავაძე ამ სტატიას, როგორც „განდეგილის“ ერთ-ერთ პირველ რეცენზიას, საყურადღებო მოვლენად მიიჩნევდა და მიუთითებდა მასზე ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1903 წელს დაუწერია (ილია ჭავჭავაძე 1957: 558).

იონა მეუნარგია თავის წერილს იმის აღნიშვნით იწყებს, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში „ქართული სიტყვიერების უზენაესი პატრიარქის“ გრიგოლ ორბელიანის შემდეგ პირველი ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძეს. ილია ჭავჭავაძისადმი ქართველ მკითხველს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და მის ყოველ ნაკალმევს უდიდესი მოლოდინითა და ინტერესით მოელის. მკითხველის ამ დაძაბულ მოლოდინს კი, იონა მეუნარგიას თქმით, ის გარემოება განაპირობებს, რომ „ი. ჭავჭავაძე მუნწობს როგორც მწერალი, – ის დიეტაზე ამყოფებს თავის მკითხველებს რამდენიმე წლის განმავლობაში, და როცა ამის შემდეგ აწვდის მათ პოემას, ან რომელიმე მოთხრობას, მისი ნაწერების მკითხველი საზოგადოება, ე.ი. წერა-კითხვის მცოდნე მთელი ქართველობა მადააღძრული ეტანება მის თხზულებას, როგორც მონატრებულ საჭმელს გახსნილებისას, და თავისებურად დამშეული ამ თხზულების გამოჩენას, როგორც არ უნდა იყოს იგი, ანიჭებს ლიტერატურული მოვლენის ხარისხს (მეუნარგია 1883: 254).“

იონა მეუნარგია ცდილობს ილიას ერთგვარი შემოქმედებითი ასპექტიზმი საზოგადოებრივი პირობებით, ჩვენს სინამდვილეში მწერლის შრომის დაუფასებლობით ახსნას: „ქართველი ხალხის ცხოვრებაში და საერთოდ მთელს ჩვენს მხარეში, ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, როდესაც შესაძლებელი იქნება ჩვენს შორის პროფესიულ მწერლობის არსებობა, რომლებსაც გარემოებანი მისცემენ საშუალებას მთელი თავისი გონებრივი ძალები მოახმარონ ლიტერატურულ და მეცნიერულ მუშაობას. თითოეული თანამედროვე მწერალთაგანი ეწევა ლიტერატურულ შრომას თავის ძირითად საქმესთან ერთად, მოცლისა და დასვენების წუთებში. მათი მუდმივი საქმეები კი სხვებია, ხშირად ძალიან მწელი და არასასიამოვნო, რომელთა კეთების დროს წარმოუდგენელია წესიერი მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა (მეუნარგია 1883: 255).“

ილია ჭავჭავაძის ახალი პოემის განხილვას იონა მეუნარგია პოეტის შემოქმედების ევოლუციის ზოგად ფონზე ისახავს მიზნად. კრიტიკოსის თქმით, 60-იან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსული ილია გამსჭვალული იყო მისი დროის საუკეთესო იდეებით. სოციალური პრობლემატიკა იმთავითვე განმსაზღვრელი იყო ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებითი პრაქტიკისა: „პირველი მისი პოემები, რომლებიც დაიწერა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ამ ადრეულ პერიოდში: „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, მისი მოთხრობა „გლახის ნაამბობი“, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, აგებულია მემამულეებისა და გლეხების ურთიერთდამოკიდებულებების თემაზე“ (მეუნარგია 1883: 255)“. ი. მეუნარგიას თქმით, ილია ჭავჭავაძის პოეტურმა ოსტატობამ ამ ადრეულ თხზულებებშივე სრულყოფილად იჩინა თავი: „ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ მისი პირველად დაწერილი ლექსები იყო მის აწინდელ ლექსზე უკეთესი“.

იონა მეუნარგიას აზრით, მომდევნო წლებში ილია ჭავჭავაძემ უფრო გააფართოვა თავისი შემოქმედების თემატიკა და უფრო ზოგადი თემების დამუშავება დაიწყო. ამის მაგალითები, კრიტიკოსის შეხედულებით, არის პოემები

„დედა და შვილი“ (როგორც ჩანს, კრიტიკოსი გულისხმობს პოემას „ქართველის დედა“) და „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

პოემა „განდევილი“ კრიტიკოსს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ახალი ეტაპის დასაწყისად მიაჩნია. „განდევილით“ „ი. ჭავჭავაძე შევიდა იმ წმინდა ხელოვნების სამფლობელოში, რომელიც არ წყალობს სხვადასხვა ჯურის ტენდენციებს, თავისუფალი მხატვრული შემოქმედების ამ მოსისხლე მტრებსა და მკვლელებს, და ჩვენ სულით და გულით ვულოცავთ პოეტს თვისი პოეტური მოღვაწეობის ამ ახალ ფაზაში შესვლას“ (მეუნარგია 1883: 256-257).

რას უნდა გულისხმობდეს იონა მეუნარგია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ახალ ეტაპში? კონტექსტიდან ჩანს, რომ კრიტიკოსი გულისხმობს ნაწარმოებში ავტორის მხრიდან ტენდენციის გამოხატვის ახალ ფორმას, რაც მართლაც გარკვეული სიახლე იყო ილიას მხრიდან და რაც სხვა კრიტიკოსებმაც შენიშნეს.

იონა მეუნარგია ახსენებს „განდევლის“ თემატურად მონათესავე ნაწარმოებებს რუსული მწერლობიდან: ლერმონტოვის „მწირსა“ და მაიკოვსკის „ქურუმს“, რომლებშიც, კრიტიკოსის აზრით, ნაჩვენებია, თუ როგორ არღვევს ადამიანური ბუნება განდევილურ განმარტოებას. ნაწარმოების იდეის შესახებ სხვას იონა მეუნარგია თითქმის არაფერს ამბობს. იგი უფრო სხვა საკითხით ინტერესდება – როგორ ვლინდება ილია ჭავჭავაძის პოეტური ოსტატობა „განდევლში“? როგორია, ასე ვთქვათ, ნაწარმოების მხატვრული მხარე?

იონა მეუნარგიას არ ხიბლავს ნაწარმოების დასაწყისში მყინვარის აღწერა: „მყინვარის ბუნების აღწერაში არაფერია განსაკუთრებით შესანიშნავი. ჩვენ ვერ ვხვდებით ვერც ლერმონტოვის „ალმასის წახნაგს“, აქ არ ჩანს არც გრ. ორბელინის „ბუმბერაზ მთანი მდუმარედ, ცათამდის აყუდებულნი“, არის მხოლოდ ერთი დამახასიათებელი გამოთქმა, რომელიც ატარებს პოეტის პიროვნების ანაბეჭდის ნიშანს. ეს მაშინ, როდესაც ის ლაპარაკობს მყინვარის სიმაღლის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მისწვდენია საზარელი „კაცთ ჟრიაჟული“, მაგრამ ეს ცოტაა კავკასიის მთების სიდიადის გამოსახატავად“ (მეუნარგია 1883: 258).

იონა მეუნარგია ამ მხრივ სუბიექტური კრიტერიუმებით უდგება ილიას პოეტურ ტექსტს. კრიტიკოსს მისთვის სათაყვანებელი პოეტის – გრიგოლ ორბელიანის მიერ აღწერილი მცინვარი უფრო ხიბლავს, თუმცა ილიას არც ჰქონია მიზნად დასახული, რომ მოეცა ჩვენთვის მცინვარის სრულყოფილი პოეტური ხატი. მწერალს მცინვარი მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იგია მისი გმირის ნავთსაყუდელი. პერსონაჟის საარსებო გარემოს დახასიათებით კი ავტორი სწორედ მთავარ გმირს გვიხასიათებს ირიბად.

რაც შეეხება თავად განდეგილის პორტრეტს, იონა მეუნარგიას თქმით, „განდეგილის პიროვნების აღწერაში პოეტი პირდაპირ შეუდარებელია“ (მეუნარგია 1883: 258)“.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გრიგოლ ყიფშიძის მოგონების თანახმად, დ. სარაჯიშვილის სახლში „განდეგილის“ წაკითხვისას, იონა მეუნარგიას ერთი შენიშვნა გამოთქვამს ილის მიმართ: „მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერა ვხედავთ, თვით განდეგილის სურათს, მის გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსაო“ (ჭავჭავაძე 1914: 9). ილიას მართლაც გაუთვალისწინებია ეს რჩევა და სწორედ ამის შემდეგ უნდა გაჩენილიყო ნაწარმოებში განდეგილის შთამბეჭდავი პორტრეტი:

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუმტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდელი გადაჰფენოდა.

იონა მეუნარგია შენიშვნას აძლევს ავტორს, რომ არ ჩანს, თუ როგორ შედის ჭეჭაქუხილის ატეხის შემდეგ განდევნილი სენაკში. ეპიზოდის დასაწყისში მას მზის ჩასვლის ცქერით აღტაცებულს ვხედავთ, შემდეგ კი უეცრად ვიგებთ, რომ ჭეჭაქუხილის დროს ის ღმერთს „ხელაპყრობით ევედრებოდა წარწყმედისაგან ქვეყანის ხნასა“: „აღმოჩნდა რომ ის ჩვენთვის შეუჩხეველად შევიდა თავის სენაკში და დადგა წმინდა ხატის წინ“ (მეუნარგია 1883: 258)“. ეს, რა თქმა უნდა, გულუბრყვილო შენიშვნაა კრიტიკოსის მხრიდან და მას ვერ გავიზიარებთ, რამდენადაც ავტორის წინაშე არავითარი აუცილებლობა არ იდგა იმისა, რომ დეტალურად აღეწერა გმირის გადაადგილება.

კრიტიკოსის ყურადღებას იპყრობს მწყემსი ქალის სახე. ი. მეუნარგიას მთლად დამაჯერებლად არ მიაჩნია ის ფაქტი, რომ მწყემსი ქალი აღტაცებულია ბუნების მშვენიერებით. იგი აღნიშნავს, რომ, როგორც წესი, ადამიანი, რომელიც დაიბადა და ცხოვრობს მშვენიერ ადგილას, ვერ ამჩნევს და აფასებს ამ ადგილის მშვენიერებას. ამიტომაც, ცოტა გასაკვირია მწყემს ქალს ამგვარი პოეტური თვალთახედვით აღექვა ბუნების სილამაზე. ეს დაკვირვება, ცხადია, არაა მთლად ზუსტი. გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ ბუნების მშვენიერების აღქმა მაინც ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ადამიანის სულერ წყობაზე, მის შეგნებასა და თვალთახედვაზე. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია მწყემს ქალს ისე აღექვა ბუნება, როგორც ეს პოემაშია მოთხრობილი.

პოემის სიუჟეტიდან იონა მეუნარგიას განსაკუთრებით ხიბლავს ერთი დეტალი, კერძოდ ის ფაქტი, რომ აღელვებულ განდევნილს ღვთისმშობლის ხატის ნაცვლად მწყემსი ქალის სახე ელანდება: „ხატის ეს შეცვლა მშვენიერი მწყემსი ქალის სახით სრულიად მოულოდნელია და სასიამოვნოდ აოცებს მკითხველს. როდესაც განდევნილმა თვალი მიაპყრო ხატს, ჩვენ ველოდით, რომ მასზე დავინახავდით საყვედურის ან მრისხანების გამოხატულებას, მაგრამ პოეტმა კიდევ უფრო უკეთესი ხერხი გამოიყენა იმ საშინელი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად, რომელშიც მაშინ მწირი იმყოფებოდა“ (მეუნარგია 1883: 264).

იონა მეუნარგია აღნიშნავს, რომ იგი არ მსჯელობს ნაწარმოების ენობრივ მხარეზე (რადგან წერილი იმ ენაზე არაა დაწერილი, რომელზედაც თავად პოემა) და ამის გათვალისწინებით კრიტიკოსისათვის შეუძლებელია აჩვენოს „პოემის სიტყვიერი სიმდიდრე“. ამ ფრაზიდან აშკარაა, რომ ი. მეუნარგია მაღალ შეფასებას აძლევს განდევილის პოეტურ ენას.

წერილის დასასრულს კრიტიკოსი პოემის ვერსიფიკაციულ თავისებურებებზეც ამბობს ორიოდ სიტყვას: „მთელი პოემა დაწერილია ათმარცვლიანი ლექსით, რომელშიც რითმა რითმას მოსდევს გამოშვებით, „რიტმა-მონა ქალიაო“, სთქვა ფრანგული პოეტური ხელოვნების კანონმდებელმა. ი. ჭავჭავაძისათვის კი ის თავისუფლად მოაზროვნე მსახური-ქალია, რომელიც ისწრაფვის თავისუფლებისაკენ. მას ხშირად აქვს ბრუნვითი და ნაზმნარი რითმები. ზოგჯერ ის თანდებულითაც კი სარგებლობს, როგორც, მაგალითად, XIX თავში, რის გამოც ლექსი საერთოდ არცთუ ისე მჟღერადია“ (მეუნარგია 1883: 280)“.

კრიტიკოსის საბოლოო დასკვნით, საბოლოო ჯამში პოემა „განდევილი“ ქართული ლიტერატურის ძვირფასი შენაძენია, თუმცა იგი ეჭვობს, რომ მან ილიას მხატვრულ შემოქმედებაში პირველი ადგილი დაიკავოს.

პოემა „განდევილს“ ეხება **დავით კეზელიც** თავის „საკვირაო მასლაათში“ (გაზ. „დროება“, 1883, # 60).

უპირველეს ყოვლისა, დ. კეზელი საუბრობს ილია ჭავჭავაძისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებაზე და აღნიშნავს, რომ იგი ჩვენი მწერლობის ცენტრალური ფიგურაა, მის ყოველ თხზულებას კი მკითხველი უდიდესი ინტერესით მოელის. კრიტიკოსის თქმით, პოემა „განდევილიც“ დიდი ინტერესით მიიღო საზოგადოებამ, თუმცა ავტორმა მკითხველებს იმედი გაუცრუა. დ. კეზელის კატეგორიული დასკვნით, „პოემა „განდევილი“ ... არის ყველაზედ უსუსტესი, რაც კი ბ. ჭავჭავაძის კალმიდან გამოსულა. უსუსტესია მეთქი, ვიმეორებ, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით“ (კეზელი 1883: 266).

ნაწარმოების სისუსტე, კრიტიკოსის აზრით, მის „უტენდენციობაში“ მდგომარეობს: „თუმცა ბ. ჭავჭავაძემ ერთხელ დაჰმღერა: ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა!.. მაგრამ „განდეგილით“ დაგვიმტკიცა, რომ იმას ჯერ კიდევ თავის მაღალი დანიშნულება ვერ გაუკვლევია, ის ერის წინ წაძლოლას არ აპირებს და უფრო იმ პოეტსა ჰგავს, რომელიც პუშკინის აზრით „შექმნილია ტკბილი ხმების დალოცვისათვის“ (კეზელი 1883: 266). დ. კეზელი იწუნებს ნაწარმოების თემატიკას და ილიას სოციალური პრობლემებისადმი გულგრილობას სწამებს: „ჩვენ დროს არ შეეფერება, რომ პოეტმა, მერე იმისთანამ, როგორიც ილ. ჭავჭავაძეა, თავისი ქნარი რომელიმე განდეგილი ბერის უსაგნოთ და უმიზნოთ ცხოვრების დასამღერად მომართოს“ (კეზელი 1883: 266).

დავით კეზელის თქმით, ილია ჭავჭავაძის დონის პოეტმა დრო არ უნდა დაკარგოს ისეთი უმნიშვნელო ამბის აღსაწერად, როგორიც განდეგილის თავგადასავალია. თანამედროვე ცხოვრების მრავალსახოვნება და სირთულე ცნობილი მწერლისაგან ვერ მოითმენს ასეთი შემთხვევითი ამბების თხრობას: „განა ბ. ჭავჭავაძისთანა პოეტს ეპატიება ხალხის მისაყუჩებელ და „ზარმაცთა ყურის დასატკბობ“ ხმებს დაჰმღერდეს მაშინ, როდესაც დაუდგრომელი შრომა და მედგარი ბრძოლა არსებობისათვის არის საჭირო?“ (კეზელი 1883: 267).

კრიტიკოსის თქმით, განდეგილი, არ წარმოადგენს ეროვნულ სახეს. მისი აზრით, ქართველი ხალხის იდეალს სრულიად არ ეთანხმება ამ სოფლიდან სამუდამოდ გაცლა და მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება. მართალია, ქართულ ხალხურ ლეგენდებში ზოგჯერ ვხვდებით განდეგილ მეუდაბნოეებს, მაგრამ დავით კეზელის აზრით, მაგრამ მათ საბოლოოდ არ ჰქონდათ გაწყვეტილი კავშირი საზოგადოებასთან და განსაცდელის ჟამს მუდამ ეხმარებოდნენ ერის ადამიანებს. აქედან გამომდინარე, კრიტიკოსის დასკვნით, „ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი“ შეიძლება იყოს ბერძნებისა, ასურელებისა, რუსებისა და ქართველებისა კი არ არის“ (კეზელი 1883: 266).

დ. კეზელი ვერ სწვდება ნაწარმოების იდეას. იგი ფიქრობს, რომ განდევილის პირით, თავად ილია ჭავჭავაძე ქადაგებს „ამ სოფლიდან გაცლას და მთის წვერებზედ ლოცვას“. ერთი სიტყვით, კრიტიკოსი საყვედურობს პოეტს, რომ მან უღალატა რეალისტური ხელოვნების პრინციპებს.

დ. კეზელის გაღიზიანება თვალსაჩინოა, როდესაც იგი მსჯელობს პოემის მხატვრულ ფორმაზე. ნაწარმოების შინაარსი მისი მხატვრული ფორმის მიმართაც უარყოფითად განაწყობს მას: „განდევილი“ რომ თავით ბოლომდე გადაიკითხოთ, თითონ მიხვდებით, რომ პოეტს დაუძალადებია თავი: მთელ პოემაში ერთ ალაგს ვერ შეხვდებით, სადაც ის ძლიერი გრძნობა იყოს გამოხატული, რომელიც ჭავჭავაძის სხვა ნაწერებში ისე უხვად სჩქევს. თავის ბოლომდე ძალადობაა და ხმელი რიტორებაა...“ (კეზელი 1883: 267).

პოემა „განდევილს“ სპეციალური წერილი მიუძღვნა აგრეთვე იმ დროს ცნობილმა ახალგაზრდა კრიტიკოსმა **ესტატე მჭედლიძემ** (ბოსლეველმა) („ილ. ჭავჭავაძე და მისი ახალი პემა „განდევილი“, გაზ. „შრომა“, 1883, # 18).

თავის წერილს ესტატე მჭედლიძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი გზის ზოგადი დახასიათებით იწყებს და აღნიშნავს ილიას დიდ ნოვატორულ დამსახურებას. კრიტიკოსის აზრით, ახალგაზრდა ილიას მთავარი მიზანდასახულობა ბატონყმობის სოციალური ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, ამ მახინჯი საზოგადოებრივი წყობილების გაუქმების შემდეგ კი ილიას თითქოს შემოქმედებითი მასალა გამოეღია. ამ გარემოებით ხსნის კრიტიკოსი იმ გარემოებას, რომ ილია მაინცდამაინც პროდუქტიული მწერალი ვერ გამოდგა მისი შემოქმედების მომდევნო ეტაპზე: „... გათავდა ბატონყმობაც და ილ. ჭავჭავაძისა და მისი ამხანაგების პოეზიას თითქო მასალა გამოეღიაო, მთელი როლი, როგორც თანამედროვე ცხოვრების გამომთქმელის პოეტებისა, თითქო გათავდაო“ (მჭედლიძე 1883: 270). შემოქმედებით კრიზისიდან, კრიტიკოსის თქმით, ილია ჭავჭავაძემ თავის დაძვრენა ისტორიული თემატიკისადმი მიბრუნებით სცადა: „ილ. ჭავჭავაძემ თითქო ვეღარ იპოვა გარეშემორტყმულ ცხოვრებში საგანი თავის პოეზიისათვის და მიაწვა

ისტორიას, წარსულს და ახალის ცხოვრებიდან ტიპების გამოხატვა მიანდო უნიჭო მწერლებს. დასწერა მან „დედა და შვილი“, „დიმიტრი თავდადებული“, სადაც სწორედ ისე, როგორც მის პოეტურს ნიჭს ეკადრებოდა გამოხატა მან მამულისადმი ღრმა თავდავიწყებული სიყვარული ჩვენის მამებისა. და ამით მისცა მან ხმა საზოგადოებაში გაღვიძებულს პატრიოტულს გრძნობას და მისცა ცოცხალისა და მართალის ტიპების დახატვით, და ამ ტიპებში ნამდვილ პოეტურად გამოკვანდა მან ამ პატიოსანის და უმაღლესის გრძნობის იდეალი“ (მჭედლიძე 1883: 270).

ბოსლეველი მსჯელობს ილია ჭავჭავაძის პოეტურ ბუნებაზე. მისი თქმით, პოეტებად იბადებიან. ჭეშარიტი პოეტისათვის აუცილებელია თანდაყოლილი პოეტური ტალანტი და წარმოსახვის ძალა, ინტუიციური ჭვრეტის უნარი, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. თანამედროვე პოეტს, კრიტიკოსის თქმით, ინტელექტუალური სიმწიფე, „გონებითი ძალაც“ მოეთხოვება, რათა გააშინარსოს ის, რასაც მას მისი მხატვრული ფანტაზია აწვდის და განაზოგადოს, ტიპური სახეებით მოგვაწოდოს თავისი ნაგრძნობ-განცდილი. ილია ჭავჭავაძე, ბოსლეველის თქმით, იმ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც დიდი ინტელექტუალური ძალით არიან დაჯილდოებულნი: „ილ. ჭავჭავაძე თუ ფანტაზიით რამდენადმე დაუვარდება ვისმე, მის მაგიერ გონებითის ძალით, გონებითის ანალიზით და მოვლენათა ტიპების გამოთქმით იგი თითქმის ყველას ბატონობს“ (მჭედლიძე 1883: 271).

ბოსლეველი მარჯვედ შენიშნავს ილია ჭავჭავაძის, როგორც ხელოვანის, ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს – მძლავრ ანალიტიკურ ტალანტს, მხატვრული განზოგადების ბრწყინვალე უნარს, მიდრეკილებას ტიპიზაციისაკენ: „ჩვენს მწერლობაში ილ. ჭავჭავაძე თითქმის ერთადერთი პოეტია, რომელსაც ცხოვრების განცალკევებულ მოვლენათა შეკრება, მათში შინაგანის კავშირის გამოძებნა და მათგან ერთის სასტიკად განსაზღვრულის ტიპთა სურათის გამოქანდაკება შეუძლიან... სხვაგან, თითქმის ყველგან, ჩვენ ვატყუებდით თავს პაწაწვინა ტიპებს, პორტრეტებს, ხშირად ავტორისაგან გაუგებელს, რომელნიც არიან გამოყვანილნი გაუთავებლად, ჭრელად,

აჩრდილად და რომელნიც თან დაშორებულნი არიან ცხოვრებაზედ და რეალურს სინამდვილეს მოკლებულნი“ (მჭედლიძე 1883: 272).

ამის შემდეგ კრიტიკოსი პოემა „განდეგილის“ შესახებ იწყებს საუბარს. იგი გადმოსცემს პოემის ძირითად პერიპეტიებს და ალაგ-ალაგ საკუთარ კომენტარებსაც ურთავს. ბოსლეველს ხიბლავს, თუ როგორ აღგვიწერს მწყემსი ქალის სილამაზის განდეგილზე ზემოქმედებას პოეტი. კრიტიკოსის თქმით, შეუდარებელია ამ სცენის ფსიქოლოგიური მოტივირება და მხატვრული დამაჯერებლობა: „სულის მოძრაობათა ღრმად გაგებაში, გრძნობათა ფსიხოლოგიურს ანალიზში და ამ სულის მოძრაობისა და გრძნობების, ადამიანის, შინაგანის, ასე ვთქვათ, ქვეყნის გამოხატვაში ილ. ჭავჭავაძე ძნელად თუ ჰყავს ბადალი ჩვენს მწერლობაში და ამ აზრს ამტკიცებს აშკარად, სხვათა შორის მისი ახალი პოემა“ (მჭედლიძე 1883: 275-276) – დაასკვნის კრიტიკოსი.

ბოსლეველსაც, ისევე როგორც იონა მეუნარგიას, პოემა „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ახალი ხანის დასაწყისად მიაჩნია. ისიც ფიქრობს, რომ ილიამ მიაშურა „წმინდა ხელოვნების“ სანახებს და ერთგვარი დისტანცირება მოახდინა თანამედროვეობის პრობლემატიკისაგან: „ამ პოემიდან სჩანს, რომ ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტაგანმა თითქო მიაწება თავი ცხოვრებითი კითხვების გამოხატვას, პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვრებასაც შემოსწყრა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია!.. მართალია, საწუთროზედ მდურვა ცოდვის სადგურის დედამიწისაგან განდეგილება, დაღონებული კილო, ნაღვლიანი გულის კვნესა ახალი მოვლენა არ არის ჩვენს ლიტერატურაში, არამედ თან დაჰყოლია მას. ჩვენის კლასიკურის პოეტის ნ. ბარათაშვილის “მერანი“ სხვა რა არის, თუ არ ჩამოსხმული “კვნესა გულისა“ და “განწირულის სულის კვეთება“, თუ არა მთლიანად ამ ცხოვრებისადმი გულგაცივებულის მამვრალის ოხვრა-გოდება?!“ (მჭედლიძე 1883: 276).

ესტატე მჭედლიძის აზრით, პოემაში აღწერილია თავად ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება საწუთროსადმი: „ჭავჭავაძის პესიმისტურს შეხედულებას

„სააქაოზედ“ სამზღვარი არა აქვს (თავი III). ამ შეხედულებასთან ღმერთმა შეარცხვინოს თვითონ ბირონის აზრიც, რომელსაც ბუნება იმდენად მშვენიერად და სრულად მიაჩნდა, რამდენადაც ადამიანი მდაბლად და ბოროტად“ (მჭედლიძე 1883: 276). ამ არასწორ თვალსაზრისზე დაყრდნობით კი კრიტიკოსი სინანულის გამოთქვამს, რომ ილია ცხოვრებაზე პესიმისტური თვალსაზრისის გავლენის ქვეშ ექცევა. ასეთი პესიმიზმის გავრცელება მწერლობაში, მისი თქმით, ჩვენს ლიტერატურას კარგს არაფერს მოუტანს.

სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა „განდეგილს“ ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ. ეს ნარკვევი სრულიად გამორჩეულია თავისი ხასიათითა და მიზანდასახულობით. შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართველ კრიტიკოსთაგან ყველაზე მეტად სწორედ კიტა აბაშიძე მიუახლოვდა პოემის სათქმელს. მან მეტად ფართო კონტექსტში განიხილა ილიას უკვდავი თხზულება.

კიტა აბაშიძეს თავდაპირველად მისი წინამორბედი კრიტიკოსების მოსაზრებები მოჰყავს პოემის შესახებ და აღნიშნავს, რომ ქართულმა კრიტიკამ თავის დროზე სათანადოდ ვერ აუღო ალღო ამ ნაწარმოებს.

კიტა აბაშიძის თვალთახედვით, ამ თხზულების პრობლემატიკა ცხოვრების მოთხოვნილებათა და მის უარყოფას შორის შეჯახებაში მდგომარეობს: „მთელი ინტერესი პოემისა სწორედ აქ არის, ამ ბუნების კანონებსა და მისი უარისყოფას (ასკეტიზმს) შუა ბრძოლაში“ (აბაშიძე 1896: 12). კრიტიკოსი მსჯელობს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და აღნიშნავს, რომ იგი სრულიადაც არ მოითხოვს ადამიანისაგან ყველა ბუნებრივ მოთხოვნილებაზე უარის თქმას. კიტა აბაშიძის აზრით, განდეგილის ტრაგედიის არსი იმაშია, რომ მან იმაზე მძიმე ჯვარი აიღო საკუთარ თავზე, რისი ზიდვაც შეუძლო.

მწყემსი ქალი, კიტა აბაშიძის თვალთახედვით, სიმბოლოა ცხოვრებისა, რომელმაც თავის სამყოფელში ააკითხა ბერს: „განდეგილს ცხოვრებისათვის ზურგი შეუქცევია, მაგრამ ცხოვრება ღამაში ქალის სახით მის სენაკში შეიპარება“ (აბაშიძე 1896: 13).

„განდეგილის“ მთავარი სათქმელი კიტა აბაშიძეს შემდეგგვარად ესახება: „რა უნდოდა ეთქვა „განდეგილში“ პოეტს, თუ არა ის, რომ ყოველი კაცი, რომელიც გაურბის ცხოვრებას, ცხოვრებისგანვე იქმნება დასჯილი ისე, როგორც დაისაჯა განდეგილი. ვერავითარი სენაკი და უდაბნო, ვერავითარი ცდა - “დღე და ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით სულისთვის ხორცის წამება,” “ვერც ლოცვის ცრემლი”, რომელიც არ შემწყდარა, “ვითა ღელესა მას გლოვისასა” - ვერ დასძლევს ბუნების მოთხოვნილებას, ვერ გააქარწყლებს სასტიკს კანონს ბუნებისას“ (აბაშიძე 1896: 13). ერთი სიტყვით, ილიამ ამ პოემით გვიჩვენა, რომ ისეთი გამორჩეული ნებისყოფისა და სულიერი წყობის ადამიანმაც კი, როგორიც იყო განდეგილი, ვერ შეძლო საბოლოოდ საკუთარ ბიოლოგიური ბუნების სრული დამორჩილება.

კიტა აბაშიძე ყურადღებას მიაპყრობს პოემის მხატვრულ თავისებურებებსაც. მისი თქმით, წარმტაცია პოემის სიუჟეტი. იგი ძალზე ოსტატურად ვითარდება და შინაგანი ლოგიკითაა განპირობებული. დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითაა აღწერილი, კრიტიკოსის აზრით, განდეგილის აღსასრული: „ამდენი ხნის შეკავებულის, მოზღვავებულის გრძნობის დაუკმაყოფილებლობას უთუოდ ასეთი მძიმე შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ამას ზედ დაუმატეთ მისი დასუსტება სულიერის ბრძოლის გამო და მაშინ ცხადია, რომ ამგვარად უნდა გათავებულიყო მრავალტანჯულის მწირის ცხოვრება“ (აბაშიძე 1896: 15).

კიტა აბაშიძის ნარკვევის დიდი დამსახურება იმით გამოიხატება, რომ მან ილიას „განდეგილი“ ფართო ლიტერატურულ კონტექსტში განიხილა და ამგვარად, შეიძლება ითქვას ახალი ქართული ლიტერატურის კომპარატივისტულ კვლევასაც დაუდო საფუძველი.

მკვლევარი ილიას პოემას თემატურად მონათესავე ნაწარმოებთა გვერდით განიხილავს. იგი ყურადღებას მიაპყრობს ევროპული მწერლობის სამ თვალსაჩინო ნიმუშს: ემილ ზოლას „აბე მურეს შეცოდებას“, გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტონის ცდუნებანს“ და მიხაილ ლერმონტოვის „მწირს“. სამივე ამ ნაწარმოებში თავს იჩენს ცდუნების პრობლემა, ოღონდაც განსხვავებულ კონცეპტუალურ საფუძველზე.

თავდაპირველად კრიტიკოსი ემილ ზოლას „აბე მურეს შეცოდებაზე“ საუბრობს. ამ რომანში, კიტა აბაშიძის თქმით, ასახულია კონფლიქტი ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებასა და რელიგიურ ფანატიზმს შორის. ამ აზრით ეს თხზულება გარკვეულად ენათესავება „განდეგილს“. თუმცა მათ შორის სხვაობაც არსებობს.

„აბე მურეს შეცოდებაში“ ასკეტიზმი რჩება გამარჯვებული, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამარჯვება დამარცხების ტოლფასია და შეიწირავს ყოველივე ადამიანურს. „განდეგილში“ კი სიცოცხლის მოთხოვნილება იმარჯვებს ასკეტიზმზე. ამასთანავე, „აბე მურეს შეცოდება“ ანტირელიგიური პათოსის მქონე ნაწარმოებია. იგი მკვეთრად უპირისპირდება კათოლიკურ, იეზუიტურ მორალს, სასულიერო პირთა უქორწინებლობის პრინციპს. ილიას პოემა კი თავისუფალია ანტირელიგიური სულისკვეთებისაგან. ილიას მიზანდასახულობა უფრო ფართოა. კიტა აბაშიძის თქმით, „განდეგილი ცხოვრებას სტოვებს იმიტომ კი არა, რომ სარწმუნოების ესა თუ ის ფორმა აღასრულოს, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრებამ სიცოცხლე მოუშხამა, რადგან გაიგო ყოველივე ნაკლულევალება, ყოველივე საზიზღრობა საწუთროისა. სწორედ ამის მიზეზით კისრულობს იგი რომელისამე ფორმის აღსრულებას. ზოლას განდეგილი კი ცხოვრებასა სტოვებს (ისიც ერთ მხარეს ცხოვრებისას, თორემ ისე კი მაინც სოფლის მღვდელია და ცხოვრებაშივე დატრიალობს), სტოვებს მხოლოდ იმიტომ, რომ პატრია და პატრი ვალდებულია ეს ფორმა აღასრულოს“ (აბაშიძე 1896: 16).

აბსოლუტურად ზუსტია კიტა აბაშიძის განცხადება, რომ „ზოლა, ჩვენის აზრით, უფრო ვიწრო აზრს ებრძვის, კათოლიციზმისაგან შექმნილს კანონებს და მისგან დადგენილს ასკეტიზმს, ებრძვის მას, როგორც ბუნების დამასახიჩრებელს და ადამიანის დამღუპველს ფორმას. თ. ჭავჭავაძე, ჩვენა გვგონია, საზოგადოდ „განდეგილობის“ წინააღმდეგია, ცხოვრების უარყოფელ ფილოსოფიას გამკლავებია“ (აბაშიძე 1896: 17).

კიტა აბაშიძის სამართლიანი აზრით, „განდეგილი“ განხილულ უნდა იქნას ილიას მთლიანი შემოქმედების კონტექსტში. ილიას იდეალი, დღიდან სამოღვაწეო

ასპარეზზე გამოსვლისა, იყო ადამიანი, რომელისაც გამახვილებული ჰქონდა სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნება. კრიტიკოსის მართებული შეხედულებით, ილიამ მოგვცა თავისი იდეალი სასულიერო პირისა „გლახის ნაამბობში“ მღვდლის სახით, რომელიც განდეგილის ანტიპოდად გვევლინება: „თ. ჭავჭავაძის იდეალია ისეთი აღმასრულებელი ღვთის მცნებისა, როგორიც თავის „გლახის ნაამბობში“ დაგვიხატა მღვდლის სახით და რომელიც სრულიად სხვა გზით სცდილობს, ემსახუროს ღმერთსაცა და მოყვარესაც, ვინემ განდეგილი. იგი უმსუბუქებს ხვედრს გაჭირვებულებს, თავს სწირავს კაცის სიკვდილიდგან დახსნისათვის, აძლევს მათ გონებრივსა და ხორციელს საზრდოს. იგი ცხოვრებაში ტრიალებს და ცხოვრების ტალღებს გმირულად ებრძვის“ (აბაშიძე 1896: 18).

მეორე ნაწარმოები, რომელსაც კიტა აბაშიძე თემატურად აკავშირებს „განდეგილთან“, არის გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტონის ცდუნებანი“. კრიტიკოსის თქმით, ფლობერის ეს თხზულება ავტორის პესიმისტურ თვალთახედვაზეა ამოზრდილი. წმინდა ანტონის ცდუნებებს უფრო ინტელექტუალური ხასიათი აქვს, განსხვავებით განდეგილის ხორციელი გულისთქმებისაგან. ამიტომაც, მიუხედავად გარკვეული თემატური ნათესაობისა, ეს თხზულებები მაინც დაშორებულია ერთმანეთისაგან. კიტა აბაშიძე ილიას პოემას ფლობერის რომანზე მაღლა აყენებს იმ თვალსაზრისით, რომ მასში უფრო ნათლად, მკაფიოდაა მიწოდებული მწერლის სათქმელი მკითხველისადმი.

ბოლო ნაწარმოები, რომელიც კიტა აბაშიძის ყურადღების ცენტრში ექცევა, არის მიხეილ ლერმონტოვის პოემა „მწირი“. როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ იონა მეუნარგიამ გაამახვილა ყურადღება მასზე, როგორც „განდეგილის“ თემატურად მონათესავე ნაწარმოებზე. კიტა აბაშიძე მიუთითებს, რომ ამ პოემას „განდეგილთან“ მხოლოდ ბერის სახე აახლოებს, კონცეპტუალურად კი ის დიდად დაშორებულია მისგან. ლერმონტოვის, როგორც რომანტიკოსი პოეტის ინტერესის სფეროში მოქცეულია პიროვნების თავისუფლების, მშობლიური სივრცისადმი ლტოლვის პრობლემა და არა უზოგადესი საკითხი ადამიანის არსებობის საზრისისა.

კიტა აბაშიძის ამ დაკვირვებებმა ბიძგი მისცა ქართველ მკვლევარებს, რომ შემდეგშიც „განდეგილი“ უფრო ფართო ლიტერატურულ კონტექსტში განეხილათ და ახალ-ახალ ნაწარმოებებთან დაეკავშირებინათ, იქნებოდა ეს ანატოლ ფრანსის „თაისი“, ლევ ტოლსტოის „მამა სერგი“ თუ სხვ.

კრიტიკოსი საგანგებოდ ჩერდება პოემის მხატვრულ თავისებურებებზეც. იგი აღნიშნავს, რომ პერსონაჟთა სულიერი წყობისა და გარეგნობის აღსაწერად ილია მარჯვედ იყენებს კონტრასტის მხატვრულ ხერხს: „მან დაუპირდაპირა “კუმტსა და მწყრალს” განდეგილს სიცოცხლითა და ცხოვრების შეხედულებით აღსავსე ყმაწვილი ქალი. ეს დაპირდაპირება, ანტითეზა, სწორედ მხატვრული ხერხია, ფერადთა შეხამებაა იმ აზრით, რომ ერთმა ფერადმა უფრო თვალსაჩინოდ გაჰხადოს მეორე” (აბაშიძე 1896: 21). კიტა აბაშიძის თქმით, შთამბეჭდავია ილიას მიერ დახატული პორტრეტები. მათი წარმოდგენით ავტორი ირიბად მიგვანიშნებს პერსონაჟთა სულიერ სამყაროზე. კრიტიკოსის თქმით, ილია მიმართავს კლასიკური ესთეტიკის პრინციპს (ლესინგის ხერხს), როდესაც პერსონაჟის გარეგნული ხატის მხოლოდ მონახაზი ეძლევა მკითხველს, დანარჩენს კი ავსებს თავისი წარმოსახვის შესაბამისად: „ჭავჭავაძე სულაც არ აგიწერთ დაწვრილებით არც ცხვირს, არც ტუჩს, არც თვალებს ქალისას, არც მის წარბსა და წამწამს. მისთვის საკმაოა, გითხრათ, რომ ამ ქალის ეშხიან თვალების “სითბოს თვით ცეცხლი ეცილებოდა”, რომ მისი ბაგე “ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა”, რომ მისი სიტურფის შექმნას თითქო ერთად ცდილან “თვით სიყვარული და ნეტარება”, “თითქო თვით მადლსა შვენებისასა თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია.” აქ თქვენს ფანტაზიას სრული თავისუფლება ეძლევა და ყველას შეუძლია წარმოიდგინოს ისეთი იდეალი სიმშვენიერისა, როგორიც ესურვება მის წარმოდგინებით ძალას. ავტორი რომ მოჰყოლიყო წვრილ-წვრილად აღწერას, ჩვენს ფანტაზიას შეჰბოჭავდა და თვითაც ვერავითარ ნათელ სურათს ვერ დაგვიხატავდა” (აბაშიძე 1896: 24).

არანაკლებ შთამბეჭდავია კიტა აბაშიძის აზრით, ბუნების სურათის აღწერა პოემაში: „ძლიერი სული, რომელიც ამკობს ამ სურათს, სიცოცხლე და ძლიერი

მოძრაობა, რომელსაც გაგრძნობინებთ ყოველი კალმის მოსმა პოეტისა, საოცარი შეხამება ფერადთა, მისი ხელოვნური სტილი და სიმბოლიური აზრი თვით აღწერილობისა, უტყუარი დამასაბუთებელია თ. ჭავჭავაძის დიდის მხატვრულის ნიჭისა” (აბაშიძე 1896: 25). ბუნების აღწერის დროსაც, კრიტიკოსის თქმით, ილია ოსტატურად მოიმარჯვებს კონტრასტის ხერხს: „აქაც ავტორი იმავე იარაღს ხმარობს - დაპირდაპირებას, ანტიითეზას: მზიანი მყუდრო სადამოს აღწერას ისეთ საშინელს დადამებას მოაყოლებს. აქაც სიმშვენიერე პირველის სურათისა ერთი ორად ჩნდება, უცნაური, ჯოჯოხეთის მსგავსი ამინდის აღწერით” (აბაშიძე 1896: 25).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „განდეგილი“ კრიტიკოსთა მიერ ილიას შემოქმედებაში ახალი ეტაპის დასაწყისად იქნა მიჩნეული. ქართული კრიტიკა ერთგვარად დააბნია ტენდენციის განსაზღვრების იმ ფორმამ, გარემოსადმი ფილოსოფიურმა მიდგომამ, რომელსაც ვხვდებით „განდეგილში“ და ამიტომაც იგი შეცდომით მიჩნეულ იქნა „უტენდენციო“ ნაწარმოებად (დ. კეზელი, ბოსლეველი). ილიას უსაყვედურებს თანამედროვეობის პრობლემებისაგან დისტანცირება და განდეგილი ბერის „უსაგნო ცხოვრების“ აპოლოგია. მეცხრამეტე საუკუნეში „განდეგილის“ შესახებ შექმნილ ლიტერატურაში სრულიად გამორჩეული ახალგაზრდა კრიტიკოსის კიტა აბაშიძის ნარკვევი. შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის კრიტიკოსთაგან ყველაზე მეტად კიტა აბაშიძე მიუახლოვდა პოემის სათქმელს. მან „განდეგილი“ ფართო ლიტერატურულ კონტექსტში, ევროპული მწერლობის სხვა თხზულებებთან კავშირში განიხილა და ამგვარად საფუძველი დაუდო ნაწარმოების კომპარატივისტულ კვლევას.

თავი III

ილია ჭავჭავაძის პროზა XIX საუკუნის ქართულ

ლიტერატურულ კრიტიკაში

§ 3.1. „მგზავრის წერილები“

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად მისი პროზაა მიჩნეული. ილიას შემოქმედებითი ოსტატობაც, შეიძლება ითქვას, ყველაზე თვალნათლივ მის პროზაულ თხზულებებში გამოვლინდა. ქართული ყოფიდან ამოზრდილ თავის მოთხრობებში მწერალი ქართული პროზის ნოვატორად და რეფორმატორად მოგვევლინა. როგორც აღინიშნა, ლიტერატურულმა კრიტიკამ ილიას პროზას იმთავითვე მაღალი შეფასება მისცა. თუმცა ცალკეული კრიტიკული შენიშვნებიც გამოითქვა მისი მოთხრობების ირგვლივ.

„მგზავრის წერილები“ ილიას პირველი დასრულებული მოთხრობაა, რომელიც 1861 წელს არის შექმნილი. იგი ილია ჭავჭავაძის საპროგრამო ნაწარმოებადაა მიჩნეული, რამდენადაც მასში თავის იჩენს ის თემები, ის მოტივები, რომლებიც შემდგომ გაშლასა და საგანგებო დამუშავებას ჰპოვებს ილიას სხვა თხზულებებში.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას საგანგებო ყურადღება ამ ნაწარმოებისადმი არ გამოუვლენია. მოთხრობა 1871 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულის“ ორ ნომერში (# 4, 5). იმავე წლის გაზეთ „დროების“ 39-ე ნომერში კი გამოქვეყნდა რეცენზია „კრებულის“ მეხუთე წიგნზე (წერილს ხელს აწერს ს. წკ.). ამ ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტატიაში რეცენზენტი ილიას ახლადგამოქვეყნებულ თხზულებასაც შეეხო, ამონაწერებიც მოიტანა თხზულებიდან და ავტორის დიდ მხატვრულ ტალანტზეც მიუთითა: „ეს არის მგზავრის წერილებიდან ამოღებული სამი პატარა თავი, სულ რვა თავახი. მაგრამ რამდენი მშვენიერი ალაგებია ამ რვა პატარა თავახში, რამდენ პოეტურ ნიჭსა და ჭკუას გვიჩვენებს ის ავტორში! წაიკითხეთ ეს ღამისა და დღის ალეგორიული შედარება და

დამერწმუნებით, რომ ***-ს მართლა პოეტური ნიჭი და ხელოვნური კალამი აქვს“ (ბიბლიოგრაფია 1871: 221).

ბიბლიოგრაფიული წერილის ავტორს განსაკუთრებით ხიზლავს ლელთ ღუნისას მხატვრული სახე, რომელიც, მისი თქმით, დიდი დამაჯერებლობითა და ოსტატობით აქვს ილიას აღწერილი: „თავის მოგზაურობის დროს, ავტორი შეხვდება ერთ მოხევს, რომელთან საუბარი თითქმის ორი წერილის შინაარსს შეადენს. ეს საუბარი, ეს სჯა და თვით ენა უბრალო მოხვეისა ისეთი ხელოვნებითაა გადმოღებული, ისეთი ორიგინალური და შესანიშნავია, რომ არ შეგვიძლია აქედამაც ორიოდ სტრიქონი არ გადმოვსწეროთ“ (ბიბლიოგრაფია 1871: 221).

1872 წელს ანტონ ფურცელაძე კვლავ შეეხო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას წერილში „საწყალი კუდაბზიკა“. წერილი მიმართულია ნიკო ნიკოლაძის სტატიის – „ჩვენი მწერლობა“ – წინააღმდეგ. ნიკო ნიკოლაძემ ანტონ ფურცელაძეს უსაყვედურა არათანმიმდევრულობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასებაში, რასაც ფურცელაძე საპასუხო წერილით გამოეხმაურა.

ანტონ ფურცელაძემ ზოგი რამ თავისი ადრინდელი შეხედულებებიდან გაიმეორა და ზოგიერთი მოსაზრების უფრო მეტად გამოკვეთაც სცადა. იგი შეეხო ილიას „მგზავრის წერილებს“ და აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძე ხშირად მიმართავს უტირიებას, რაც თვალშისაცემია თუნდაც მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟის, რუსი ოფიცრის დახასიათებიდან. ილიას შემოქმედების ეს თავისებურება კი, კრიტიკოსის თქმით, გავლენას ახდენს სხვა ავტორებზეც. ამის მაგალითად ანტონ ფურცელაძეს გიორგი წერეთლის პროზა მიაჩნია: „უყვარს ჭავჭავაძეს უტირიოვკა. აიღეთ თუნდაც ბუზირეკია ოფიცერი “მგზავრის წერილებში”: არა აქვს ფსიხოლოგიური ცნობა კაცის გულისა და დაკვირვება ლოღიკურის მიმდინარეობის კაცის მოქმედებისა... მაგის ამგვარ ნაწერების მოქმედებამ დაჰბადა ჩვენს მწერლობაში უფ. გ. წერეთლის „ჯიბრი“ და „ჩვენი ცხოვრების ყვაილები“ და მის მსგავსები, რომელშიაც ისახებიან სრულიად ეს აწერილი ჭავჭავაძის ნაკლულებები“ (ფურცელაძე 1872: 223).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ წერილში ანტონ ფურცელაძე ილია

ჭავჭავაძის სახელს უკავშირებს მთელი ლიტერატურული სკოლის შექმნას. ილიას გავლენა, მისი თქმით, თვალსაჩინოა მის „აღზრდილებზე“. მართალია, კრიტიკოსს გარკვეული პრეტენზიები აქვს ილიას, როგორც ხელოვანის მიმართ, მაგრამ აღიარებს, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე მწერალია: „რომ ერთი საუკეთესოთაგანია ჩვენში, მეც მაგას ვაღვიარებ, მაგრამ რომ ეს გვაძლევდეს მიზეზს მაგის წინ თვალების დახუჭვას, ეგ თქვენთვის მომინდვია“ (ფურცელაძე 1872: 224).

„მგზავრის წერილებს“ ორიოდ სიტყვით ეხება თავის ეტიუდში **კიტა აბაშიძე**. იგი ამ ნაწარმოებს „ლირიკულ თხზულებად“ მოიხსენიებს. კიტა აბაშიძე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ნაწარმოების ერთ პერსონაჟს – ლელთ ღუნias. იგი ფიქრობს, რომ მოთხრობის იმ ეპიზოდს, სადაც ლელთ ღუნია ეროვნულ სატკივარს ახმიანებს, ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურისათვის და კერძოდ ე. წ. „მთის მწერლობისათვის“. კიტა აბაშიძის აზრით, სწორედ ამ მხატვრულმა სახემ და ხსენებულმა ეპიზოდმა მისცა შემოქმედებითი ბიძგი ალ. ყაზბეგისა და ძმები რაზიკაშვილების შემოქმედებას: „მოჩხუბარიძისა და რაზიკაშვილების თხზულებათა მთელი აზრი აქ, ამ ორ-სამ გვერდზედ არის მოთავსებული, საცა ავტორი მოხევეს ესაუბრება: “მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი: “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო” - სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა. იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოჰ, როდემდის, როდემდის?..ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!..” მოხევის გულის პასუხი სავსებითა და გარკვევით განსვენებულმა ა. ყაზბეგმა გადმოგვცა და გაგვაგებინა“ (აბაშიძე 1898: 24).

ასეთია მეცხრამეტე საუკუნის ქართული კრიტიკის მიმართება ილიას საპროგრამო მოთხრობისადმი.

§ 3.2. „გლახის ნაამბობი“

ილია ჭავჭავაძე პროზაში თავის პირმშოდ „გლახის ნაამბობს“ მიიჩნევდა. ეს მოთხრობა მძაფრი ზნეობრივი პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებია. „გლახის ნაამბობში“ მწერალმა ქართული სინამდვილის მაგალითზე ნათლად დაგვანახა ბატონყმობის სოციალური ინსტიტუტის ზნეობრივი მანკიერება, ის გარემოება, რომ „უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია“, რომ „ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“. ილია ჭავჭავაძემ ამ ნაწარმოებით გვიჩვენა, თუ როგორ ამახინჯებს მანკიერი სოციალური სისტემა ადამიანურ ურთიერთობებს, როგორ თრგუნავს ზნეობრივ, სიკეთისაკენ მიდრეკილ პიროვნებას, არ უტოვებს მას გამოსავალს და ხშირად დამნაშავედაც კი აყალიბებს.

ილიას „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი 1859 წელს დაიწერა, სრული სახით კი ნაწარმოები 1872 წელს დაიბეჭდა. 1873 წელს ჟურნალ „კრებულში“ მოთხრობის შესახებ შესანიშნავი წერილი გამოაქვეყნა **ნიკო ნიკოლაძემ**.

ნიკო ნიკოლაძე ქართველ სამოციანელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში. ნიკოლაძე მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ. თითქმის არ დარჩენილა სფერო საზოგადოებრივი აზროვნებისა, რომელშიც მას თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას.

დიდია ნიკო ნიკოლაძის, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსისა და კრიტიკოსის დამსახურება. ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში იგი, ფაქტობრივად, ჭაბუკობის ასაკიდანვე აქვეყნებდა ძალზე საყურადღებო წერილებს ესთეტიკის, ლიტერატურის ისტორიისა და მიმდინარე ლიტერატურული პროცესის როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული პრობლემების ირგვლივ.

ნიკო ნიკოლაძე გახლდათ ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი ილიას პროზისა, შესაბამისად, დიდია მისი წერილის ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა. იგი, ერთი მხრივ, გვითვალსაჩინოებს თავად ნიკო ნიკოლაძის, როგორც კრიტიკოსის ოსტატობასა და აზროვნების სიღრმეს, ხოლო, მეორე მხრივ, გვიჩვენებს, თუ როგორი

იყო ილიას პროზისადმი მწერლის თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი აზრის მიმართება.

„გლახის ნაამბობი“ ნიკო ნიკოლაძეს 50-იანი წლების რუსული რეალიზმის გავლენით შექმნილ თხზულებად მიაჩნია. თუმცა, კრიტიკოსის თქმით, ფაქტი გავლენისა ოდნავადაც არ აკნინებს მოთხრობის ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას, რამდენადაც გვითვალსაჩინოებს მწერლის პირველ ნაბიჯებს ქართულ პროზაში: „გლახის ნაამბობი“ ჩვენთვის მით უფრო შესანიშნავია, რომ ამ ჩინებული მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს, მის უწინდელ გზას გვაცნობს, მის პირველ ენის ამოდგმას გვასწრებს. ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის მით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ მცირე მოთხრობას“ (ნიკოლაძე 1873: 403).

50-იანი წლების რუსულ მწერლობას, კრიტიკოსის თქმით, ერთი მიზანი ასულდგმულებდა – ბატონყმობის მხილება, ამ სოციალური ინსტიტუტის დაუნდობელი კრიტიკა. აღნიშნული პერიოდის რუსული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორის ნიკო ნიკოლაძე გამოყოფს: გრიგოროვიჩს, პოტეხინს, ტურგენევს, პისემსკისა და მარკო-ვოვჩოკს. სწორედ ამ ავტორთა დამსახურება იყო ის, რომ საზოგადოების ზედა ფენამ ნათლად გააცნობიერა, „გლეხებიც კაცები არიან, იმათაც გრძნობა აქვთ, იმათაც ბედნიერება და კეთილდღეობა სჭირიათო, იმათაც გული აქვთო“. ამ თხზულებებში, კრიტიკოსის თქმით, ბატონყმობის თემა ცალმხრივად, უმთავრესად სიყვარულის ნიადაგზე იყო გაშლილი, „რომ გლეხს გლეხის ქალი შეუყვარდა, მაგრამ ბატონის ძალამ, გავლენამ და ძალადობამ იმისი ბედნიერება მოსპო და ორი კეთილი გული, ჩვილი გრძნობიერება და სული დასტანჯა, დააოხლა“ (ნიკოლაძე 1873: 411).

ნიკო ნიკოლაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ბატონყმობის თემაზე მომუშავე რუსი მწერლების უმრავლესობას ახასიათებდა საკითხისადმი ცალმხრივი მიდგომა, ერთგვარი სქემატიზმი, რაც იმაში ვლინდებოდა, რომ ისინი გლეხობის იდეალიზაციას ახდენდნენ. აღნიშნული გარემოება, ნიკოლაძის დასკვნით, იმით იყო განპირობებული, რომ ეს ავტორები ღრმად არ იცნობდნენ რუსი გლეხკაცის ბუნებას,

მის ყოველდღიურ ყოფას და ყოველივე ამას რომანტიზებულად წარმოსახავდნენ: „ამ მწერლების (გრიგოროვიჩის, პოტეხინის, პასემსკის, ტურგენევის, მარკოვოვჩოკის და სხ.) ნაკლულოვნება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი გლეხკაცობას ხატავდნენ ისე, თითქო წინ ნამდვილი გლეხი კი არა, მათი საკუთარი თავი ყოლოდეთ, გლეხკაცურ ფარაჯაში ჩაცმული. ისინი გლეხის მდგომარეობას არც კი იცნობდნენ. იმათ გლეხები შორიდან დაენახათ, და თავიანთ კაბინეტში, პეტერბურგს, მოეაზრებიათ, რომ რადგანაც გლეხი ჩვენისთანა ადამიანია, იმასაც ჩვენნაირი გული უნდა ჰქონდესო, ისიც ჩვენსავით უნდა გრძნობდესო, ამის გამო გლეხის პირით იმათ თხზულებებში ხშირათ ისეთი სიტყვები და აზრები გამოითქმებოდა, რომელთაც გლეხი კაცი არ იცნობს და არ ხმარობს“ (ნიკოლაძე 1873: 412).

ნიკო ნიკოლაძის თქმით, გლეხკაცი ამ მწერალთა თხზულებებში ხშირად მხოლოდ ავტორის თვალსაზრისის უბრალო გამახმოვანებლის როლს ასრულებდა, რაც ძალზე აკნინებდა ნაწარმოების მხატვრული დამაჯერებლობის ხარისხს: „მკითხველის წინ, ნამდვილი, ცოცხალი გლეხის მაგიერათ, მის შეუფარავ გრძნობების ადგილზე იდგა ნასწავლი კაცი, გლეხურ სამოსელში, რომელიც თავის ნამდვილ ენას, თავის საყოველღეო დარდს და აზრს კი არა, გაზეპირებულ, წიგნიდამ ამოკითხულ, ბაირონისა და შილერის აზრებს ამბობდა და გამოსთქვამდა“ (ნიკოლაძე 1873: 413).

ხსენებულ მწერალთა შემოქმედებაში განსახიერებული გლეხები თითქოს თავისუფალნი იყვნენ ყოველივე ადამიანური მანკიერებისაგან. არისტოკრატი მკითხველს, რომელსაც საკუთარი თვალთ არ ენახა გლეხების ყოფა, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „ანგელოზები ჩამოსულან ციდან და გლეხის ტულიფი, გლეხის სარაფანი ჩაუცვიათო“ (ნიკოლაძე 1873: 414), შედეგად კი, ნიკოლაძის თქმით, მკითხველი იყვარებდა არა რეალურ გლეხს, არამედ მის იდეალიზებულ სახეს: „მკითხველი... მართალია, სიმპატიას გრძნობდა გლეხკაცობისადმი, მაგრამ ის

იყვარებდა არა ნამდვილ გლეხკაცობას, ცოცხალი გლეხი კი არა, იდეალური გლეხის „პეიზაჟების“ სურათს და წარმოდგენას“ (ნიკოლაძე 1873: 413).

ეს გარემოება, კრიტიკოსის სამართლიანი დასკვნით, უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენდა მოვლენების ობიექტურ აღქმაზე. ჩვეულებრივი მკითხველი, გაიცნობდა რა ცხოვრებაში რეალურ გლეხკაცს თავისი ადამიანური მანკიერებებით, იმედგაცრუებული რჩებოდა მხატვრულ და რეალურ სინამდვილს შორის არსებული შეუსაბამობის გამო.

ნიკო ნიკოლაძე ძალზე საგულისხმოდ მსჯელობს 50-იანი წლების რუსული მწერლობის ღირსება-ნაკლოვანებებზე. იგი „გლახის ნაამბობს“ ისეთივე ტიპის თხზულებად მიიჩნევს, როგორადაც 50-იანი წლების რუსი რეალისტების თხზულებებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვლის, რომ ილიამ მოახერხა მხატვრული დამაჯერებლობის თვალსაზრისით ბევრად წინ წასულიყო თავის რუს კოლეგებზე და თავი დაედწია 50-იანი წლების რუსული რეალიზმისათვის დამახასიათებელი სქემატიზმისა და ტენდენციურობისთვის.

ამ მოსაზრების დასტურად ნიკო ნიკოლაძე მარჯვედ მოიხმობს ერთ მაგალითს. „გლახის ნაამბობის“ მთავარი გმირი, გაბრიელი, ღირსებით და გონიერებით სავსე ახალგაზრდა კაცია. ერთი შეხედვით, დაუჯერებელია ასეთი ნაკითხი და ინტელექტუალურად მომწიფებული გლეხი სინამდვილეში არსებობდეს, მაგრამ ილიამ ამ ყოველივეს ოსტატურად მოუძებნა გამართლება. პატარა გაბრიელს მწერალი აღმზრდელად შეახვედრებს განათლებულ და კეთილშობილ მღვდელს, რომელიც მას ზრდის სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობრივ სწავლებაზე დაყრდნობით. გავითვალისწინებთ რა ამ გარემოებას, ნიკოლაძის თქმით, უკვე აღარ გვაკვირვებს გაბრიელის ფაქიზი სულიერი სამყარო და პიროვნული ღირსებანი: „რუსულ რომანებში გლეხი ჩვილ სენტიმენტალურ, მწერლობის ენაზე ლაპარაკობდა თქო, ილ. ჭავჭავაძეს უგრძნია ეს ნაკლულოვნება, და მის „გლახის“ ნასწავლს ენას, მის გრძნობიერ და პოეტურ სურათებს და ფიქრებს მკითხველს იმით ავიწყებინებს, რომ ამ გლახას სიყრმიდანვე ერთ კეთილმოქმედ ღვდელს შეყრის, რომელიც იმას

წერა-კითხვას ასწავლის, გრძნობისა და პატიოსნების ძალას აგრძნობინებს და გზას უჩვენებს და „ვეფხისტყაოსანს“ აკითხიებს, აყვარებს და აგებიებს. „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილს კაცში, რასაკვირველია „ნასწავლი“ ლაპარაკი და შეუფერებელი ან ნამდვილი გრძნობიერება ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია“ (ნიკოლაძე 1873: 415).

ნიკო ნიკოლაძეს „გლახის ნაამბობი“ საქრესტომათო ნაწარმოებად მიაჩნია, რომელიც სავსეა ღრმაზროვნებით, სტილური სიცხადითა და მოხდენილი შედარებებით: „ყველა იმ ადგილების ამოწერა ან მოხსენება რომ მოვინდომოთ, საიდანაც გამოსჴვივის... ავტორის ნიჭი და ძალა, ნახევარი მოთხრობა თუ არა, მესამედი მაინც უნდა ამოვწეროთ და ჩამოვთვალოთ“ – აცხადებს კრიტიკოსი (ნიკოლაძე 1873: 417).

ნიკო ნიკოლაძე „გლახის ნაამბობს“ ილიას მთლიანი შემოქმედების კონტექსტში განიხილავს. იგი აღნიშნავს, რომ მოთხრობა თემატურად ენათესავება ილიას პოემას „რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ“. ეს უკანასკნელი ნაწარმოები, კრიტიკოსის დასკვნით, უფრო მეტად ცხოვრებისეულია და ტიპებიც უფრო მკაფიო და რეალისტურნი არიან: „რამდენიმე სურათში“ ნაკლები სენტიმენტალობაა და მოქმედი პირების ხასიათის გამოხატვას შიგ უფრო მეტი ძალა და სიმტკიცე აქვს, ვინემ „გლახის ნაამბობში“ (ნიკოლაძე 1873: 421).

ნიკო ნიკოლაძე დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებს ნაწარმოებს და დარწმუნებულია, რომ როცა ეს პოემა „კრებულში დაიბეჭდება, მკითხველი იმას სრულად გაიცნობს, და, იმედი გვაქვს დაგვეთანხმება, რომ ამ პოემაშიც, როგორც „გლახის ნაამბობში“ ჩვენი ნიჭიერი პოეტი, ჯერ კიდევ ფრთაგაუშლელი და თავისი ნიჭისა და გზის თითქმის პირველათ მსინჯველი, გამოდის მაინც შესანიშნავ მწერლათ და გრძნობით სავსე პოეტათ, რომელსაც პატიოსანი თანაგრძნობა უღვივის გულში ყველასადმი, რაც ჩვენს უხეირო ცხოვრებას დაუჩაგრავს ან ოზლათ დაუტოვებია“ (ნიკოლაძე 1873: 422).

მართალია, ნიკო ნიკოლაძე თავის კრიტიკულ წერილს ილია ჭავჭავაძის ადრეული პროზის დახასიათებას უძღვნის, მაგრამ გზადაგზა მწერლის სხვა ნაწარმოებებსაც ეხება. იგი დადებითად აფასებს ილიას „გლეხთა განთავისუფლების სცენებს“, რომლებიც, მისი შეხედულებით, „ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, და მეორე მხრით თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო საქმეს და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ“ (ნიკოლაძე 1873: 427). კრიტიკოსის მოწონებას იმსახურებს „მგზავრის წერილებიც“, რომელიც ააშკარავებს მწერლის „სარკაზმის ძლიერებას“.

კრიტიკოსის განსაკუთრებულ აღტაცებას კი მაინც „კაცია-ადამიანი?!“ იმსახურებს. ეს მოთხრობა, ნიკო ნიკოლაძის შეხედულებით, სრულიად თავისუფალია იმ სქემატიზმისაგან, რაც მცირედ, მაგრამ მაინც მოჩანს „გლახის ნაამბობში“. „კაცია ადამიანი“ კრიტიკოსს ახალი ქართული პროზის მშვენიერად მიაჩნია: „ილიას „კაცია ადამიანი“ რომ არ დაეწერა „გლახის ნაამბობი“ ჩინებულ თხზულებად ჩაეთვლებოდა, მაგრამ მისი თავი ჩვენს მკითხველ საზოგადოებას „კაცია ადამიანის“ დამწერა დაავიწყა“ (ნიკოლაძე 1873: 431). ნიკო ნიკოლაძე დაჰპირდა მკითხველს, რომ მომავალში საგანგებო წერილს მიუძღვნოდა ილიას ამ შედევრს, თუმცა, სამწუხაროდ, ეს დაპირება შეუსრულებელი დარჩა.

ნიკო ნიკოლაძის წერილი დაწერილია შესაშური ლიტერატურული ტაქტიკითა და ილიას მწერლური ნიჭისადმი დიდი პატივისცემის გრძნობით. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, იგი მიუკერძოებლად მიუთითებს ცალკეულ მხატვრულ ნაკლოვანებებზეც. ნიკო ნიკოლაძის სტატიას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ილიას შემოქმედებისადმი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზრის მიმართების ისტორიის გასათვალისწინებლად.

„გლახის ნაამბობს“ ეხება თავის ეტიუდში **კიტა აბაშიძეც**. ის ამ ადრეულ მოთხრობაში რომანტიკულ ტენდენციებს ხედავს. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ თავისი შემოქმედებითი ნატურით, ილია ჭავჭავაძე რეალისტი მწერალია და მის

თხზულებებშიც სწორედ ის ადგილებია განსაკუთრებით ძლიერი, რომლებიც რეალისტური მიდგომითაა შექმნილი. ხოლო რაც შეეხება რომანტიკულ თვალთახედვას, კიტა აბაშიძე ფიქრობს, რომ ეს ილიასათვის მაინცდამაინც არ არის ბუნებრივი. ამიტომაც მიაჩნია მას „გლახის ნაამბობი“ შედარებით სუსტ ნაწარმოებად: „გლახის ნაამბობი“ არის პირველი მოთხრობა თ. ილ. ჭავჭავაძისა. რომანტიული ელემენტები ამ მოთხრობისა ცხადია. ავტორი ხშირად ჩაურევს ხოლმე თავისს ფიქრსა და გრძნობას მოთხრობაში. გარდა ამისა, თვით მისი მოძღვარი და გაბრო უფრო პოეტის აზრისა და სურვილის გამომხატველი სიმბოლოა, ვინემ ცოცხალი ტიპი ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული. გაბრო უფრო უმაღლესის სასწავლებლიდან გამოსულს ახალგაზრდასა ჰგავს, მეტისმეტი ფაქიზის ნერვებისა და გრძნობების მექონეს, ვინემ იმ დროის გაუთლელს, მოუხეშავსა და ცხოვრებისაგან დაბეჩავებულს გლეხის შვილს” (აბაშიძე 1898: 32).

ის, რაც კიტა აბაშიძეს უცნაურად ეჩვენება, თავის დროზე შესანიშნავად ახსნა ნიკო ნიკოლაძემ. ამიტომ ამ მომენტზე საგანგებო ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. ასევე მცდარი მეთოდოლოგიური წანამძღვრების გამო ხედავს კრიტიკოსი ამ ნაწარმოებში რომანტიკულ სულისკვეთებას.

განსაკუთრებით ფასეულად გვეჩვენება კიტა აბაშიძის ერთი დაკვირვება. იგი მიუთითებს, რომ „გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი დათიკო მეტად რეალისტური და სახასიათო სახეა და იგი შეიძლება ითქვას, რომ გვევლინება არქეტიპად ქართულ ლიტერატურაში შემდგომ გამოჩენილი არაერთი პერსონაჟისა: „ეს ხასიათი - აღვირწახსნილ თავადიშვილისა, რომელსაც ქვენა გრძნობათა დაკმაყოფილება დაუსახავს ცხოვრების უმთავრესს საგნად და რომელიც არავითარს საშუალებას არ ერიდება, რომ თავისი ბინძური სურვილი და ვნებათა ღელვა დაიკმაყოფილოს, გაანადგურებს მთელს ოჯახს, უღალატებს ძმად და მეგობრად აღზრდილ თავის გაბროს და მთელს მის სიცოცხლეს უკუღმად წაიყვანს. ხოლო არც თავის თავს უშვრება უკეთესს რასმე - ეს ვითომდა ადამიანი, მოქეიფე და დარდიმანდი ყმაწვილი კაცი, განხორციელებული პირუტყვია, ერთის ვნების, ერთის

გრძნობის დასაკმაყოფილებელის იარაღად და მაშინად გარდაქცეული“ (აბაშიძე 1898: 32).

კიტა აბაშიძე კონკრეტულ მაგალითებსაც გვისახელებს. მისი ზუსტი დაკვირვებით, გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ ერთ-ერთი პერსონაჟის იერიშია წარბას პირველსახე სწორედ დათიკოა. კრიტიკოსის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას მელანიას „ბნელოს“ კნიაზ შაქროზე. ეგნატე ნინოშვილის ტარიელ მკლავაძეზე („ჩვენი ქვეყნის რაინდი“) და სხვ.

კიტა აბაშიძე აცხადებს, რომ მართალია ბაყონცმური წყობა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ამით სრულიადაც არ შენელებულა „გლახის ნაამბობის“ ზნეობრივი მნიშვნელობა და მხატვრული ღირებულება, რამდენადაც მოთხრობაში განსახიერებული პერსონაჟების მსგავსი ტიპები არ არიან ერთი რომელიმე დროის კუთვნილება: „მართალია, ამ მოთხრობას აზრადა აქვს იმ დროის წესწყობილების კრიტიკა, ხოლო თანაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ დღესაც დიდ საინტერესო მოთხრობადა ხდება... დათიკოები, მართალია, ბატონცმობის წესწყობილების შვილები არიან, მაგრამ დათიკოები, როგორც ბინძურ, აღვირწახსნილ გრძნობათა ჭურჭელნი... და საზოგადოების ცხოვრების მომწამვლელნი, ყოველ წესწყობილებას თან სდევენ“ (აბაშიძე 1898: 33).

გაკვრით შეეხო „გლახის ნაამბობს“ ფილიპე მახარაძე 1898 წელს მ. ნასიძის წიგნაკის საწინააღდეგოდ დაწერილ რეცენზიაში. მან ქართულ ლიტერატურაში ნოვატორად მიიჩნია დანიელ ჭონქაძე, რომელიც, პუბლიცისტის კატეგორიული დასკვნით, ილიამდე შეეხო ბატონცმობის თემას ქართული სინამდვილის მაგალითზე. რაც შეეხება „გლახის ნაამბობს“, იგი კრიტიკოსმა რუსული მწერლობის მიზამკვად გამოაცხადა: „რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის მოთხრობებს, აქ მხოლოდ, იმას ვიტყვით, რომ უმთავრესი იმათგანი, როგორც, მაგალითად „გლახის ნაამბობი“ უცხო ნიადაგიდან არის გადმოღებულნი, და ამიტომ იმათში ნამდვილი ცხოვრება ძლიერ მკრთალად იხატება“ (მახარაძე 1898: 555).

როგორც ვხედავთ „გლახის ნამბობის“ შესახებ ყველაზე თანმიმდევრული მსჯელობა ნიკო ნიკოლაძის წერილშია წარმოდგენილი. ეს პუბლიკაცია სახელმძღვანელოა სადღეისოდაც არაერთი თვალსაზრისით. ნიკოლაძემ მოახერხა ფართო ჭრილში განეხილა ნაწარმოები და წარმოეჩინა მისი გარკვეული უპირატესობა 50-60-იანი წლების რუსული მწერლობის ზოგიერთ ნიმუშთან შედარებით. ძალზე მნიშვნელოვნად გვეჩვენება აგრეთვე კიტა აბაშიძის დაკვირვება „გლახის ნამბობის“ ერთ სახეზე, დათიკოზე, რომელიც კრიტიკოსს სამართლიანად მიაჩნია ქართულ ლიტერატურაში შემდეგ გამოჩენილი არაერთი პერსონაჟის არქეტიპად.

§ 3.3. „კაცია-ადამიანი?!“

„კაცია-ადამიანი?!“ ილია ჭავჭავაძის სატირული პროზის შედეგია. იგი თავდაპირველად ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა, წიგნის სახით კი გამოიცა პეტერბურგში 1869 წელს.

ამ თხზულებაში ილია ჭავჭავაძემ ანალიზის საგნად გაიხადა ქართველი კაცის ყოველდღიური ყოფა და შექმნა უკვდავი ტიპები, როგორც მთავარი, ასევე მეორეხარისხოვანი პერსონაჟების სახით.

პირველი კრიტიკული გამოხმაურება „კაცია-ადამიანზე“ ეკუთვნის ანტონ ფურცელაძეს (ფურცელაძე 1864). მისი რეცენზია დაიბეჭდა გაზეთ „Кавказ“-ის დამატება ჟურნალ „Литературный листок“-ში (# 3-9).

თავდაპირველად წერილის ავტორი საუბრობს მოთხრობის საზოგადოებრივ რეზონანსზე. იგი აღნიშნავს, რომ ნაწარმოების გამოქვეყნებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ზოგიერთი მისით აღფრთოვანებულია, ზოგმა ვერ გაიგო, სხვები კი ადანაშაულებენ მოთხრობის ავტორს ქართველი თავადაზნაურობის „გაშვებაში“. ანტონ ფურცელაძის თქმით, ყველაზე მეტად „გაღიზიანებულნი არიან ისინი, რომელნიც თავისსა და სცენაზე გამოყვანილ პიროვნებათა შორის მსგავსებას პოუბენ.

დასასრულ, - ძველი ლიტერატორები - ავტორიტეტები, რომელნიც მიჩვეულნი არიან ქების ჰიმნების წერასა და „მთვარისა და ქალის“ შექებას, აღსდგებიან მთელი ძალით ახალი სიტყვის წინააღმდეგ, უწოდებენ მას პასკვილს, რომელიც არც კი უნდა აიღოს ხელში კეთილზნობრივად აღზრდილმა ადამიანმა“ (ფურცელაძე 1864: 374).

ანტონ ფურცელაძე გადმოსცემს მოთხრობის მოკლე შინაარსს და ახასიათებს პერსონაჟებს. მისი თქმით, ილიას მიერ განსახიერებული გმირები რეალური ცხოვრებიდან არიან აღებული და ამიტომაც მწერლის მონათხრობი დამაჯერებელია მკითხველისათვის.

მეტად საინტერესოა კრიტიკოსის მსჯელობა თათქარიძეობის აღმოსავლური ბუნების შესახებ. ანტონ ფურცელაძის აზრით, ეს პერსონაჟი დგას გონჩაროვის ობლომოვსა და გოგოლის ივანე ნიკიფოროვიჩს შორის. „ეს ის ხალხია, რომელიც სულ პატარაობიდან თავისი მშობლებისა და ირგვლივ არსებული წრის და უფრო მეტად უკეთესი აღზრდის კარგი მაგალითების წყალობით ეჩვევა საზიზღარ აღმოსავლურ სიზარმაცეს“ (ფურცელაძე 1864: 375). ამ ხასიათისათვის, კრიტიკოსის თქმით, ნიშნეულია პასიურობა, ინერტულობა, ისინი თითქოს ძილს მისცემიან სიფხიზლეში. „ვერავითარი უსამართლობა ვერ აღწევს მათ გულებამდე, მათ ეჩვენებათ, რომ ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც არის, რომ სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რომ ყველაფერი დამახინჯებული და გაფუჭებული წარმოიდგინონ თავისი ნორმალური - საუკეთესო სახით, საჭიროა ფიქრი“ (ფურცელაძე 1864: 376).

ანტონ ფურცელაძის სწორი დაკვირვებით, ლუარსაბისათვის, სხვა მებატონეთაგან განსხვავებით, სისასტიკე არაა დამახასიათებელი. იგი უბოროტო კაცია. მაგრამ მისი ეს პასიური „სიკეთე“ უდარდელობის, უმაქნისობის გამოვლენაა და სხვა არაფერი. „ჯიმშერიძისეული თათქარიძეები, ამასთან ერთად, სულით კეთილნი არიან. მაგრამ ეს სიკეთე მოსდით არა შეგნებით, თანაც, ცხადია, მათი ბუნებიდან გამომდინარეობს, არამედ, სიზარმაცისაგან და სულიერი აპატიისაგან. ბოროტება ყოველთვის აწუხებს სულიერ სიმშვიდეს, გონებას დაჭიმულ მდგომარეობაში აგდებს. თათქარიძეებს კი ეს არ მოსწონთ“ (ფურცელაძე 1864: 377).

მიუხედავად იმისა, რომ ანტონ ფურცელაძე მთლიანობაში დადებითად აფასებს ილიას მოთხოვნას, მაინც გამოთქვამს ცალკეულ შენიშვნებს „კაცია-ადამიანის“ მიმართ. კრიტიკოსი საუბრობს ლიტერატურული გავლენის ფაქტზე და აღნიშნავს, რომ ლუარსაბი ვერ ჩაითვლება წმინდა ეროვნულ სახედ და მის ხასიათში ჩანს რუსული მწერლობის გავლენით განსაზღვრული თვისებები: „ავტორმა თავის გმირს ისეთი ნიშნები მიაწერა, რომლებიც არ ეთანხმება ქართველი კაცის არსებულ პირობებს: ზოგჯერ თათქარიძეში წმინდა რუს მემამულესა ხედავთ. ზოგჯერ კი არც ისაა, არამედ ხელში რჩება რაღაც ამოკითხული, უშნოდ შეკოწიწებული“ (ფურცელაძე 1864: 390). თუმცა კრიტიკოსი ამ უსაფუძვლო თვალსაზრისის დასაბუთებას კონკრეტული არგუმენტებით ვერ ახერხებს და მისი სიტყვებიც ცარიელ განაცხადად რჩება, არაა ნათელი, ლუარსაბ თათქარიძის რა „არაქართული“ თვისებები აქვს მხედველობაში კრიტიკოსს.

ანტონ ფურცელაძის თქმით, „კაცია-ადამიანის“ ავტორს ზოგჯერ ღალატობს მხატვრული ზომიერების გრძნობა და ერთგვარად „ამლაშებს“ ცალკეული სცენების აღწერისას. მისი თქმით, ბუზების თვლა შეუძლებელია ართობდეს ზრდასრულ ადამიანს, რაც არ უნდა ინტელექტუალურად განუვითარებელი იყოს. კრიტიკოსის აზრით, ლუარსაბს ეს თავშესაქცევი სიყმაწვილეშივე ექნებოდა მოლეული. „ბუზების დათვლა შეუძლიათ მხოლოდ ბავშვებს, ექვსიდან ათი წლის ასაკამდე და არა ხანში შესულ ლუარსაბს, რომელსაც შეუძლია გამონახოს წლოვანებისა და ხასიათისათვის უფრო მეტად შესაფერი გასართობი თავისი უმოქმედობის ხანს, რის შესახებ უფ. ჯიმშერიძე არა ერთხელ უთითებს“ (ფურცელაძე 1864: 390). ასეთსავე გადაჭარბებას ხედავს ანტონ ფურცელაძე იმ სცენაში, როდესაც ლუარსაბი უმტკიცებს დარეჯანს, რომ თავადები ადამის დროსვე არსებობდნენ. კრიტიკოსის თქმით, შეუძლებელია თათქარიძეს არ სცოდნოდა ბიბლიური თქმულება ადამიანთა საერთო წინაპრიდან წარმოშობის შესახებ.

ანტონ ფურცელაძეს არ ესმის მიზანდასახულობა ილიას ირონიული ხასიათის სიტყვებისა: „სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება.“ -

ამბოზს, ჯიმშერიძე. - „ყინული და ცეცხლი ერთი-ერთმანეთს არ დალევენ?“ რატომ და რისთვის არ მოთავსდებიან ქართველი და სიძუნწე?“ (ფურცელაძე 1864: 391) – კითხულობს გაკვირვებული კრიტიკოსი.

ანტონ ფურცელაძის დასკვნით, როდესაც ილია ჭავჭავაძე ახერხებს თავი დააღწიოს სხვა ავტორთა გავლენას, მაშინ გარკვეულ წარმატებასაც აღწევს, მაგრამ მისთვის თითქმის მიუწვდომელია ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვის ოსტატობა: „გარდა ლუარსაბის სიზმრისა, არსად არ ჩანს, რომ იგი ადამიანის გრძნობათა გამოვლინებას სულის სიღრმიდან კრეფდეს. შეიძლება მოიძებნონ ადამიანები, რომელნიც იტყვიან, რომ „კაცია, ადამიანში“ გამოყვანილ გმირებში არაა და არც შეიძლება იყოს სულის ისეთი ძლიერი გამოვლინებანი, რომელნიც ავტორის ყურადღებას დაიმსახურებდნენ. ჩვენ არ გვინდა ბაირონისეზური გრძნობანი და მისეზური სულიერი ღელვანი. დეე გვიჩვენონ მცირე და პატარა ხაზები ისეთი პატარა ადამიანისა, როგორიც ლუარსაბის შინაგანი ცხოვრებაა: ჩვენთვის ესეც საინტერესოა... მაგრამ რამდენადაც შეგვიძლია განვსაჯოთ, „კაცია, ადამიანის“ ავტორის სხვა მრავალი თხზულებანი, მისთვის არაა ცნობილი ეს გრძნობები. ხოლო სადაც სურს შეეხოს მათ, მაშინ მას რაღაც ხელოვნურადა და ზერელედ გამოუდის“ (ფურცელაძე 1864: 390-391).

ეს განცხადება, რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლო და ტენდენციურია. ილია თავის თხზულებებში, მათ შორის „კაცია-ადამიანში“ შესანიშნავად ახერხებს სწვდეს პერსონაჟთა სულიერ სამყაროს, გვიჩვენოს მათი სულიერი მოძრაობა. თუ „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟთა შინაგანი სამყარო სტატიკური და ღარიბია, ეს თავად ამ პერსონაჟთა ბუნებიდან გამომდინარეობს და არა მწერლის უუნარობიდან – ასახოს ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმეები.

ერთი სიტყვით, ანტონ ფურცელაძის ეს წერილი, მიუხედავად იმისა, რომ ილიას მოთხრობის ცალკეულ ღირსებებს საგანგებოდ გამოყოფს, მაინც ტენდენციურადაა დაწერილი, რაც განპირობებულია კრიტიკოსის პიროვნული ბუნებით თუ ილიასთან ძველი ლიტერატურული ანგარიშებით.

როგორც აღინიშნა, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი მეცხრამეტე საუკუნის ქართული კრიტიკის მიმართების ისტორიაში საგანგებოდაა გამოსაყოფი **ალექსანდრე ცაგარელის** ნარკვევი „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“. ეს ნაშრომი მრავალ საკითხს ეხება, კრიტიკოსის ინტერესის მთავარი ობიექტი კი ილიას „კაცია-ადამიანი“.

ილიას თხზულებათაგან ამ მოთხრობას ალექსანდრე ცაგარელი ყველაზე მაღალ შეფასებას აძლევს. იგი წერს: „ჩემის ჰაზრით, ყველაზე დიდი და შესანიშნავი, რაც კი ილ. ჭავჭავაძეს დაუწერია, არის „კაცია ადამიანი“. ამ პატარა თხზულებით პოეტმა შიგ ქართვლის ცხოვრების გულში ჩაიხედა და გამოხატა ისე ცხადათ ის ფულურო, ფუყე და დამპალი გულ-მუცელი, რომელსაც თუ ცხოველი იმედის, სასოების და მხნეობის უკვდავი ცვარი არ ეპკურა, სხვა საკურნებელი წამალი აღარა აქვს რა და უკანასკნელ განწირულობაშია“ (ცაგარელი 1870: 95-96).

საყურადღებოა ალექსანდრე ცაგარელის დაკვირვება წარსულისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხზე. კრიტიკოსის მართებული შენიშვნით, ილიასათვის უცხოა წარსულის რომანტიკული იდეალიზაცია. მან, როგორც ხელოვანმა, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემატიკა გაიხადა მსჯელობის საგნად და იგი დააყენა საკუთარი შემოქმედებითი ინტერესის ცენტრში. „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“ – მიმართავდა „ქართვლის დედის“ ავტორი მკითხველებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ალექსანდრე ცაგარელის სწორი შენიშვნით, ეს არ ნიშნავდა საზოგადოდ წარსულთან კავშირის გაწყვეტას, მის უარყოფას მომავლის სახელით. პირიქით, ილიასათვის წარსული, აწმყო და მომავალი განუყოფელი, ერთიმეორით განსაზღვრული მთლიანობაა, რაზეც მიგვითითებს ლექსისათვის („ქართვლის დედას“) წამმღვარებული სიტყვები ლაიბნიცისა: „ყველა იმის თხზულება ამბობს: რაც იყო, იყო, წარსული დავივიწყოთ, ეხლა „ახალი პური გავტეხოთ“. არსად ცხადათ არ ამბობს, სრულიად სწყვეტს ყველა კავშირს წარსულთან, თუ ადრინდელ შნო-ლაზათზედ და კილოზედ უნდა იმღეროს, აწიდელისთვის საძირკველი წარსულში უნდა ეძებოს, როგორც რიგია. - ამასვე

ამბობს პოეტისგან მოყვანილი ლეიბნიცის სიტყვები: „წარსული მშობელი არის აწიდელისა“ (ცაგარელი 1870: 96).

ალექსანდრე ცაგარლის თქმით, ილიას „კაცია-ადამიანი“ დიდადაა დავალებული ნ. გოგოლის „მკვდარის სულებისაგან“. თუმცა, კრიტიკოსი ფიქრობს, რომ დიდი რუსი მწერლის შემოქმედების ზეგავლენა ილიას მოთხრობაზე არა სიღრმისეული, არამედ გარეგნული, ზედაპირული ხასიათისაა: „ცხადათ ეტყობა გოგოლის კილო და მიმართულება „კაცია-ადამიანს“, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მზგავსება არის მარტო გარეგანი და არა შინაგანი აზრის თანხმობა: მართალია, მას აქვს აღწერაში ისევ ის სიცხადე და მახვილ-გონიერება, როგორც გოგოლი ხმარობს თავის თხზულებებში, მეტადრე „მიცვალებულ სულებში“: ცოტა სიტყვით ბევრის თქმა, ხშირათ ძალიან მოსწრებით ხმარებულნი სიტყვის მასალები, ნამდვილ ქართული სიტყვა-პასუხი, მოხდენილი, მკვახე იუმორი, ანდაზების ძალიან უხვად მოყვანა... აგრეთვე, როგორც გოგოლი, ძალიან ბედნიერად და მახვილგონივრულად ირჩევს ნამდვილ ნაციონალურ ქართულ სურათებს მოქმედ პირებათ მოთხრობისთვის. მაგრამ ამითი თავდება საუბედუროთ, მზგავსება „მიცვალებულ სულებთან“ (ცაგარელი 1870: 96).

ალექსანდრე ცაგარელი ყურადღებას მიაპყრობს მოთხრობის კომპოზიციურ მხარეს. იგი მიუთითებს, რომ ნ. გოგოლის კილოსა და მეთოდის ილიაზე ზეგავლენის ზედაპირული ხასიათი იმით გამოვლინდა, რომ „კაცია-ადამიანს“ არ მოეპოვება კომპოზიციური შეკრულობა, გამაერთიანებელი აზრი, რაც მოთხრობის კონსტრუქციული საფუძველი გახდებოდა: „ისე ერთი ღრმა, ყველა ნაწილების შემაერთებელი, ჰაზრი, რომელიც ჰკრავს და ჰბეჭდავს ერთ მთელ ცხოველ კავშირიან მოთხრობათ ამ პოემას, არ არის გატარებული „კაცია ადამიანში“. ამიტომ ნამდვილი მოთხრობის დანიშნულებას ვერ ასრულებს: ეს არის პატარ-პატარა დიდის ხელოვნებით აღწერილი სცენები და ხუმრობით, სხვადასხვა შემთხვევები, შეკრებული ერთათ, რომლებსაც ხან სულ არა და ხან ძალიან ცოტა შინაგანი კავშირი აქვთ ერთმანეთთან“ (ცაგარელი 1870: 97).

ალექსანდრე ცაგარლის თქმით, მოთხრობის, ზოგადად ეპიკური გვარის თხზულების აუცილებელი კომპონენტია მოქმედების განვითარება. ამ თვალსაზრისით კი „კაცია-ადამიანი“ სიუჟეტური უფერულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ, კრიტიკოსის აზრით, არ იშლება საინტერესო სიუჟეტი და ცალკეული ამბებიც ერთმანეთთან ორგანულად კი არ არიან დაკავშირებულნი, ურთიერთის განმსაზღვრელად კი გვევლინებიან, არამედ ავტორი მექანიკურად აბამს მათ ერთმანეთზე: „ავტორი, როცა უნდა, შეაყვარებს და ქორწილს გააჩენს თავის მოთხრობაში, როცა უნდა დააორსულებს კნენას და ძეობის ფაფას მოაშაფათებს, როცა უნდა მაზლის ცოლს და მაჭანკალს დაიბარებს, ატიკტიკებს ორივეს თავ-თავის წეს-ადათხედ და გაისტუმრებს, როცა უნდა, სწორედ ტიკინებსავით. ერთი სიტყვით, არა მოქმედების ძალა არ სწევს მოქმედ პირებს და თვით საქმეს და ერთი მოქმედება მეორეს არ ითხოვს, როგორც სიცოცხლეში ყოველთვის მოხდება ხოლმე. მთელი მოთხრობა არის აღწერა (დიახ ხელოვნური, მართალი) სურათებისა, რომლებიც ვთქვათ, შემოწყობილნი არიან ოთახში და ერთმანეთთან არა ცხოველი კავშირი არა აქვთ“ (ცაგარელი 1870: 98).

ეს მოსაზრება, ცხადია, გაუგებრობაზეა აღმოცენებული. სრულიად გაუგებარია, რატომ მოითხოვს ალექსანდრე ცაგარელი ილიასაგან, რომ მას მაინცდამაინც გოგოლისეული კომპოზიციით აეგო მოთხრობა. „კაცია-ადამიანის“ მხატვრული ძალა სწორედ იქიდან ჩანს, რომ, სიუჟეტური უფერულობის მიუხედავად, ნაწარმოები სულმოუთქმელად იკითხება. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში არ ვხვდებით თვალისმომჭრელ სათავედასავლო ამბებს, მწერალი მაინც ახერხებს, რომ დაიპყროს მკითხველის გული. ილიას ამ მოთხრობის ნოვატორული ხასიათი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მწერალმა უარი თქვა ბრჭყვიალა, თვალისმომჭრელ ამბებზე და ჩვენი ყოველდღიური, პროზაული ყოფა აქცია აღწერის ობიექტად.

დიდწილად საკუთარ თავს ეწინააღდეგება ალექსანდრე ცაგარელი, როცა წერს, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მთავარი ნაკლია ეროვნული სულისკვეთების

უქონლობა: „უდიდესი ნაკლულოვნება ილ. ჭავჭავაძის პოეზიისა არის ნაციონალური, ნამდვილი ქართული ხალხის ფერისა და კილოს უქონლობა, ანუ ცოტას ქონა, როგორც ლექსებში, აგრეთვე პროზაში. მართალია, ნამდვილი, ჭეშმარიტი ნაციონალური კილო ყველა ჩვენ პოეტებს და საზოგადოთ ლიტერატურას აკლია, მაგრამ რაც ადრინდელებს ეპატიებათ, ის ჩვენი დროების პოეტს არ შეენდობა“ (ცაგარელი 1870: 99-100). აქაც შეიმჩნევა კრიტიკოსის მხრიდან ერთგვარი გაღიზიანებული ტონი. გაუგებარია, რა მოტივით აცხადებს ის, რომ ილიას შემოქმედებას ეროვნული კოლორიტი აკლია. თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთაგან, რომ ღრმად სწვდა ერის სულს, მის სასიცოცხლო მისწრაფებებს, უპირველესი მათ შორის ილიაა.

ალექსანდრე ცაგარელი სწორად ახასიათებს ილიას სატირის ბუნებას. იგი მიუთითებს, რომ „მართალია იცინის კაცი იმის კითხვაში, მაგრამ ვაი იმ სიცილს – ტუჩებზედ ღიმილსა ჰგვრის და თვალეზზედ ცრემლსა“ (ცაგარელი 1870: 216).

ალექსანდრე ცაგარელის ამ წერილის ღირებულება ილიასმცოდნეობისათვის იმაში მდგომარეობს, რომ ავტორმა აქ საგანგებოდ დააყენა დიდი რუსი პროზაიკოსის გოგოლის შემოქმედებით მეთოდთან ილიას მიმართების საკითხი. მართალია, კრიტიკოსმა ვერ მოახერხა ამ პრობლემის სიღრმისეული დამუშავება, მაგრამ წინაპირობა შექმნა იმისათვის, რომ საგანგებოდ დაწყებულიყო მსჯელობა გოგოლისებურზე ქართულ ლიტერატურაში და კერძოდ – ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში (იხ. კიკნაძე 1957: 185-201). მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა გრიგოლ კინაძემ თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „მეტყველების სტილის საკითხები“ აღნიშნულ პრობლემას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა და სიღრმისეულად გვიჩვენა, თუ რა როლი შეასრულა სინადვილისადმი გოგოლისებურმა მიდგომამ ილია ჭავჭავაძის პროზაში.

ილია ჭავჭავაძისა და გოგოლის შემოქმედებითი ურთიერთმიმართების საკითხს გაკვრით ეხება **რაჟდენ ჩხიკვაძე** (ალისუბნელი, „ჩვენს ლიტერატურაზე“, „თეატრი“ 1885, # 15). იგი აღნიშნავს, რომ ქართველი მწერლების დიდ ნაწილს

რუსეთში მოუხდა განათლების მიღება, ამდენად რუსული ლიტერატურის გავლენა მათ შემოქმედებაზე სავსებით კანონზომიერი ფაქტია. „ზოგიერთი ჩვენი თხზულებები ცხადად მოგვაგონებენ რუსების პოეტების ნაწერებს. მაგალითად, ჩვენი ძვირფასი „კაცია ადამიანი“ გამოჩენილი გოგოლის „სტაროსვეტსკი პომეშჩიკებს“ (ალისუბნელი 1885: 285). მაგრამ, კრიტიკოსის თქმით, ეს მოგონება მხოლოდ მოგონებად რჩება. სინამდვილეში აქ შეუძლებელია ვისაუბროთ ზედაპირულ ლიტერატურულ გავლენაზე. „კაცია-ადამიანი“, კრიტიკოსის თქმით, ღრმად ეროვნული, ორიგინალური ნაწარმოებია, რომელიც ჩვენი ყოფიდანაა ამოზრდილი. იგივე ითქმის გოგოლის მოთხრობაზე, რომელიც წმინდა რუსული მოვლენაა თავისი შინაარსით. კრიტიკოსის თქმით, მოთხრობები მხოლოდ ფორმით (უკეთ რომ ვთქვათ, მხატვრული მეთოდით) ჰგვანან ერთმანეთს: „კაცია ადამიანს“ ნიადაგი ქართული აქვს, შიგ ჭეშმარიტი ქართველები მოქმედებდნენ, იქ სურათებიც ქართულია, ცრუმორწმუნეობაც ქართულია, სმაც, ჭამაც, – ერთი სიტყვით სულ ყველაფერი. გოგოლის თხზულებას კი სულ თავიდან ბოლომდე „რუსული სუნი უდის“ მხოლოდ გარეგნობით, ფორმით გვანან იგინი ერთმანეთს“ (ალისუბნელი 1885: 285). თუ სხვები ილიას ნაწარმოებს გოგოლის ზედაპირულ მიბაძვად აცხადებენ, ალისუბნელის აზრით, პირიქით, ილიამ, შეიძლება ითქვას თავის მოთხრობაში მხატვრული ოსტატობით გადააჭარბა გოგოლს: „ჩანს, რომ გოგოლმა თავის „სტაროსვეტსკი პომეშჩიკებში“ დიდი ნიჭი გამოიჩინა სინამდვილის ცხადად გამოხატვით, მაგრამ ბ. ჭავჭავაძემ გადააჭარბა მას. შევირდმა ოსტატს აჯობა“ (ალისუბნელი 1885: 285).

აქ ორიოდ სიტყვით უნდა ვახსენოთ აგრეთვე **გრიგოლ ორბელიანის** მიერ „კაცია-ადამიანის“ შეფასებაც. გიორგი წერეთლის მოთხრობაზე დაწერილ ბრწყინვალე რეცენზიაში, გრიგოლ ორბელიანმა მაღალი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძის მოთხრობას და ახალგაზრდა ავტორებს იგი მისაბამ ლიტერატურულ ნიმუშად დაუსახა: „რისგან მოხდა, რომ „საქართველოს ისტორია და „კაცია ადამიანი“ რამდენჯერმე წაიკითხე დიდი სიამოვნებით, და კიკოლიკოს მგზავრობა

მეჩუჟნა ესრეთ საზიზღრად? მაშ ამათ შორის, მართლად, რომელი არის ქართული?“ (ორბელიანი 1874: 248).

„კაცია-ადამიანზე“ საუბრობს ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. თავდაპირველად იგი ზოგად ჭრილში ეხება ილია ჭავჭავაძის პროზის ორიგინალობის საკითხს. კიტა აბაშიძე საუბრობს ლიტერატურული გავლენის პრობლემაზე. კრიტიკოსი მიუთითებს, რომ ჩვენს სინამდვილეში სათაკილოდ მიიჩნევა გავლენის ფაქტი, მაშინ როდესაც ევროპული ლიტერატურის ისტორიკოსები, პირიქით, თამამად საუბრობენ აღნიშნულ გარემოებაზე. კიტა აბაშიძის თქმით, „არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც ერთი ხალხი არ სესხულობს აზრს ბრმად მეორისგან, თუთიყუშით არ იმეორებს, არამედ თავისებურობის ბეჭედს ასვამს“ (აბაშიძე 1898: 23). კრიტიკოსის განცხადებით, თითქმის შეუძლებელია ამა თუ იმ იდეის, აზრის გენეტიკური პირველსათავის მიგნება, ამიტომაც ძალზე ფრთხილად უნდა ვისაუბროთ გავლენის პრობლემის შესახებ. მიბადვა, არც გენიოსთათვისაა უცხო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „ამ მიმბადველობას გენიოსი თავისებური ელფერით შემოსავს და ეს სამოსელი თითქმის შეუძლებლად ხდის მასში მიბადვის კვალის აღმოჩენას“ (აბაშიძე 1898: 23).

ამ საკითხზე კრიტიკოსი საგანგებოდ იმიტომ ჩერდება, რომ „მიღებულია თქმად, ვითომ ჩვენი ლიტერატურა მესამოცე წლებისა რუსეთის იმავე დროის ლიტერატურის მიბადვა იყოს. როგორც მეთაურს, ი. ჭავჭავაძეს უფრო მეტი დასწამეს ეს მიმბადველობა“ (აბაშიძე 1898: 23).

კიტა აბაშიძეს უპირატესად მხედველობაში უნდა ჰქონდეს ალ. ცაგარლის აზრი, რომლის მიხედვითაც ილიაზე დიდი გავლენა მოახდინა გოგოლმა და აგრეთვე ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისი, რომ „გლახის ნაამბობი“ დავალებულია 50-იანი წლების რუსული მწერლობისაგან.

კიტა აბაშიძე აღნიშნავს, რომ ამ მხრივ საქმე არცთუ მარტივადაა. რუსული რეალიზმი აღმოცენდა ფრანგული ლიტერატურის ზეგავლენით, ის ჰუმანური აზრები კი, რომელთაც ილია ქადაგებს, დიდწილად ფრანგული (ზოგადად,

ევროპული) ლიტერატურიდან მომდინარეობს და იქიდან დამკვიდრდა რუსულ მწერლობაშიც. ამიტომ, კიტა აბაშიძის სამართლიანი თვალსაზრისით, მეტი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ილიას პროზაზე რუსული ლიტერატურის გავლენაზე ვსაუბრობთ.

„კაცია ადამიანში“, კრიტიკოსის თვალსაზრისით, ნათლად გამოვლინდა ილია ჭავჭავაძის, როგორც რეალისტი პროზაიკოსის მხატვრული ტალანტი. მოთხრობის პერსონაჟები კრიტიკოსის თქმით, იმ დროის შვილები არიან, როდესაც ადამიანთა ერთ ჯგუფს შეეძლო ტახტზე განცხრომით წოლილიყო და სხვისი ნაოფლარით ეკვება. ლუარსაბი და დარეჯანი, კიტა აბაშიძის აზრით, შეიძლება არ არიან ზოგადსაკაცობრიო სახეები, თუმცა ისინი ქართული სინამდვილიდან აღებულ ცოცხალ პერსონაჟებს წარმოადგენენ. კიტა აბაშიძე უპირისპირდება წინამორბედ კრიტიკოსებს „კაცია-ადამიანის“ შეფასების საკითხში: „სასაცილოა... რომ სწორედ ამ მოთხრობის გამო ილია ჭავჭავაძეს ორიგინალობის ნაკლულევანება შესწამეს ზოგიერთმა კრიტიკოსებმა და მარტო მიმბაძველობის უნარი მიანიჭეს... ილია ჭავჭავაძემ დიდი თავისებურობა გამოიჩინა ამ მოთხრობაში“ (აბაშიძე 1898: 35).

კრიტიკოსი აცხადებს, რომ „კაცია-ადამიანი“ გოგოლის გავლენით დაწერილ ნაწარმოებად მიაჩნია, თუმცა, ეს მხოლოდ ზედაპირული დაკვირვების შედეგად აღმოცენებულ შეხედულებად ესახება მას.

კიტა აბაშიძის დასკვნით, ილია ჭავჭავაძემ მოახერხა ჩვენი სინამდვილიდან აეღო ისეთი პერსონაჟები, რომელნიც გაუხუნარნი არიან თავიანთი ტიპურობით, იქნება ეს შელოცვებში განსწავლული დარეჯანი, ლუარსაბის ძმა დავითი, რომელიც ათ თუმნად მზადაა ძმის გასაყიდად, სუტკნენა, მისი მაჭანკლობა და ოინები, ცბიერი მკითხავი და ა.შ: „განა შეიძლება გულით არ გაიცინოს კაცმა ას წელიწადს შემდეგაც, როცა გადაიკითხავს იმ წერილს, რომელსაც სიმამრი სწერს ლუარსაბს და რომელიც ისე სამაგალითოდ აქვს შედგენილი თ. ილ. ჭავჭავაძეს, ანდა ის სიზმარი, შურისა და წვრილმანი ბოროტების შედეგი, რომლითაც შემინებული ლუარსაბი

რამდენსამე ხანს გამოტოლი გდია აგურებზე და მის საყვარელ დარეჯანს შიშის ელდას დასცემს, არ გამიგიჟდეს ჩემი ლუარსაბიო“ (აბაშიძე 1898: 36).

კიტა აბაშიძის დამსახურებაა ისა, რომ მან სავსებით დამაჯერებელი, სადღეისოდაც მისაღები თვალსაზრისი წარმოადგინა გავლენის ლიტერატურული ფენომენის შესახებ და არგუმენტირებულად დაიცვა ილია ჭავჭავაძის პროზის ორიგინალობა. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში „კაცია ადამიანის“ საფუძველზე წამოიჭრა გოგოლის შემოქმედებასთან ილიას მიმართების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მაგ., ალექსანდრე ცაგარლის მოსაზრებებში (გოგოლის გავლენასთან დაკავშირებით) ბევრია სადავო, ფაქტია, რომ სწორედ მან მისცა ბიძგი შემდგომი დროის ლიტერატურათმცოდნეობას, რომ ნაყოფიერი მსჯელობა გაშლილიყო გოგოლისებურზე ქართულ ლიტერატურაში.

§ 3. 4. „სარჩობელაზედ“

„სარჩობელაზედ“ ილია ჭავჭავაძის პროზის ერთ-ერთი შედეგია, რომელშიც უმწვავესადაა დასმული ზოგადსაკაცობრიო საკითხი საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრის ურთიერთობისა, დანაშაულისა და სასჯელისა. ილია ჭავჭავაძემ დამაჯერებლად გვიჩვენა საზოგადოებრივი გულგრილობის შედეგები, თუ როგორ აყალიბებს საზოგადოება პიროვნებას დამნაშავედ, შემდეგ კი აუღელვებლად სჯის მას სიკვდილით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მოთხრობისადმი სალიტერატურო კრიტიკას თავის დროზე სათანადო ყურადღება არ გამოუჩენია. მას მხოლოდ თუ ასახელებენ ილიას ნაწარმოებთა გვერდით. კიტა აბაშიძე ამ თხზულებას „წვრილმან მოთხრობად“ მოიხსენიებს.

შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ავტორი, რომელიც სპეციალურად ეხება ხსენებულ მოთხრობას, არის ალ. სარაჯიშვილი. იგი თავის მიმოხილვაში („მწერლობა“, გაზ. „დროება“ 1879 # 67) გამოეხმაურა ილიას ახლადგამოქვეყნებულ შედეგს. კრიტიკოსი მოკლედ გადმოგვცემს ნაწარმოების ფაბულას და შემდეგ

ზოგად შეფასებაც ურთავს: „ეს შინაარსი... ისე საინტერესო არ არის, რომ შეეძლოს თავის თავით მწერალი მოიზიდოს და კალამი ააღებინოს. ჩვენ გვგონია, რომ ეს მოთხრობა მხოლოდ სალიტერატურო ფორმაა, რომელშიაც მწერალს უნდოდა ფსიხოლოგიური სურათი ჩაესვა. ავტორს განზრახვა ჰქონდა ჩაეხედა ავაზაკის გულში, გამოეკვლია ამ ბნელი სულის მტრობა ადამიანის ტომისა, გამოეაშკარავებინა კაცის სიავის მიზეზი და დაემტკიცა რომ ეს სიავე გარემოების შედეგია. ეს განზრახვა დიახ კეთილია, მაგრამ ლიტერატურის წესებს დავიწყებაც არ ვარგა. პირველი და უეჭველი წესი ყოველ მოთხრობისა, ზღაპრის გარდა, იმაში მდგომარეობს, რომ სამართლიანი, დასაჯერებელი იყოს. ეს არ ითქმის ამ პატარა მოთხრობაზე“ (სარაჯიშვილი 1879 ბ: 249).

როგორც ვხედავთ, ილიას პროზაული შედეგის პირველი რეცენზენტი ახერხებს, რომ ზუსტად სწვდეს ნაწარმოების მთავარ სათქმელს – ხშირად გარემო აყალიბებს ადამიანს დამნაშავედ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იწუნებს სათქმელის მხატვრულ გაფორმებას და მწერალს არადამაჯერებლობას საყვედურობს. მას არარეალურად ეჩვენება გულუბრყვილობა მეურმე პეტრესი, რომელსაც ჰგონია, რომ სინამდვილეში სიკვდილით კი არ სჯიან ადამიანს, არამედ ქალაქელები სანახაობას აწყობენ. მეურიმის ასეთი დამოკიდებულება მომხდარისადმი, კრიტიკოსის დასკვნით, არარეალისტურია: „მეურმე პეტრე ხნიერი კაცია, გამოცდილი, რასაკვირველია ქალაქის ხალხს საკმაოდ იცნობს, თუმცა კაცის ჩამოხრჩობა პეტრეს ჯერ არ უნახავს, მაგრამ ხამი მთიული ხომ არ არის, რომ არ შეეძლოს ნამდვილის და მანქანებს გარჩევა, როგორ დავიჯეროთ, რომ ამ მოხუცებულ კაცს თვალები ასე აეხვიოს, რომ კაცის ჩამოხრჩობა ჯამბაზობით ეჩვენოს?“ (სარაჯიშვილი 1879 ბ: 249).

კრიტიკოსის თქმით, ავტორს უღალატა მხატვრული ზომიერების გრძნობამ და პეტრეს დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის სცენისადმი უფრო მკითხველის გულისწყრომას იწვევს და „კაცს ზიზღისაგან აჟრჟოლებს“. ასეთივე არადამაჯერებლად ეჩვენება კრიტიკოსს ჩამოხრჩობილის ძმისაგან პეტრესათვის

ვრცელი წერილის გაგზავნა. მას უკვირს, როდის უნდა მოესწრო კაცს ამხელა ეპისტოლეს დაწერა.

სულ ამით შემოიფარგლება მეცხრამეტე საუკუნის კრიტიკის ინტერესი ილიას ამ მოთხრობისადმი. კრიტიკოსთა გულგრილობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ იმდროინდელი საზოგადოების წინაშე უფრო სხვა, ყოფითი პრობლემები იდგა მტკივნეულად და კრიტიკოსებიც იმ თხზულებებისადმი იჩენდნენ საგანგებო ყურადღებას, რომლებიც ამგვარ მოთხოვნილებებს პასუხობდა. ზოგადსაკაცობრიო სათქმელი ამ ნაწარმოებისა ამიტომაც დარჩა ილიას თანამედროვე კრიტიკის ყურადღების მიღმა.

§ 3.5. „ოთარაანთ ქვრივი“

„ოთარაანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავაძის პროზის მწვერვალია. ამ ნაწარმოებში მთელი სისავსით გამოვლინდა ილიას შემოქმედებითი ოსტატობა, მხატვრული ხასიათების ძერწვის თავისებური მანერა, თხრობის თვითმყოფადი, ორიგინალური სტილი. საინტერესოა, თუ როგორ შეხვდა „ოთარაანთ ქვრივს“ ილიას თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკა, როგორი შეფასება ხვდა წილად ნაწარმოებს, რამდენად სწვდნენ თავის დროზე ქართველი კრიტიკოსები მოთხრობის პრობლემატიკასა და იდეურ ჩანაფიქრს, რა არის მათ ნააზრევში სადღეისოდაც საგულისხმო და რა – ნაკლებად გასაზიარებელი თუ მიუღებელი.

მოგონებათა მიხედვით ცნობილია, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ ილიას ერთი ამოსუნთქვით, ერთთვიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად დაუწერია (მანსვეტაშვილი 1987: 429). როგორც იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს, საზოგადოებაში იმთავითვე გავრცელებულა ხმა, რომ ილია ახალ მოთხრობაზე მუშაობდა და ყველა დიდი ინტერესით ელოდა ნაწარმოებს. დაბეჭდვამდე „ოთარაანთ ქვრივი“ ილიას ქართველი ინტელიგენციის ვიწრო წრეში, დავით სარაჯიშვილის სახლში წაუკითხავს (ამ სადამოს, ი. მანსვეტაშვილის, ცნობით ესწრებოდნენ: რაფიელ

ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, პეტრე უმიკაშვილი, ივანე მაჩაბელი, გრიგოლ ვოლსკი და სხვ.).

კითხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავდაპირველად **გრიგოლ ვოლსკის** გამოუთქვამს აზრი. მას უმაღლესი შეფასება მიუცია მოთხრობისთვის, აღუნიშნავს ილიას ენობრივი ოსტატობა („ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადაამეტა“), თუმცა პერსონაჟთაგან არ მოსწონებია გიორგი, „იგი ლანდია და არა ცოცხალი, ხორცსხმული ადამიანი“, – უთქვამს გრ. ვოლსკის (მანსვეტაშვილი 1987: 429).

საინტერესოა თვალსაჩინო ქართველი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის **ნიკო ნიკოლაძის** შეხედულებაც, რომელიც მას ამავე დღეს გამოუთქვამს. იგი მოთხრობის ერთ პერსონაჟს, კესოს გამოსარჩლებია და აღუნიშნავს, რომ თავადის ქალი არ უნდა დავადანაშაულოთ გიორგის გრძნობის შეუტყობლობისათვის, რადგან ამ შემთხვევაში, ნიკოლაძის აზრით, სოციალური, წოდებრივი ფაქტორი კი არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს, არამედ – კულტურული დაშორება გიორგისა და კესოს შორის. „აბა, გიორგი უბრალო მოჯამაგირედ, ისიც უსწავლელ უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს? წარმოიდგინეთ, რომ გიორგის სწავლა მიეღო ყოფილიყო, ვთქვათ, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, – როგორ გგონიათ კესო გულცივად შეჰხვდებოდა გიორგის?.. კესო არც კი იკითხავდა გიორგი გლეხია, თუ თავადიშვილიო“ – აღუნიშნავს ნიკო ნიკოლაძეს (მანსვეტაშვილი 1987: 430).

იაკობ მანსვეტაშვილის თქმით, ზოგიერთმა გიორგის სიკვდილი დაუწუნა ილიას, როგორც არაბუნებრივი, არალოგიკური მოვლენა, ზოგმა სხვა უმნიშვნელო წვრილმანზე გაამახვილა ყურადღება, მაგრამ „საზოგადოდ კი შთაბეჭდილება მოთხრობისა დიადი იყო, მომხიბლავი“ (მანსვეტაშვილი 1987: 430).

კრიტიკოსთაგან სპეციალური ნაშრომით თავდაპირველად **შიო დავითაშვილი** გამოეხმაურა მოთხრობას („ჩატეხილი ხიდი“ „ოთარაანთ ქვრივის“ ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ მკითხველის შენიშვნები“). ეს წერილი ბროშურის

სახით გამოქვეყნდა 1887 წელს. კრიტიკოსმა სცადა დაწვრილებით დაეხასიათებინა მოთხრობის პერსონაჟები და შეეფასებინა ნაწარმოების იდეური მიზანდასახულობა.

თავდაპირველად კრიტიკოსი გაკვირვებას გამოთქვამს მოთხრობის სათაურის გამო, რადგან ოთარაანთ ქვრივი სქემატურ სახედ მიაჩნია, რომლის ერთადერთი დამსახურებაც გიორგის დედობა იყო და სხვა არაფერი. თუმცა, შ. დავითაშვილის თქმით, ნაწარმოებში ისიც არ ჩანს, თუ რა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა დედამ გიორგიზე: „მოთხრობაში ერთი მაგალითიც არ არის, რომ დედას შვილზე ავი ან კარგი გავლენა ჰქონოდა და მისი სურვილი შეეცვალოს მაშინაც კი, როცა გიორგი თავისი ხასიათით ბევრს ხიფათს ემთხვევოდა და როცა ახალგაზრდობით, ცხოვრების უცოდინარობით, განსაცდელში შედიოდა“ (დავითაშვილი 1887: 4). კრიტიკოსი ფიქრობს, რომ ოთარაანთ ქვრივი არ არის ტიპური სახე ქართველი ქალისა, რომელნიც, სინამდვილეში, მისი თქმით, ძალზე გულჩვილნი არიან და რომელთათვისაც სრულიად უცხოა ქვრივისათვის დამახასიათებელი სიკერპე: „საზოგადოდ ქალებს, ქართველთ მეტადრე, ცრემლი გულით დააქვსთ, ბრალიან უბრალოზედ... ღაპაღუპით გადმოსდით მდულარება, ოთარაანთ ქვრივი სულ სხვა ყოფილა... ოთარაანთ ქვრივი კი იქნება ცრემლი უჩვენოს ვისმე. გიორგი ოცდაერთის წლისა იყო და „დედის თვალზედ ცრემლი არ ენახა... არა ჰგვანებია ტარიელ-ავთანდილს, თვალთაგან ზღვა სდიოდათ. ოთარაანთ ქვრის კი შვილი უკვდება და მაინც თავისი სიამაყე ახსოვს, ერთი ცრემლიც არ გადმოაგდო“ (დავითაშვილი 1887: 11).

სამწუხაროდ კრიტიკოსი ვერ აცნობიერებს, რომ ეს „უცრემლობა“ ოთარაანთ ქვრივის ნაკლი კი არაა, არამედ ღირსება, მისი შინაგანი თავშეკავებულობის გამოხატულება და აქ სრულიად უადგილოა პარალელი „ვეფხისტყაოსანთან“, რომელიც სულ სხვა ეპოქაში, სხვა პოეტიკითაა შექმნილი. ოთარაანთ ქვრივის ქცევა გიორგის გარდაცვალებისას საუკეთესო გამოვლენაა დედის შინაგანი ღირსებისა, თავმოყვარეობისა და გაუტეხელობისა. ის ფაქტი, რომ იგი არ იგლოვს ხალხის წინ საკუთარ შვილს, მის გულქვაობაზე როდი მიუთითებს. სინამდვილეში ეს დიდი

უბედურება შინაგანად არღვევს გმირის სულიერ მთლიანობას, განუკურნებელი ვარამით ასწეულებს მას. ოთარაანთ ქვრივი შვილის საფლავთან ჩახუტებული ასრულებს სიცოცხლეს. განა ამის შემდეგ შესაძლებელია ვისაუბროთ მის სიამაყესა და უგრძნობელობაზე?

არადამაჯერებლად მიაჩნია შ. დავითაშვილის გიორგის გულში კესოსადმი სიყვარულის აღძვრაც, რადგან მისი აზრით, არ არსებობდა ამ გრძნობის აღმოცენების რეალური პირობები. იგი მიუთითებს, რომ ავტორი ვერ გვიჩვენებს, თუ როგორ ჩაუვარდა გულში გიორგის თავადის ქალი, როგორ გაიფურჩქნა და გაუძლიერდა მის მიმართ ტრფობა: „რაიმე განსაკუთრებული გარემოება უნდა ხელს უწყობდეს, რომ დიდთა და პატარათა შორის, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სიყვარული აღიძრას. მაგალითებ: როდესაც დიდი თავს უსწორებს, უყადრებს პატარას. როდესაც დიდი და პატარა ხშირად ჰხედავენ ერთმანეთს, ლაპარაკობენ, სჯიან, ერთს საქმეს ემსახურებიან, რომელიც მათ აკავშირებს: ერთმანეთის კარგად გაცნობის შემდეგ, გულიც გაუსწორდებათ და გრძნობაც გაუერთიანდებათ“ (დავითაშვილი 1887: 15). ილიას მოთხრობაში კი, კრიტიკოსის აზრით, ვერაფერს ასეთს ვერ ვხედავთ.

კრიტიკოსის კეთილგანწყობას ვერ იმსახურებენ ვერც მოთხრობის სხვა პერსონაჟები. არჩილი და კესო, მისი აზრით, არიან „სიტყვით სწორე, საქმით კუზა“. გიორგის დაუფასებლობა და-ძმის მხრიდან, შ. დავითაშვილის შეხედულებით, გამოწვეულია არა წოდებრივი, არამედ მატერიალური პირობებიდან გამომდინარე: „თქვე დალოცვილებო, თუ მაგისტანა ღვთაებრივ ღირსებას არ იკადრებთ და გვერდს აუქცევთ, რაღად იწუხებთ თავს და ჩვენც გვაბრაზებთ ლაქლაქით და რაღაც ჩატეხილი ხიდებით? ახლა ერთს კითხვას ჩვენც გკადრებთ: მდიდარი ვაჭრის ქალი, ქალწული ანუ ქვრივი, რომ იყოს, კარგ მზითვიანი, მას ხომ შეირთავდით... გიცნობთ!...“ (დავითაშვილი 1887: 30) – ირონიით მიმართავს არჩილსა და კესოს კრიტიკოსი.

შ. დავითაშვილი ვერ ახერხებს, სწვდეს ნაწარმოებში სოსია მეწისქვილის მხატვრული სახის ფუნქციას. მისი აზრით, ამ პერსონაჟის ერთადერთი

დანიშნულება ისაა, რომ ჭირისუფლობა გაუწიოს მოთხრობის მთავარ პერსონაჟს: „სიკვდილის ჟამმა მოაღწია და ნუთუ ერთი ნამდვილი მოსიყვარულე მეგობარი, გულის შემატკივარი, დამტირებელი არ უნდა ჰყოლოდა? ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა მთელი კაცობრიობისგან შესანიშნავ დიდსულოვან გმირ-ადამიანის წინაშე, და ავტორმა, არანაკლებ დიდსულოვნურად, აგვხადა ყველას ბრალი, შეჰქმნა ახალი გმირი. ამრიგად, ორი კაცის სიმჰატია მაინც წაღო ოთარაანთ ქვრივმა საიქიოს: მეწისქვილესი და ... ავტორისა“ (დავითაშვილი 1887: 32).

დღეს უკვე არავისათვის წარმოადგენს სადავო გარემოებას ის, რომ ოთარაანთ ქვრივის დახატვით ილია ჭავჭავაძემ მოახერხა უკვდავი, ქართული ყოფიდან ამოზრდილი ხასიათის შექმნა, რომელიც შემდეგ არაერთი მწერლის შთაგონების წყაროდ და არაერთი პერსონაჟის არქეტიპადაც იქცა. ამის გათვალისწინებით ძალზე გასაკვირია კრიტიკოსის მსჯელობა, რომ „მთელ მოთხრობაში არ არის არც ერთი დასულებული სახე: ერთისა ენა გვაჩვენეს, მეორისა მკლავი, მესამისა ფეხი და მეოთხისა ჩრდილი. ამასთან მთელი მოთხრობა ჩვენს ნიადაგზედ არ არის აშენებული. ერთი ჩვენი ნაცნობი სახეც ვერ დავინახეთ... ვის გინახავთ ჩვენში მაგისტანა დედაკაცი?“ (დავითაშვილი 1887: 38).

კრიტიკოსი წუნს სდებს ილიას მოთხრობას მხატვრული დამაჯერებლობის თვალსაზრისითაც, რადგან მიაჩნია, რომ მასში იდეალიზებულია არსებული სინამდვილე. ამის ერთ მაგალითად შ. დავითაშვილს მიაჩნია თუნდაც ოთარაანთ ქვრივის სოციალური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება ფულისადმი: „თქვენ ვერ დამისახელებთ ისეთ გლეხს, რომ ფული ხელის ჭუჭყად მიაჩნდეს და მე კი გიჩვენებთ, რავდენსაც მიბრძანებთ, ერთი თუმანი თვალითაც არ ენახოს. ათი დღის მიწის მოხვნა ხუთკაციან ოჯახსაც კი გაუჭირდება, ოთარაანთ ქვრივისთვის კი ეს სულ ნაკლები იყო. თვითონ ავტორი ამბობს „დარბაზის მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგეკვირვებინათ, იტყოდით – ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო“. ჩვენში შეძლებული ოჯახი იშვიათია, და თუ საზოგადო ოჯახს გვიხატავდა ბ. ჭავჭავაძე, ზოგადი მაგალითიც უნდა აეღო“ (დავითაშვილი 1887: 29).

კრიტიკოსი ვერ აცნობიერებს, რომ ოთარაანთ ქვრივის და მისი ოჯახის სახით ილია ჭავჭავაძე ტიპურ გლეხის სახლობას კი არ აღგვიწერს, არამედ – სასურველ იდეალს, რომელიც ღირსეული შრომით არსებობს. ოთარაანთ ქვრივმა, ერთი მხრივ, კარგად იცის შრომისა და ფულის ფასი (იგი არავის შეარჩენს საკუთარ ნამუშავეს), მაგრამ მეორე მხრივ, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, შინაგანი უანგარობაც ახასიათებს და გაცნობიერებული აქვს, რომ ფული „ხელის ჭუჭყია“ და მასში არავითარი მარადიული ფასეულობა არ ძვეს.

დამაჯერებლად არ მიაჩნია კრიტიკოსს არც გიორგის სახე: „გიორგისთანა გლეხი სადღა გინახავთ? კამბეჩსავით მუშაობა და პირუტყვად გარდაქცევა ხომ არ არის კაცობა! სულ თავდაღუნილი, წარბშეკრული, პირდაღვრემილი მუშაობა ქართველ კაცისა ვის გაუგონია?“ (დავითაშვილი 1887: 31). ამის თაობაზე უნდა ითქვას, რომ გიორგის სახით მწერალი მის თანამედროვე ტიპურ გლეხს კი არ გვიხატავს, არამედ გვთავაზობს ქართველი, მშრომელი კაცის ეტალონს. ამ გარემოებას, მოთხრობის ზნეობრივ-აღმზრდელობით მიზანდასახულობას კრიტიკოსი ნათლად აცნობიერებს, თუმცა ამაში ვერაფერს სასიკეთოს ვერ ხედავს და ილია ჭავჭავაძეს ჭარბ იდეალიზმში ადანაშაულებს. სრულიად უადგილოა მისი ირონია: „ამრიგად, არც ერთს „ოთარაანთ ქვრივში“ გამოხატულ სურათს, არამც თუ ნამდვილი – ორიგინალი, მზგავსებაც ვერ უპოვნია ჩვენს ცხოვრებაში და ეს გვაფიქრებინებს, რომ ავტორს აწინდელ ქართველთა სახე კი არ გადაუღია, არამედ იდეალური სურათები თუ დაუხატავს და გარდმოუცია ჩვენთვის სახელმძღვანელოდ: აი, ასეთი უნდა იყოთ, რომ სასუფეველი დაიმკვიდროთ“ (დავითაშვილი 1887: 33).

კრიტიკოსს ერთგვარად აღიზიანებს „ჩატეხილი ხიდის“ ილიასეული მეტაფორა. ეს პრობლემა, მისი თქმით, გამოგონილი პრობლემაა და მას თავად საზოგადოება ვერ ამჩნევს: „რა ვიცი, არა ერთი სოფელი მომივილია, არა ერთს თავადს, აზნაურს ვიცნობ, არა ერთ გლეხთან მილაპარაკი და ჩატეხილ ხიდზედ ხსენებაც არსად არის. მართალია, ყველა თავისთვის სცხოვრობს და სხვისი დარდი

არა აქვს, მაგრამ არჩილსა და კესოსაც არა ჰქონდათ გიორგისა და მეწისქვილე სოსიას დარდი. ეს მაინც არ უშლის არც ერთ მახრეს მიჰმართოს მეორეს, დაუკითხავად ესტუმრონ სახლში ერთმანეთს... როცა რაიმე მოუხდებოდა“ (დავითაშვილი 1887: 34).

ცხადია, ის ფაქტი, რომ მასის დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს ამ პრობლემას, როდესაც მიუთითებს იმაზე, რომ იგი საერთოდ არ არსებობს სინამდვილეში. ილია ეროვნული პოზიციიდან აღიქვამს საკითხს, ეროვნული თვალთახედვით აფასებს სოციალურ ფენათა ურთიერთობას. ამ სიბრტყეზე კი, ცხადია, პრობლემა უმწვავესად არსებობდა რეალურად. უბრალოდ, მასაც, ისევე როგორც ზოგიერთ კრიტიკოსს, არ აღმოაჩნდა თვალთახედვის ის სიფართოვე, რომ ამ სიმაღლიდან შეეხედა საკითხისათვის.

კრიტიკოსი ფიქრობს, რომ სადღეისოდ ხალხს სულ სხვა პრობლემები უდგას, უფრო მნიშვნელოვანი და ყოფითი, ვიდრე „ჩატეხილი ხიდია“ და ფიქრობს, რომ ორივე სოციალურ ფენას „თუ საერთო მტერი დაინახეს... დაავიწყდებათ საჭმელიც და სასმელიც, გუშინდელი მტრობაც, დღევანდელი წყენაც და ერთმანეთისთვის თავს დასდებენ“ (დავითაშვილი 1887: 37).

ასეთია, შ. დავითაშვილის ძირითადი თვალსაზრისი „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ.

1888 წელს გამოქვეყნდა **დავით კეზელის** („დავით სოსლანის“ ფსევდონიმით) წიგნაკი „კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“ (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა)“, რომელშიც ასევე წარმოდგენილია მცდელობა მოთხრობის პრობლემატიკის კომპლექსური ანალიზისა.

წიგნაკის ავტორი ზოგადად მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით მოღვაწეობას: „ბედნიერია ის ერი, რომელსაც ილია ჭავჭავაძისთანა ზეგარდმო ნიჭით მიმადლებული მწერალ ჰყავს და არანაკლებ ბედნიერია ის მწერალიც, ვისთვისაც ბუნებით ნიჭს, გარეგან მდგომარეობას სრულის თანხმობით ხელი შეუწყვიათ და გზა წარუმართავთ“ (კეზელი 1888: 3).

დ. კეზელის პირველი საგანგებო შენიშვნაც, შ. დავითაშვილის მსგავსად, მოთხრობის სათაურს უკავშირდება: „როდესაც მთლად მოთხრობას გარდაიკითხავ... პირველი კითხვა, რომელიც თავში გებადება შემდეგია: რისთვის ჰქვია ამ მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“? რატომ გიორგი არ ჰქვია, კესო ან არჩილი? ოთარაანთ ქვრივი, თუ გნებავთ, შემთხვევითი და დაუპატიჟებელი სტუმარია მოთხრობაში“ (კეზელი 1888: 4). ამის თაობაზე უნდა ითქვას შემდეგი: როგორც იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს, თავდაპირველად ილიას მოთხრობას მართლაც „გიორგი“ რქმევია და არა „ოთარაანთ ქვრივი“. როგორც ჩანს, ილიას სწორედ გიორგი ჰყავდა ჩაფიქრებული მოთხრობის მთავარ პერსონაჟად, როგორც დრამატული ამბის მთავარი მონაწილე. ეს ასეც უნდა ყოფილიყო ნაწარმოების საკვანძო პრობლემიდან გამომდინარე, თუმცა, როგორც ჩანს, მოთხრობის ტექსტზე მუშაობისას ავტორის წინაშე იმდენად ცხოვლად ამოიზარდა ოთარაანთ ქვრივის სახე, რომ მწერალმა სწორედ იგი აქცია მოთხრობის მთავარ პერსონაჟად. ეს გარემოება შენიშნული და სათანადოდ ახსნილიცაა ილიასმცოდნეობაში (იხ. მინაშვილი 2018).

საგულისხმოა კრიტიკოსის ცნობები „ოთარაანთ ქვრივის“ საზოგადოებრივი რეზონანსის შესახებ. ზოგიერთმა მკითხველმა, როგორც ჩანს, ნაწარმოები, სრულიად უსაფუძვლოდ, „ხალხოსნური“ სულისკვეთების ტექსტად მიიჩნია, რომელშიც დაბალი სოციალური წრის იდეალიზაციაა მოცემული: „თითქმის ყველანი ერთად ამბობდნენ, რომ ილია გლეხკაცობას ეარშიყებაო. ერთმა მათგანმა ამ სიტყვებით გადმომცა თავისი შთაბეჭდილება: „ილიას „ნაროდნიკობა“ დაუწყვია და რუსული „ნაროდნიკული“ ლიტერატურა უნდა დაარსოს ჩვენშიო“ (კეზელი 1888: 6).

ცხადია, „ოთარაანთ ქვრივი“ ნაროდნიკული სულისკვეთების ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება თუნდაც იმის გამო, რომ ე. წ. „ხიდჩატეხილობის“ პრობლემა ილიას მიერ ეროვნული პოზიციიდან, ეროვნული თვალთახედვითაა შეფასებული და არა წმინდა სოციალური პრიზმიდან, როგორც ეს ხალხოსნებისათვის იყო დამახასიათებელი.

დავით კეზელმა პირიქით, ილიას მოთხოვნა არათუ ხალხოსნური სულისკვეთების ნაწარმოებად, არამედ ავტორის წოდებრივი ფსიქოლოგიის გამომხატველ ტექსტად მიიჩნია: „ეხლა თქვენი ბედნიერი თვალთ ჰხედავთ, რომ ბ. ჭავჭავაძე ძლიერ დაშორებულია გლეხობასთან არშიყოფაზედ, პირიქით ჩვენს წინა სდგას თვადის სისხლის შეუბღალაობის დარაჯი გლეხის მყრალი სისხლით. თვით ის აზრი, რომ სიყვარული, მიჯნურობა გაიდოს „გზად და ხიდად“ ამ ორს, გრძელი ისტორიული წესწყობილებით ერთი-ერთმანეთზედ დაშორებული, წოდებათა შორის, სათავეშივე ყალბი და შემცდარია“ (კეზელი 1888: 12).

კრიტიკოსი სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობს, თითქოს ილია სოციალურ ფენათა შორის ჩატეხილი ხიდის გასამრთელელებელ გზად სიყვარულს, მიჯნურობას გვთავაზობდეს. „თავად-აზნაურობის და გლეხკაცობის შერიგება და შეერთება ქალის სიყვრულით, გლეხის თავადთან დასიძავეებით არ მოხერხდება, ამიტომ რომ მათი დაშორების მიზეზი ქალის სიყვარული არ ყოფილა“ (კეზელი 1888: 14). ასეთი მიზანდასახულობა მწერალს არც ჰქონია. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ გამოსავალი სხვა სიბრტყეზეა საძიებელი: „ჩატეხილი ხიდის გამთელება, რომლისთვისაც ასე გოდებენ არჩილი და კესო, და მათი მორიგება მოხერხდება მხოლოდ იურიდიულ და ეკონომიკურს ნიადაგზედ, ამიტომ, რომ დაშორების მიზეზი უფლებების წართმევა და ეკონომიკური დაჩაგვრა ყოფილა“ (კეზელი 1888: 14). ეს თვალსაზრისი, რა თქმა უნდა არ შეეფერება სინამდვილეს. ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივში“ სწორედ ის გარემოება გვიჩვენა, რომ იურიდიული და ეკონომიკური თანასწორობის პირობებშიც (ამ პერიოდში ბატონყმობა უკვე გაუქმებულია, ეკონომიკური თვალსაზრისით კი ოთარაანთ ქვრივის ძლიერი ოჯახი ბევრად არ ჩამორჩება თავადების ოჯახს) თავადსა და გლეხს შორის მაინც ჩატეხილია ხიდი და ეს ფსიქო-სოციალური, მენტალური ფაქტორებითაა ასახსნელი და არა ეკონომიკური და იურიდიული მოტივებით.

დ. კეზელს ნაწარმოების პერსონაჟთაგან თითქმის ყველა რეალისტურ სახეებად მიაჩნია, იგი ფიქრობს, რომ სინამდვილეში ხშირად შეხვდებით ოთარაანთ

ქვირის მგავს ბრგე და გამჭრიახ დედაკაცსაც, გიორგისთანა გამრჯელ ახალგაზრდასაც, არჩილის მსგავს თავადიშვილსაც და მეწისქვილე სოსიასთანა უთვისტომო და დაბრიყვებულ გლეხსაც, მაგრამ „ახალგაზრდა კნიაჟნა კესოსი კი რა მოგახსენოთ... უფერული და უგემური კნიაჟნები მრავალია ჩვენში, მაგრამ ეს ისეთი რაღაც ყოვლად უფერულია, რომ ამაზედ ამის მეტი არაფერი ითქმის, რომ კესო ჰქვიან“ (კეზელი 1888: 15).

ძალზე ტენდენციურია კრიტიკოსის მსჯელობა გიორგის შესახებ. იგი აცხადებს, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არადამაჯერებელია გიორგის ტრფობა კესოსადმი და გლეხკაცის გულში ასეთი გრძნობის წარმოშობა: „ვინმეს მონად გახდომა და ნამეტურად დიაცისა გიორგების დავთარში არ სწერია. ეს ცილის წამება იქნება მათზედ. გიორგისთანა გლეხს სისხლში აქვს თავადაზნაურის სიმძულავრე“ (კეზელი 1888: 16). გლეხის ასეთ ზოგად დამოკიდებულებას თავადისადმი კრიტიკოსი უმართებულოდ განაზოგადებს გიორგის პერსონაჟზეც, რაც, ცხადია, არასწორია, რამდენადაც გამონაკლისები ყველგან და ყოველთვის არსებობს.

დ. კეზელი ფიქრობს, რომ ავტორმა სათანადოდ არ იზრუნა მხატვრული დასაბუთება მოეძებნა გიორგის გრძნობისათვის, არ გვაჩვენა მის გულში სიყვარულის აღძვრისა და განვითარების დინამიკა. მკითხველი მხოლოდ ბოლოსდა იგებს მისი გაუმჟღავნებელი გულისნადების შესახებ: „რამენაირად შეიძლებოდა შეჰგუებოდა საღი გონება ამ ამბავს, რომ ავტორს ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ეს თავმომწონე და გლეხის უბადლო ბიჭი კესოს ხორციელმა, ან სულიერმა სილამაზემ გაიტაცა. ემილ ზოლა, მაგალითებრ, თუ სახეს არა, თემოებს მაინც ისეთის გემოთი აღწერს ხოლმე, რომ ოცდაათის წლის დაყუდებულის კი რაღაც ფათფათს იგრძნობს გულში“ (კეზელი 1888: 17).

მაგრამ კრიტიკოსის მთავარი ბრალდება მაინც გიორგის სიკვდილის სცენასთანაა დაკავშირებული. იგი მიიჩნევს, რომ ეს მომენტი არ არის განპირობებული ნაწარმოების მხატვრული განვითარების ლოგიკით და

სქემატურობის იერი დაჰკრავს: „დალუპვა მოთხრობის გმირისა უნდა იყოს ლოღიკური შედეგი ამისივე ვნებათა მღელვარებისა, იმ გარემოებისა, რომელშიაც ის ავტორს ჩაუყენებია, და არა შემთხვევითი მიზეზისა“ (კეზელი 1888: 17) – ფიქრობს კრიტიკოსი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დ. კეზელის რეცენზია აშკარად ხალხოსნური პოზიციიდანაა დაწერილი და ამიტომაც ილიას მცდელობა „ჩატეხილი ხიდის“ გამთელებისა მას უნაყოფოდ მიაჩნია.

1888 წელს „ივერიაში“ (#58) ქვეყნდება მიხეილ ხელთუფლიშვილის წერილი „რამდენიმე შენიშვნა შესახებ ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ იგი მიზნად არ ისახავს მეცნიერული ნარკვევის შექმნას, არამედ მხოლოდ თავისი, როგორც რიგითი მკითხველის შთაბეჭდილებათა გადმოცემას.

მ. ხელთუფლიშვილის პირველი შენიშვნა ნაწარმოების მთლიანობას, მის კომპოზიციურ შეკრულობას უკავშირდება. იგი მიიჩნევს, რომ მოთხრობას აკლია მხატვრული სისრულე, იგი ერთგვარი დაუმთავრებლობის ნიშნითაა აღბეჭდილი და თავისი არსით ვრცელი ამბის ნაწილის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე – დამოუკიდებელი, თვითმყოფადი თხზულებისას: „ოთარაანთ ქვრივი“ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე, თითქო იგი იყოს ერთი რომელიმე ნაწყვეტი უფრო დიდის ქმნილებისა, და არა ცალკე, დამთავრებული მოთხრობა. მკითხველს ძალაუწევს თვალწინ ეხატება, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ მოთხრობის შექმნის ისტორია“ (ხელთუფლიშვილი 1888: 1).

კრიტიკოსი მოთხრობის ავტორს საყვედურობს შიშველ ტენდენციურობას. მისი აზრით, ნაწარმოების იდეა შენივთებული კი არ არის მის მხატვრულ ქსოვილთან, არამედ თითქოს მასზე გარედანაა მიბმული. მ. ხელთუფლიშვილის აზრით, „ოთარაანთ ქვრივი“, „ერთ სუსტ, ტენდენციურ მოთხრობას წარმოადგენს, რომლის ნაწილები თეთრის ძაფით არიან შებლანდულნი და რომლის მეორე ნახევარი – ერთი რამ ნაძალადევია, თუცა მასშიდაც ურევია ისეთი ობოლი

მარგალიტები, როგორცაა „ჯავრი დედისა“, „ორი თვალი“, „ზარი“, და „უკნასკნელი განდობა“ (ხელთუფლიშვილი 1888: 1).

ისევე როგორც მისი წინამორბედი კრიტიკოსები, მ. ხელთუფლიშვილიც გაკვირვებულია მოთხრობის მწერლისეული დასათაურებით: „რად ჰქვია ამ მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“, როდესაც-რომ მოქმედნი კაცნი ამ მოთხრობისა, – თუ კი ისინი არიან, – სხვანი არიან, და არა ოთარაანთ ქვრივი?“ (ხელთუფლიშვილი 1888: 2). ამ განცხადებასთან აშკარა წინააღდეგობაში მოდის კრიტიკოსის აზრი, რომ ოთარაანთ ქვრივის სახით ილია ჭავჭავაძემ მოახერხა შეექმნა ჩვენი ყოფიდან ამოზრდილი, ღრმად ეროვნული და სახასიათო ტიპი და მალე „ოთარაანთ ქვრივი“ „საზოგადო სახელად გარდაქცევა, და, სადაც შევხვდეთ ცხოვრებაში ოთარაანთ ქვრივს, ჩვენ ადვილად ვიცნობთ, „ო, ნთლიდედ, ნთლიდედ!“ – მხიარულად მივეგებებით, როგორც ძველ ნაცნობს. ოთარაანთ ქვრივი ამიერიდამ დაიჭერს საპატიო ადგილს ჩვენი ლიტერატურის და იმგვარი უკვდავ ტიპთა შორის, როგორნიც არიან ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯანი“ (ხელთუფლიშვილი 1888: 3).

რეალისტურ სახედ მიაჩნია კრიტიკოსს გიორგიც, რომელიც იმავე ცხოვრების „თორნეშია გამოცხოვბილი“, რომელშიც ოთარაანთ ქვრივი, „იმ გვირისტით არის შეკერილი, რომელიც მარტო ბუნებამ იცის“. კრიტიკოსის თქმით, იგი ხალხის წიაღიდან გამოსული გმირია, მასთან ღრმად დაკავშირებული. თავისი პირნათლობით, პატიოსნებით, გამრჯელობით გიორგი ქართველი გლეხის იდეალურ სახედ გვევლინება, რომელიც „ცხოვრების ძირიდან ამოღებული“.

მ. ხელთუფლიშვილის კეთილგანწყობას ნაკლებად იმსახურებს არჩილი. მართალია, თავადიშვილს აქვს გარკვეული დადებითი თვისებები და მასში, ერთი მხრივ, იკვეთება მისწრაფება გლეხებთან დაახლოებისა (მას უყვარდა გლეხებში ტრიალი, მათთან ლაპარაკი და ზოგჯერ ლაზღანდარობაც), მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრიტიკოსი ფიქრობს, რომ „განათლებას ვერ მოუკლავს არჩილში თავადის მედიდური შეხედულება გლეხზე, როგორც ამაზე მოწმობის X ხანას თვით სათაური“ (ხელთუფლიშვილი 1888: 2).

არჩილი, კრიტიკოსის დასკვნით, სქემატური პერსონაჟია, რომელსაც ავტორი თავისი თვალსაზრისის გამხმევანებად იყენებს: „ასეა თუ ისე, არჩილი ცოცხალი პირი როდია, ის მხოლოდ განყენებული სახეა, რომელიც ჩვენთვის მხოლოდ იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც ავტორი პირით სარგებლობს თავისი ჰაზრების გამოსათქმელად“ (ხელთუფლიშვილი 1888: 2).

ასეთივე სქემატურ პერსონაჟად ეჩვენება კრიტიკოსს არჩილის და კესოც: „ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ კესო განათლებული და ნაკითხი ქალი უნდა იყოს საზოგადოდ, კესო კიდევ უფრო განყენებულად და ბუნდად არის გამოხატული, მინამ არჩილი“ (ხელთუფლიშვილი 1888: 3).

თავისი წინამორბედი კრიტიკოსების მსგავსად მ. ხელთუფლიშვილიც მოთხრობას ნაკლად უთვლის იმას, რომ მასში არ ჩანს გიორგის გულში სიყვარულის აღმვრის პერიპეტეიები. „ავტორი არც იმის ახსნას ჰრაცხს საჭიროდ, ან თუ დადიოდა გიორგი წინად არჩილისას, ან თუ როგორ და სად შეუყვარდა მას კესო. ვიცით მხოლოდ, რომ ოთარაანთ ქვრივი კი ხვდებოდა ხანდისხან და-ძმას“ (ხელთუფლიშვილი 1888: 2).

მიხეილ ხელთუფლიშვილის წერილი ფასეულია ერთი დაკვირვების გამო. კრიტიკოსი მარჯვედ ახერხებს მიაგნოს იმ მთავარ მიზეზს, რაც ხიდჩატეხილობის მთავარ მიზეზად გვევლინება და რისი დამღევეც არის სწორედ ხიდის გამთელების საფუძველი. ესაა სოციალურ ფენებს შორის კულტურული დაშორება. როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძეს მიუთითებია ამ ფაქტორზე. მ. ხელთუფლიშვილი კიდევ უფრო გარკვევით საუბრობს აღნიშნულ პრობლემაზე: „განა აქ მოყვანილ ორ წოდებათა წარმომადგენელთა შორის დაშორებულობა, ერთისგან მეორის გაუგებლობა მარტო „სისხლ-ხორცის“, „გვარიშვილობის“, „გულის“ ბრალია? ამგვარივე განწყობილებაში არ იქნებოდნენ გაუნათლებელი და ზედათად-განათლებული გლეხი, გაუნათლებელი და ზედათად-განათლებული თავადი? განა იმგვარივე ჩატეხილი ხიდი არ იქნებოდა იმათ შორის?“ (ხელთუფლიშვილი 1888: 3).

სრულიად გასაზიარებელია კრიტიკოსის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „თუ გიორგი კესოს გულით სწვდებოდა, – ხელით კი ვერა“ ამის მიზეზი „სისხლ-ხორცში“ კი არა, განათლების, განვითარების სხვა-და-სხვაობაში იყო... ამგვარადვე შეეძლო ვერ გაეგო განათლებულს თავადის ქალს გაუნათლებელი სოფლის თავადის სიყვარული. მაშ კესოს და გიორგის შუა არა მარტო „სისხლ-ხორცის“ კედელი ყოფილა“ (ხელთუფლიშვილი 1888: 3).

შ. დავითაშვილის მსგავსად მ. ხელთუფლიშვილსაც უფუნქციო პერსონაჟად ეჩვენება სოსია მეწისქვილე, მისი სიყვარულიც ოთარაანთ ქვრივისადმი დიდ გაუგებრობად მიაჩნია, რომელიც უფრო კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, იმის მაგივრად, რომ მკითხველში თანაღმობის განცდა აღძრას: „მაგრამ არის მოთხრობაში ერთი რამ, რაც ფილოსოფიაზედაც უფრო ძნელი გასაგებია, და ეს „ერთი რამ“ – სოსია მეწისქვილის ოთარაანთ ქვრივისადმი სიყვარულია. ჩვენ ვერას გზით ვერ გაგვიგია, რა საჭირო იყო ავტორისათვის მოთხრობის ბოლოს ამ მართლა რომ სასაცილო ეპიზოდის ჩაყენება. ერთი ეს არის საჭირობოროტო საკითხავი ამ „უსწორმასწორო მოთხრობაში“ (ხელთუფლიშვილი 1888: 327).

ვერც შ. დავითაშვილმა და ვერც მ. ხელთუფლიშვილმა ვერ შეძლეს სოსია მეწისქვილის მხატვრული სახის ფუნქციის გაანალიზება. არადა, სინამდვილეში ხომ ამ პერსონაჟს ნაწარმოებში მეტად საგულისხმო დატვირთვა ენიჭება (მოგვიანებით უზუსტესად ამოიცნობს ამას კიტა აბაშიძე). სოსიას თავგადასავალი ხომ იმ თვალსაზრისის ნათელი დადასტურებაა, რომ ხიდჩატეხილობის პრობლემა მხოლოდ განსხვავებული სოციალური წრის ინდივიდთა შორის არ არსებობს და მას შეიძლება ერთი და იმავე სოციალური წოდების ადამიანთა შორისაც შევხვდეთ.

„ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ გამოქვეყნებული წერილებიდან აღსანიშნავია სტეფანე ჭრელაშვილის „მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო“, რომელიც „ივერიის“ რამდენიმე ნომერში, გაგრძელებებით დაიბეჭდა 1888 წელს.

სტეფანე ჭრელაშვილი ხალხოსნური მიმართულების კრიტიკოსი იყო, რომელიც ამ იდეოლოგიას თანდათან ჩამოშორდა და „ივერიის“ ჯგუფს

დაუახლოვდა შემდეგში. ილიას შემოქმედებისადმი მისი მიმართების ევოლუციის გასათვალისწინებლად, ორიოდ სიტყვით ავტორის ადრინდელ პუბლიკაციასაც შევხებით.

სტეფანე ჭრელაშვილის წერილი „დამტკრეული ოცნებანი“ („იმედი“ 1882, # 2) ზოგადად აფასებს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობას. წერილის ზოგადი სულისკვეთებაა იმის ჩვენება, რომ გარკვეული მიზეზების გამო ქართველი მწერლები ვერ ახერხებენ თანმიდევრულ ლიტერატურულ შრომას. ამ თეზისის დასტურად სტ. ჭრელაშვილს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა მიაჩნია. მისი თქმით, ილიას ხვდა პატივი, ყოფილიყო მთელი თაობის წინამძღოლი და თავისი სატირული მახვილით გამოეცოცხლებინა ქართველი საზოგადოება: „ჭავჭავაძის სახელმა გაიდგა ბურჯი ქართველ საზოგადოებაში. მოსწავლეთ და ნასწავლთ ამოედგათ ენა-დიდი და პატარა ლაპრაკობდა ჭავჭავაძეზე და ჭავჭავაძეობა ენატრებოდა. ყველა ქართველის გული გადაება დაურღვეველი სიმპატიით ი. ჭავჭავაძის გულთან“ (ჭრელაშვილი 1882: 251). ილია ჭავჭავაძე იქცე ეტალონად, ორიენტირად ახალგაზრდა ლიტერატორთათვის. მაგრამ გარემოებათა გამო, სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძემ ვერ შეძლო შეენარჩუნებინა აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობის ტემპი და თანდათან მოექცა ჩრდილში: „ყველაზე სამწუხარო იყო ქართული მწერლობისთვის უ. ჭავჭავაძის დაკარგვა. გადაბრუნდა დედა-ბოძი ჩვენი გამოფხიზლებული აზრისა, გადმოგვივარდა ქვა-კუთხედი ქართული მწერლობის დაფუძნების იმედისა. უ. ჭავჭავაძემ დაატრიალა ჩანგი გაცვეთილ და მომაკვდინებელ კილოზე: დაკარგული “დიდება“, გაზვიადებული “მამული“, ზნეობის სიმაღლე და ქართველთა ტომთა ვითომც მძური სიყვარული-წარსულში“ (ჭრელაშვილი 1882: 251). ს. ჭრელაშვილის წერილში მინიშნებულია იმაზე, რომ თითქოს ილია ჭავჭავაძემ უღალატა თავის უწინდელ იდეალებს და ისეთი უტოპიური აზრების ქადაგება დაიწყო, როგორიცაა სოციალურ ფენათა შორის თანასწორობა და წოდებათა შერიგება: „იმდენათვე აუსრულებელი, უკუდო და საჩხირკედელაო ხასიათი მიეცათ პრაქტიკულ მოსაზრებას უ. ილია ჭავჭავაძისას:

დაამშობილოს ბატონი და ყმა, თავადი და გლეხი, დაუმტკიცოს მათ, რომ იგინი ერთ საქმეს ემსახუებიან-გლეხი თავადის მუცელს და თავადიც თავის მუცელს-და აქედან წარმოსდგება, რომ იმათ შორის გასაყოფი არ არის რაო“ (ჭრელაშვილი 1882: 251).

სტ. ჭრელაშვილის თქმით, იგი სრულიად არ ამტკიცებს იმას, თითქოს ილია ჭავჭავაძე შეგნებულად გადასდრომოდეს ჭეშმარიტებას და განზრახ დაენებებინოს თავი ზნეობრივ მანკიერებებთან ბრძოლისათვის. ილიას პასიურობის მიზეზი, კრიტიკოსის აზრით არის ჩვენი მწერლობის საერთო მდგომარეობა, „მისი შემთხვევითი არსებობა“: „ან უ. ჭავჭავაძეს უნდა ჰქონოდა კედელივით მაგარი ხასიათი, რომ ძალუმი, ხანგრძლივი სული ჩაედგა ჩვენი მწერლობისათვის, და არა ეშობნა ისეთი უდღეო ქმნილება, თუმცა ლამაზი, რომელსაც ათ წელიწადზე მეტი არ ექნებოდა სიცოცხლე და რომლის მოკვლასაც თვითონვე ჭავჭავაძე შეუდგებოდა, ან არა და ჩვენი მწერლობა უნდა ყოფილიყო აშენებული მტკიცე საძირკველზე, სცოდნოდა კარგი და ავი...“ (ჭრელაშვილი 1882: 253).

სრულიად განსხვავებული სულისკვეთებითაა დაწერილი ს. ჭრელაშვილის ნარკვევი „ოთარაანთ ქვრივზე“. ნაშრომი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ს. ჭრელაშვილმა გაითვალისწინა მისი წინამორბედი კრიტიკოსების შეხედულებები ილიას მოთხოვნის შესახებ და თავისი თვალსაზრისის გადმოცემაც მათთან პოლემიკის კონტექსტში სცადა.

პირველ ყოვლისა, კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ სრულიად აშკარაა ილიას მოთხოვნის დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი. მასზე ბევრს საუბრობენ, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა იგი, ეთანხმებიან თუ არა ავტორის მოქალაქეობრივ თვალსაზრისს. „კარგა ხანია ჩვენს მწერლობაში არ დაბეჭდილა-რა ისეთი თხზულება, რომელსაც გამოეწვიოს მრავალგვარი ბაასი სიტყვით თუ წერით, როგორიც გამოიწვია პატარა თხზულებამ ბ-ნ ილია ჭავჭავაძისამ. „ოთარაანთ ქვრივზე“ ლაპარაკობენ შინაურობაშიაც და გარეულობაშიაც. გაზეთებშიაც და ცალკე წიგნებშიაც“ (ჭრელაშვილი 1957: 329).

სტეფანე ჭრელაშვილი აღნიშნავს, რომ მოთხრობაზე დაწერილ რეცენზიათა სიმრავლე უკვე თავისთავად მიუთითებს მის ღირებულებაზე, რადგანაც „ოთარაანთ ქვრივმა“ საუბრის, მსჯელობის სადერდელი აუშალა დიდა თუ მცირეს: „თქვენა ხედავთ, რომ ზოგი ეკამათება ავტორს, მაგეთი სახელი რად დაუმახე მოთხრობასაო, ზოგი ემდურება – მაგეთი სიყვარული შეუძლებელიაო, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. მაგრამ ყველას კი ეტყობა, რომ ლაპარაკის მადაზედ მოსულა, ყველას რაღაც მოჰხვედრია გულსა და ჭკუაში და ამიტომ უნდა პასუხის გაცემა“ (ჭრელაშვილი 1957: 337).

წინარე კრიტიკული წერილებიდან ს. ჭრელაშვილი შედარებით მაღალ შეფასებას მ. ხელთუფლიშვილის სტატიას აძლევს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ „მთელი კრიტიკული ძალა ამ მწერლისა დახარჯულია რაღაც წვრილმანებზე, გარეგნობაზე და სიტყვების გაცვლა-გამოცვლაზე“ (ჭრელაშვილი 1957: 330).

ძალზე მარჯვედ ამჩნევს კრიტიკოსი მიხეილ ხელთუფლიშვილის მსჯელობის შინაგან წინააღმდეგობას, როდესაც ეს უკანასკნელი მოთხრობის სათაურის შეუსაბამობაზე საუბრობს: „ბ-ნი ხელთუფლიშვილი თითონვე გვარწმუნებს, რომ ოთარაანთ ქვრივი ისე ხელოვნურად არის ამოთვალ-თვალეზული ჩვენის ცხოვრებიდან, რომ სადაც კი ტიპის წარმომადგენელს შეჰხვდები, მხიარულად მიეგებები: „ო, ნათლიდედ, ნათლიდედო“, როგორც ჩვენს ძველ ნაცნობსაო, – მაგრამა ამსთანავე საშინლად უკვირს, რად დაარქვა ჭავჭავაძემ თავის მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“. თითონ კრიტიკოსი გვეუბნება, რომ ქვრივის ხასიათი ბევრით უფრო ცხოვლად არის დახატული, ვიდრე სხვა გმირებისაო, და თითონვე უკვირს მოთხრობის სახელი“ (ჭრელაშვილი 1957: 332-333). უზუსტესი შენიშვნაა, რომელშიც კრიტიკოსის მახვილონივრულობა შესანიშნავად ვლინდება.

ს. ჭრელაშვილი პასუხობს მ. ხელთუფლიშვილის სხვა, უხეირო შენიშვნასაც მოთხრობის უკანასკნელი თავის დასათაურებასთან დაკავშირებით (თუ რატომ ჰქვია მოთხრობის უკანასკნელ თავს „ემახის“): „ვისაც-კი მისხლის ოდენა ჭკუა მოეძებნება თავში, ყველამ გაიგო, რომ აქ მომაკვდავი ოთარაანთ ქვრივი ელაპარაკება თავის

გიორგის სულს, და ყველაზედაც შთაბეჭდილება მოახდინა ამ საშინელმა სურათმა დედაშვილობის სიყვარულისამ. ვინც ვერ გაიგო, და აბა იმას რა წამალი დაეძება!“ (ჭრელაშვილი 1957: 336-337).

სტეფანე ჭრელაშვილის თქმით, ამ მოთხრობით მწერალმა გვიჩვენა ქართული საზოგადოების სულიერი ევოლუცია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ლუარსაბმა და დარეჯანმა თავიანთი ადგილი არჩილსა და კესოს დაუთმეს, დათოსა და ლამაზისეულის ადგილი კი ოთარაანთ ქვრივმა და გიორგიმ დაიკავეს. საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების ერთ-ერთი ნიშანი, კრიტიკოსის თქმით, არის თუნდაც შრომის საკითხისადმი გლეხობის დამოკიდებულების აშკარა ცვლილება, რაც სათანადოდაა ასახული „ოთარაანთ ქვრივში“: „თუ გლეხს აქამდის შრომა და გარჯა მიაჩნდა რაღაც მძიმე ტვირთად, რომელსაც ატარებდა ისევე უნებლიედ, როგორადაც დღეს ატარებს შინაური, პატრონისაგან მოძულებული, პირუტყვი, ეხლა იგივე შრომა მიაჩნია წმინდა მოვალეობად, რომელიც აყვარებს თავსა და ახალისებს ადამიანს. ოთარაანთ ქვრივსაც შეუყვარდა შრომა და იქამდე შეუყვარდა, რომ ყველა უქმი კაცი თითქმის ჭირვითა სძაგდა“ (ჭრელაშვილი 1957: 356).

კრიტიკოსები თითქმის ერთხმად და ერთსულოვნად საყვედურობდნენ ილიას, რომ მან არ გვიჩვენა გიორგის გულში სიყვარულის აღძვრისა და განვითარების პერიპეტიები. ს. ჭრელაშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს სრულიადაც არ წარმოადგენს არსებით ფაქტორს მოთხრობაში და „აღბათ ისეთის თვისებისა ნახა გიორგიმ კესო, რომ ღირსად სცნო თავის სიყვარულისა, ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ პირველი და უკანასკნელი გრძნობა სიყვარულისა გამოწვია კესომ. როგორ მოხდა, სად შეემთხვა და რად მოხდა ეს ასე, ეგ ყველამ თავისათვის წარმოიდგინოს, თუ ეხალისება. საქმე მომხდარი ამბავია და კრიტიკამაც მხოლოდ ეს ამბავი უნდა იქონიოს სახეში“ (ჭრელაშვილი 1957: 356).

საინტერესოა ს. ჭრელაშვილის აზრი ნაწარმოების პერსონაჟებზე, განსაკუთრებით არჩილის შესახებ. არჩილი, კრიტიკოსის თქმით, შესაძლოა ცოტა

მკრთალი სახეა, მაგრამ იგი კეთილგონიერი, შემეცნების მოყვარე ადამიანი ჩანს, რომელსაც უყვარს ფაქტებში ჩაძიება, მიზეზშედეგობრივ კავშირთა კვლევა, იგი მჭვრეტელია თავისი ბუნებით. კრიტიკოსი მკითხველს ყურადღებას მიაპყრობინებს ერთ გარემოებაზე, რომელიც თითქოს თვალში არ ხვდება მას, მაგრამ ბევრს გვეუბნება არჩილის მდიდარ სულიერ სამყაროზე. ის გარემოება, რომ ნასწავლი, პერსპექტიული ახალგაზრდა კაცი უარს ამბობს ქალაქში ცხოვრებაზე და სოფელში სახლდება, მითითებს მის შინაგან ღირსებაზე, უბრალოებაზე: „თუ იმისთანა კაცი ხელს იღებს ქალაქის „სიამოვნებაზე“ და მიეშურება „გამოყრუებულს“ სოფელში, სიგიჟით კი არ მოსდის ასეთი საქციელი, უთუოდ რამ დიდი და სამართლიანი საფუძველი აქვს ხელში, უთუოდ რამ წუნი უნდა ეპოვნოს ქალაქის „სიამოვნებისათვის“ და თვით სოფელიც ისეთი „გამოყრუებული“ არ უნდა სჩვენებოდეს, როგორც მის სწორ-ამხანაგთ მიაჩნიათ“ (ჭრელაშვილი 1957: 377).

წინამორბედი კრიტიკოსებისაგან განსხვავებით სტეფანე ჭრელაშვილი ცდილობს წარმოაჩინოს არჩილის დადებითი თვისებები, რომელნიც მათ უსამართლოდ უგულებელჰყვეს. მართალია, არჩილი თავისი ბუნებით ცოტა იდეალისტია, მაგრამ ეს მის არაპრაქტიკოსობაზე როდი მეტყველებს: „ის როდი სჯერდება მარტო კრიტიკას, იმას არა თუ არ მოსწონს საქციელი წარსულის თაობისა, არა თუ მხოლოდ აზრით ამტყუნებს დათიკოებს, არამედ კიდევაც განუზრახავს საქმიტაც იმოქმედოს სრულებით წინააღმდეგ დათიკოებისა და ასეც ირჯება“ (ჭრელაშვილი 1957: 380).

არჩილის ხასიათის არსებითი ნიშანია უბრალოება, რაც კრიტიკოსის თქმით, ნათლად ვლინდება გლეხებთან გულწრფელ, მეგობრულ დამოკიდებულებაში: „არჩილი იქამდე განათლებულია, რომ განთავისუფლებულია ცრუ-სწავლულთა ცუდ-მედიდურობისა და ამაყობისაგან. ამიტომაც იმისი ყური მუდამ მზად არის მოისმინოს გლეხის საუბარი, ამისათვის არჩილს კი არ სწყინს გლეხის შენიშვნები, მაღლიელიც დარჩება ხოლმე და გულის ფიცარზე იჭედავს ამ შენიშვნებსა“ (ჭრელაშვილი 1957: 384).

სტეფანე ჭრელაშვილის წერილი გამორჩეულია ობიექტურობითა და პროფესიული კეთილსინდისიერებით. ს. ჭრელაშვილმა შეძლო, რომ არგუმენტირებული პასუხი გაეცა მისი წინამორბედი კრიტიკოსების ტენდენციური მსჯელობისათვის და წარმოეჩინა „ოთარაანთ ქვრივის“ მხატვრული ღირსება.

„ოთარაანთ ქვრივს“ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ. მისი აზრით, ილია ჭავჭავაძემ ამ მოთხრობით მოახერხა შეექმნა „თითქმის მსოფლიო ტიპი“. კიტა აბაშიძე აცხადებს, რომ ნაწარმოებს არაერთგვაროვანი გამომხატურება ჰქონდა პერიოდულ პრესაში და სწორედ იგია დასტური იმისა, რომ ილიას აქვს უნარი საზოგადოების გამოფხიზლების და მოძრაობაში მოყვანისა.

კიტა აბაშიძის თქმით, ამ მოთხრობაშიც შეინიშნება მცირე რომანტიკული ტენდენცია, თუმცა მასში განვითარების მწვერვალს მიაღწია ილია ჭავჭავაძის რეალისტურმა თვალთახედვამ. კრიტიკოსის თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძემ მოახერხა დაეხატა ისეთი ლიტერატურული ტიპი, რომლის მსგავსიც მანამდე არ გამოჩენილა ჩვენს მწერლობაში.

კიტა აბაშიძე ცალ-ცალკე ახასიათებს მოთხრობის პერსონაჟებს. იგი თავდაპირველად არჩილზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ის ლუარსაბისა და დათიკოს მემკვიდრეა. მიუხედავად იმისა, რომ მათზე უფრო „გათლილი და გაშალაშინებულია“. არჩილი, რა თქმა უნდა, ისეთი უარყოფითი პერსონაჟი არ არის, როგორც, მაგალითად, ლუარსაბი, თუმცა მაინც უფერულ და უშინაარსო სახედ მიაჩნია. იგი დათიკოსავით ავზნიანი არ არის. არ ფლანგავს თავის ქონებას. არც დროს ტარებას მისდევს, მაგრამ სოფელს მაინც არა არგია მისგან: „გაუზუპირებია ერთი-ორი მაღალი ჰუმანური ფრაზა, რომელსაც მხოლოდ მაშინ თუ წამოისვრის და ისიც სხვის სასაყვედუროდ, როცა ისეთი საშინელი ამბავი მოხდება, როგორც გიორგის სიკვდილია“ (აბაშიძე 1898: 37).

კიტა აბაშიძის სიმპატიას ვერ იმსახურებს ასევე არჩილის და კესო. მეტად კატეგორიულია და მიუღებელია კიტა აბაშიძის სიტყვები, რომ „კესო სწორედ

ნულია“. შედარებით სქემატურ პერსონაჟად მიაჩნია კიტა აბაშიძეს გიორგი, რომელიც, მისი თქმით, თუმცა წააგავს აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრს მგრძნობიარე და რომანტიკული ბუნებით, მაგრამ რაღაც „ნამეტანი ფაქიზი და ნაზი“.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი „ოთარაანთ ქვრივი“ კიტა აბაშიძის აღტაცებას იწვევს. იგი თითქმის ზოგადსაკაცობრიო პერსონაჟად მიაჩნია ავტორს. ამასთანავე, თავისი ხასიათით, შინაგანი დისციპლინით, პირდაპირობით, ენერგიულობით, იგი თითქოს ილია ჭავჭავაძის ალტერ ეგოდ გვევლინება: „ოთარაანთ ქვრივი გახლავსთ ეგრეთვე თვით ავტორის ფსიქოლოგიურის, სულიერის თვისების გამომხატველი და მაჩვენებელი. რადგან, თუკი ოდესმე (და ეს თითქმის ყოველთვის მოხდება ხოლმე) მწერალს თავისი თვისებანი მისგან გამოსახულს ტიპში განუხორციელებია, თ. ილ. ჭავჭავაძემ ეს ოთარაანთ ქვრივის ტიპში გამოიჩინა...“ (აბაშიძე 1898: 39).

კიტა აბაშიძე მიუთითებს, რომ ქვრივი არ არის ტრაფარეტული სახე, ის არაა უნაკლო პერსონაჟი, არამედ ცოცხალი ადამიანური სახეა თავისი ღირსებითა და ნაკლით.

მოთხრობიდან ცალკეული მაგალითების მოხმობით, კიტა აბაშიძე ახერხებს, რომ სათანადოდ დაგვიხასიათოს ოთარაანთ ქვრივის სულიერი ბუნება. განსაკუთრებით ხიბლავს კრიტიკოსს ნაწარმოების ფინალი, რომელიც, მისი აზრით, საოცარი ფსიქოლოგიური სიმართლითა და დამაჯერებლობითაა აღწერილი: „უკანასკნელი წუთები ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლისა ისეთის ძლიერის მხატვრულის ნიჭითა აქვს ავტორს აღწერილი, რომ არ ძალგვიძს, სავსებით არ მოვიყვანოთ. იგი ერთი საუკეთესო ფურცელთაგანია ქართულს ლიტერატურაში. კლასიკური სიმარტივე ამ სურათისა განსაკუთრებულს შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში თავისის შინაარსის სიმდიდრით“ (აბაშიძე 1898: 39).

კიტა აბაშიძე ყურადღებას მიაპყრობს კიდევ ერთ პერსონაჟს, სოსია მეწისქვილეს, რომელსაც მისი შეხედულებით, ნაწარმოებში საკმაოდ მნიშვნელოვანი

ფუნქცია აკისრია: „დიდი ძლიერი ნიჭი საუცხოვო მხატვრისა გამოიჩინა თ. ილ. ჭავჭავაძემ უბედურის მეწისქვილე სოსიას ტიპის დასურათებაშიაც“.

სოსია მეწისქვილე კიტა აბაშიძის დასკვნით, რაღაც უცნაურ „სიმბოლოს წარმოადგენს“, სიმბოლოს ერთი ადამიანის გრძნობის მეორესაგან შეუგნებლობისას. იგი სამჯერ მხოლოდ იმიტომ გამოდის თითქოს სცენაზე, რომ დაგვარწმუნოს შემდეგი აზრის ჭეშმარიტებაში. ადამიანი მაინც მარტოა და ხშირად ვერ უგებენ მას. კიტა აბაშიძის ნარკვევის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან მოახერხა წარმოეჩინა ხიდჩატეხილობის პრობლემის უნივერსალური ხასიათი. ეჩვენებინა, რომ ნაწარმოების მიხედვით მხოლოდ განსხვავებული სოციალური წრის წარმომადგენლებს შორის კი არ არის ჩატეხილი ხიდი, არამედ ერთი და იმავე სოციალური ფენის წევრთა შორისაც. უფრო მეტიც, თვით დედასა და შვილს შორისაც არსებობს გაუგებრობის, ხიდჩატეხილობის საკითხი: „სულით ობლობასა გრძნობს, სულით უნუგეშოდა რჩება ოთარაანთ ქვრივი, როცა მისი შვილი მხიარულად გაემგზავრება სატრფოსთან მოჯამაგირედ: “დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმაამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა” (აბაშიძე 1898: 35).

კიტა აბაშიძის მოსაზრებით, პროზაში ილიას შედევრათ „ოთარაანთ ქვრივი“ უნდა ჩაითვალოს, ხოლო პოეზიაში კი „განდეგილი“. კრიტიკოსი მართებულად აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძემ შექმნა მთელი სკოლა ქართულ რეალისტურ პროზაში და მის მოწაფეებად გვევლინებიან გიორგი წერეთელი, დავით კლდიაშვილი და ალ. ყაზბეგი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილიას თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკამ მთლიანობაში საინტერესო მიმართება გამოავლინა „ოთარაანთ ქვრივისადმი“. ზოგიერთი კრიტიკოსი აშკარა ანტიპათიით შეხვდა ნაწარმოებს, რაც მათი იდეოლოგიური პოზიციიდან გამომდინარეობდა. შ. დავითაშვილი და დ. კეზელი აშკარად ხალხოსნური პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ

ნაწარმოებს და მათთვის მიუღებელი იყო სოციალურ ფენათა კონსოლიდაციის ილიასეული ფორმულა.

კრიტიკოსთა ძირითადი შენიშვნები ეხებოდა ნაწარმოების დასათაურებას, ცალკეულ პერსონაჟთა სქემატურობას და ზოგიერთი მონაკვეთის არასათანადო მხატვრულ მოტივირებას. მართალია, ეს შენიშვნები უმრავლეს შემთხვევაში არ არის სამართლიანი, თუმცა საყურადღებო და ანგარიშგასაწევია იმ თვალსაზრისით, რომ გვითვალსაჩინოებს ილიას შემოქმედებისადმი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების მიმართების თავისებურებებს და ზოგად წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ქართული კრიტიკის საერთო დონესა და მიზანდასახულობაზე. „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ გამოქვეყნებული წერილებიდან უდავოდ გამორჩეულია ახალგაზრდა ლიტერატორის სტეფანე ჭრელაშვილის პუბლიკაცია, რომელიც უპირისპირდება მისი წინამორბედი კრიტიკოსების შეფასებებს და რომელშიც სადღეისოდაც საგულისხმო არაერთი დაკვირვებაა წარმოდგენილი.

თხზულების კვლევის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულია კიტა აბაშიძის დამსახურება. კიტა აბაშიძემ დამაჯერებელი ანალიზის გზით ნათელყო, რომ ნაწარმოებში ხიდჩატეხილობის პრობლემა დგას არა მხოლოდ სოციალურ ფენათა, არამედ ადამიანურ ურთიერთობათა სიბრტყეზე და ილია ჭავჭავაძე ამ მოთხრობით მოახერხა წარმოეჩინა ადამიანთა შორის ურთიერთგაუცხოების ზოგადსაყოველთაო ხასიათი.

§ 3.6. დაუმთავრებელი მოთხრობა „უცნაური ამბავი“

ჟურნალ „მოამბის“ 1894 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „უცნაური ამბავი“. მოთხრობის ბოლოს მითითებულია, რომ „შემდეგი იქნება“, მაგრამ ილიას ეს თხზულება აღარ დაუმთავრებია.

ილიას ეს დაუმთავრებელი ტექსტი საკმაოდ საინტერესოა. იგი ახალგაზრდა სოფლის მასწავლებელის შესახებ მოგვითხრობს და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური შეხედულებების შესასწავლად. მოთხრობაში აღწერილია, თუ როგორ მიიწვია სოლომანი (მასწავლებელი) თავადმა ამირინდო დებედაძემ თავისი ერთადერთი შვილის – პატიკოს – აღსაზრდელად და როგორ მყარდება პირველი ნდობა მასწავლებელსა და მის შეგირდს შორის. თხრობა ამ ადგილას წყდება.

საკმაოდ უცნაურია ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძის დაუმთავრებელ მოთხრობას საკმაოდ ადგილი მიუძღვნეს თავიანთ კრიტიკულ წერილებში **სტეფანე ჭრელაშვილმა** და **გიორგი წერეთელმა**.

სტეფანე ჭრელაშვილი გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებულ „საბიბლიოგრაფიო წერილში“ შეეხო ილიას ახლადგამოქვეყნებულ მოთხრობას და აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძემ უკანასკნელ ხანებში იგრძნო – ჩვენს ცხოვრებას ახალი მოთხოვნილებები აქვს და ახალი ტიპები არიან საჭირონი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე. კრიტიკოსი იწონებს ილიას ახალი მოთხრობის მთავარ პერსონაჟს, სოლომანს და აღნიშნავს, რომ „მას უკვე დაჰმჩნევია სიმტკიცე სურვილისა, ხალისი თავის აზრის განხორციელებისა ცხოვრებაში. ამ მხრივ ჩვენს განათლებულს საზოგადოებას უკვე აქვს საკუთარი გამოცდილება, ჰყავს საკუთარი კაცები, რომელნიც საკმაოდ მუქად აფერადებენ ჩვენს უფერულს ცხოვრებას, და სანატრელია, რომ ჩვენმა მესაიდუმლე ავტორმა „უცნაური ამბით“ დაგვიხატოს ქართველი განათლებული ახალგაზრდა, მისი გულისპასუხი და მისი ჯერ გაუბედავი მოღვაწეობა, რომელიც უეჭველია მალე გაიკვლევს გზას და მედგრად მოქმედებას გამოიჩენს ქართველის ერის ცხოვრებაზედ. მაგრამ ჯერ ხომ დასაწყისი ვნახეთ მოთხრობისა. მოვიცადოთ...“ (ჭრელაშვილი 1894: 2). კრიტიკოსმა სოლომანი ახალი ტიპის პერსონაჟად მიიჩნია, რომელსაც გარკვეული საერთო აქვს „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟ არჩილთან, რომელსაც „მოხვედრია ტალღა ევროპიულ განათლებისა“. სტ. ჭრელაშვილი იმედს

გამოთქვამდა, რომ ქართველი საზოგადოების გულის მესაიდუმლე ილია შეძლებდა წარმოეჩინა ახალი თაობისათვის მისაბამი მაგალითი.

განსხვავებული განწყობილებით იყო სავსე გიორგი წერეთლის მიმოხილვითი ხასიათის წერილი „მოამბე“, თვითური ჟურნალი, # 1“. ავტორი ირონიულად შენიშნავს, რომ ეს ნაწარმოები ნამდვილად არ ჰგავს იმ მწერლის ნაწერს, რომელსაც, როგორც „ივერიის“ კრიტიკოსი (სტეფანე ჭრელაშვილი) ირწმუნება „ერის მაჯა ხელში უჭირავს“. გ. წერეთლის თქმით, ახალი მოთხრობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი კრიზისის გამომხატველია უფრო. იგი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ილიას შემოქმედებითმა ძალამ მწვერვალს დიდი ხნის წინ მიაღწია და უკანასკნელ ხანებში მას შენელება დაეტყო. გ. წერეთელი მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც ილიამ შექმნა თავისი „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, „თუ ოდესმე სჭერია მას ხელში საქართველოს მაჯა, ამის შემდეგ კი, ვეჭვობ, ხელიდან გავარდნია და ვეღარც უპოვნია იგი“ (წერეთელი 1894: 9).

ილიას უკანასკნელი მოთხრობის ნაკლოვანება, კრიტიკოსის თქმით, იმაში მდგომარეობს, რომ ილიას აუღია ჩვენი სინამდვილიდან არა ტიპური, არამედ გამონაკლისი, უცნაური ხასიათის შემთხვევა. ამიტომაც მისი თხრობა არადამაჯერებელია. „მართლაც და რაღაც უცნაური შემთხვევა აუღია დამსახურებულს პოეტს, თითქოს თვითონაც იჭვნეულობსო, ვაი თუ ასეთი ამბავი შემთხვევითი იყოს, მართლაცდა ამბავთ გაგონილიო, და არა ნამდვილი ნაყოფი ჩვენის აწინდელი ცხოვრებისაო. სახელიც რომ ისეთი დაურქმევია ამ დალოცვილს თავის ეტიუდისათვის!..“ (წერეთელი 1894: 9).

კრიტიკოსის თქმით, დამაჯერებლობასაა აგრეთვე მოკლებული პატარა აღსაზრდელის მხატვრული სახე. გ. წერეთლის აზრით, ბავშვი ისე იქცევა და ისეთ შეკითხვებს იძლევა, რაც წარმოუდგენელია მისი ასაკის მოზარდისაგან: „მიწურში გამოჩეკილი პედაგოგ-ფილოსოფოსი თავისსავე შესაფერის პაწია ფილოსოფოსს ყრმას ჰპოებს აღსაზრდელად და თვითონ ეს ყრმაც ხომ უცნაური რამ ამბავია. ჯერ ექვსი წლისაც არ არის და ისეთს ფილოსოფიურ კითხვებს იძლევა, ისეთს კრიტიკას

უშვრება თავის დედ-მამას, რომ დარვინიც განცვიფრდებოდა მის მოქმედებაზე“ (წერეთელი 1894: 9).

ორიოდე სიტყვით შეეხო ნაწარმოებს **კიტა აბაშიძეც**. მან აღნიშნა, რომ ამ დაუმთავრებელი თხზულებიდანაც აშკარაა, რომ ილია კვლავ გამალებით უსმენს ერის გულიცემას და ნაწარმოებში ჩანასახის ფორმით გვაქვს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი - ინტელიგენციის სულიერი ცხოვრების ასახვის თვალსაზრისით: „იქ გამოყვანილი სემინარიელის ტიპი სოლომონი, თმც ჯერ მხოლოდ აღნიშნულია, მაინც ავტორის ჩვეულებრივი ნიჭისა და ხელოვნების საბუთს გვაძლევს... გარდა ამისა, ეს მოთხრობა არის პირველი საყურადღებო ცდა ჩვენ ინტელიგენტთა წოდების სულიერ თვისებათა დახასიათებისა“ (აბაშიძე 1898: 34).

როგორც აღინიშნა, ილიას ეს მოთხრობა აღარ გაუგრძელებია. ვინ იცის, იქნებ ამის ერთი მიზეზი გიორგი წერეთლის მწარე წერილიც იყო. როდასაც ნ. ნათიძეს ილიასათვის უკითხავს, რატომ არ დაასრულე მოთხრობაო, მწერალს უპასუხია: „ცოტა შევტოპეო“ (ლიტერატურული... 1935: 573). როგორც ჩანს მწერალში იმძლავრა შემოქმედებითი თვითცენზურის გრძნობამ და როდესაც მიხვდა, რომ გარემოებათა გამო მოთხრობა მისთვის სასურველ მხატვრულ სიმაღლეს ვერ მიაღწევდა, მის დასრულებაზე უარი განაცხადა.

როგორც ვნახეთ, მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა კრიტიკამ საგანგებო ყურადღება გამოავლინა ილია ჭავჭავაძის პროზის მიმართ. შედარებით ფრაგმენტულია კრიტიკოსთა მსჯელობა მოთხრობების – „მგზავრის წერილები“, „სარჩობელაზედ“ – შესახებ. კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში უფრო მეტად „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“ ექცევა.

„გლახის ნაამბობის“ შესახებ გამორჩეულია თვალსაჩინო პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის ნარკვევი. კრიტიკოსმა ეს თხზულება განიხილა 50-60-იანი წლების რუსული პროზის კონტექსტში და წარმოაჩინა მისი გარკვეული მხატვრული უპირატესობა 50-60-იანი წლების რუსული მწერლობის ცალკეულ ნიმუშებთან შედარებით.

„კაცია ადამიანზე?!“ დაყრდნობით მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში ი. ჭავჭავაძის შემოქმედება ნ. გოგოლის პროზასთან დააკავშირეს. ამ თხზულებაში ერთნი გოგოლის „მკვდარი სულების“ მეორენი კი „მველი ყაიდის აზნაურების“ გავლენას, გოგოლის კილოს, სინამდვილისადმი გოგოლისებურ მიდგომას ხედავენ. მიუხედავად იმისა, რომ მაგ., ალექსანდრე ცაგარლის მოსაზრებებში (გოგოლის გავლენასთან დაკავშირებით) ბევრია სადავო, ფაქტია, რომ სწორედ მან მისცა ბიძგი შემდგომი დროის ლიტერატურათმცოდნეობას, რომ ნაყოფიერი მსჯელობა გაშლილიყო გოგოლისებურზე ქართულ ლიტერატურაში.

ილიას თხზულებათაგან მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის მხრიდან ყველაზე დიდი ინტერესი „ოთარაანთ ქვრიმა“ დაიმსახურა. მემარცხენე კრიტიკოსები აშკარა ანტიპათიით შეხვდნენ სოციალურ ფენათა კონსოლიდაციის ილიასეული იდეას. კრიტიკოსთა ძირითადი შენიშვნები ეხებოდა ნაწარმოების დასათაურებას, ცალკეულ პერსონაჟთა სქემატურობას და ზოგიერთი მონაკვეთის არასათანადო მხატვრულ მოტივირებას. მართალია, ეს შენიშვნები უმრავლეს შემთხვევაში არ არის სამართლიანი, თუმცა საყურადღებო და ანგარიშგასაწევია იმ თვალსაზრისით, რომ გვითვალსაჩინოებს ილიას შემოქმედებისადმი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების მიმართების თავისებურებებს და ზოგად წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ქართული კრიტიკის საერთო დონესა და მიზანდასახულობაზე. „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ გამოქვეყნებული წერილებიდან უდავოდ გამორჩეულია ახალგაზრდა ლიტერატორის სტეფანე ჭრელაშვილის პუბლიკაცია, რომელიც უპირისპირდება მისი წინამორბედი კრიტიკოსების შეფასებებს და რომელშიც სადღეისოდაც საგულისხმო არაერთი დაკვირვებაა წარმოდგენილი. აგრეთვე კიტა აბაშიძის ვრცელი ეტიუდი, რომელშიც, მიუხედავად ზოგიერთი სადავო დებულებისა, ბრწყინვალეააა წარმოჩენილი, რომ ნაწარმოები მოლოდ სოციალურ ფენათა შორის ჩატეხილ ხიდზე კი არ მოგვითხრობს, არამედ აქ დასმულია უზოგადესი პრობლემა ადამიანთა შორის ურთიერთგაუგებრობის, ადამიანის მარტოობისა და ამ აზრით, ეს

ნაწარმოები ილიას პროზისა და საერთოდ ქართული მწერლობის შედევრად გვევლინება.

თავი IV

ილიას „სამი ღვთაებრივი საუნჯე“ და პოსტსაბჭოთა

ქართული ლიტერატურათმცოდნეობა

ილიასმცოდნეობის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საკითხი. აღნიშნულ თემას მწერლის თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკაში მხოლოდ ირიბად და ფრაგმენტულად თუ ეხებიან. მომდევნო პერიოდში, საბჭოთა ეპოქაში კი ილიას მსოფლმხედველობის კვლევამ უაღრესად ტენდენციური ხასიათი შეიძინა. ვითარების გამოსწორების საფუძველი თითქოს უნდა შექმნილიყო პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ მხრივ გარკვეული სამუშაოები შესრულდა კიდევ, თუმცა ილიას ნააზრევის იდეოლოგიზების მცდელობები პოსტსაბჭოთა საქართველოშიც გრძელდება.

წინამდებარე თავში შევხებით ილიას მსოფლმხედველობის საყრდენი ფორმულის – მამული, ენა, სარწმუნოება – ზოგიერთი ასპექტის რეცეფციას პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ აზროვნებაში.

2002 წლის 17 დეკემბერს კავკასიურ სახლში შეკრებილ ინტელექტუალთა ჯგუფში ჩატარდა დისკუსია, რომელიც შემოიფარგლა ილიას მიერ დასახელებული ტრიადით „მამული, ენა, სარწმუნოება“. დისკუსია მიმდინარეობდა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მარჯვე და გამოსადეგია დასახელებული დევიზი ეროვნული თვითიდენტიფიკაციისათვის და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ დევიზს თავად ილიასათვის.

პირველმა ზურაბ კიკნაძემ გამოხატა თავისი პოზიცია. მისი აზრით, სულ რაღაც ორიოდ ათწლეულში ილია უკვე ვეღარ იტყოდა ამ ფორმულას, მას შემდეგ, რაც საქართველოს შემოუერთდა სარწმუნოებრივად განსხვავებული რეგიონი – აჭარა. მეცნიერი პირველ მოცემულობაში „მამული“ ხედავს კონკრეტულ

ტერიტორიას (ლანდშაფტს), მეორე მოცემულობაში „ენა“ ხედავს ამ ტერიტორიაზე განფენილ საკომუნიკაციო საშუალებას, ხოლო მესამეში „სარწმუნოება“ მამულში არსებულ ენაზე აღსასრულებელ რელიგიურ მრწამსს, რაც შეეხება სარწმუნოების უკანა პლანზე გადასვლის საკითხს წერს, რომ „სარწმუნოება ილიასთვის იყო ისტორიული კატეგორია, როგორც განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი, მაგრამ არა ეგზისტენციალური მომენტი ადამიანთა და ერის ცხოვრებაში“ (კიკნაძე, 2005: 50).

კიკნაძის მოსაზრებას მხარი დაუჭირა მერაბ ღაღანიძემ, რომელმაც ცვლილების შეტანის მცდელობას თავად ილიას ნააზრევშივე გაუსვა ხაზი, როდესაც ტრიადის ავტორი წერს: „ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“, ღაღანიძის მოსაზრებით, ილიას მხრიდან ისტორიული ბედის ერთობის განცდას მკაფიო უპირატესობა აქვს მინიჭებული ენასა და სარწმუნოებასთან შედარებით. „სამეული - ენა, მამული, სარწმუნოება - ილია ჭავჭავაძეს არათუ არ განუხილავს, აღარასოდეს მიბრუნებია მას თავის ნაწერებში და, მით უმეტეს, არასოდეს უქცევია საკუთარ, ან ქვეყნისა და ერის სამოქმედო ღოზუნგად“ (ღაღანიძე 2005: 7).

მ. ღაღანიძეს ეროვნული ერთიანობის საფუძვლად ისტორიის მიჩნევა უჩვეულოდ სულაც არ ეჩვენება. იგი ამ პოზიციას ზოგადად ეპოქის სეკულარული დამოკიდებულების გავლენად მიიჩნევს სარწმუნოების მიმართ. ღაღანიძე უფრო მეტი სიმტკიცისთვის იმოწმებს კათალიკოს-პატრიარქის მიმართვას და დადებულ პირობას ქართველი მუსლიმების წინაშე, რომ მათი რელიგიური ხელშეუხებლობა დაცული იქნებოდა. ეს კი, მისი თქმით, კიდევ ერთხელ მოწმობს ეროვნული მთლიანობის იდეიდან სარწმუნოებრივი ფაქტორის გამორიცხვას.

თინათინ ბოლქვაძე მოსაზრებას უპირისპირებს ზემოთ ხსენებულ მეცნიერებს და ამბობს, რომ ილიას მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული ეს ორი აზრი უფრო პოლიტიკური ვითარების ცვლას უჩვენებს, ვიდრე ავტორის ან მეცხრამეტე საუკუნის ინტელექტუალთა მიზნების ცვლას (ბოლქვაძე: 2010:172). უფრო მეტიც, ბოლქვაძეს

დაუშვებლად მიაჩნია, თითქოს ილიას აზრი შეეცვალა საქართველოსთვის ქრისტიანობის მნიშვნელობაზე, მაშინ როცა იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ქრისტიანობის დიდ როლს საქართველოს ისტორიაში.

ტრიადასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა მარიამ ნინიძემ, რომლის მიხედვითაც, ილია მართლის ფრაზაში „მამული, ენა, სარწმუნოება, რომელიც ეროვნულ მოწოდებად იქცა, სარწმუნოება ენისა და მამულის გვირგვინია. იგი ანიჭებს პირველ ორს ღვთაებრივ მადლს და ძალმოსილებას“ (ნინიძე, 2003: 12-13). ნინიძისთვის ეს არის მხატვრულ ლიტერატურაში დამკვიდრებული გრადაციის პრინციპი.

დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ ლევან აბაშიძემ ცოტათი უმართებულოდ მიიჩნია ტრიადის სრულფასოვნებაში დაექვება, პირიქით, მისი აზრით, ეს იყო უდიდესი საქმე, თუნდაც ქართველობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან სარწმუნოების გამორიცხვის ხარჯზე, რის მეშვეობითაც ქართველები და აჭარლები სხვადასხვა ხალხად არ დარჩნენ და სხვადასხვა ერად არ ჩამოყალიბდნენ.

გ. ნოდია მსჯელობს რა ეროვნული ნარატივის თემაზე მიუთითებს, რომ „მამულის, ენისა და სარწმუნოებისათვის ბრძოლაში აჭარლები (და მეგრელებიც) არ ყოფილან ისტორიულად ჩართულნი და რომ ისინი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩართეს სამოციანელებმა. მეტი დამაჯერებლობისათვის იგი ასახელებს ამის მიზეზსაც: „სამი საუკუნის მანძილზე მათ შიდა ერთობას, როგორც თურქეთის ერთ კუთხეში მცხოვრები ნაწილისას განაპირობებდა ქართულის აჭარული დიალექტი“ (ნოდია, 2009: 126).

თ. ბოლქვაძე აზუსტებს ნოდიას მოსაზრებას, რომ ადამიანისთვის მშობლიური ენა გაიგივებულია მის რომელიმე დიალექტთან, აქ არა ცალკე აღებულ, ენისგან გათიშულ დიალექტზეა საუბარი, არამედ იმ ნაწილზე, რომელიც ისევე ქმნის მთელს, როგორც ეს კუთხეა ნაწილი მთლიანი საქართველოსი. და ის ფაქტი, რომ ამ კუთხეში ჯერ კიდევ არ გამქრალა ქართველობა, რასაც უამრავი რამ მოწმობს უკვე ნიშნავს ქართველობის შენარჩუნებისთვის ბრძოლას. იგი წერს: „მამულის, ენისა და

სარწმუნოებისთვის ბრძოლაში მეგრელები სწორედ ისტორიულად იყვნენ ჩართულნი და მათ მაინცდამაინც ილიასა და მისი მხარდამჭერების მხრიდან ჩართვა არ დასჭირდებოდათ“ (ბოლქვაძე, 2010:311).

მარიამ ჩხარტიშვილი ქართველობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან სარწმუნოებრივი როლის შესუსტების ფონზე რელიგიური ელფერის მოჭარბებას ხედავს ილიას შემოქმედებაში. მისი აზრით, „შესაძლებელია, სამშობლოს გრძნობამ შეიძინა რელიგიური ელფერი, რაც ერთგვარ კომპენსაციად შეიძლება ჩაითვალოს“ (ჩხარტიშვილი 2005: 15).

საკითხზე მსჯელობამ დისკუსიაში მონაწილეები შორს წაიყვანა და ბუნებრივია ყველა მოსაზრებას აქ სათითაოდ ვერ განვიხილავთ. მივუბრუნდეთ ტრიადის მნიშვნელობაზე საუბარს. ისტორიულ ჭრილში ლელა პატარიძე საკითხს განიხილავს, როგორც პასუხს კითხვაზე - „ვინ ვართ ჩვენ?“

ვიდრე გაჩნდებოდა სახელწოდება საქართველო ამავე შინაარსის მატარებელი იყო ტერმინი „ქართლი“. ნიშანდობლივია, რომ მერჩულეს ცნობით, ქართლად განისაზღვრებოდა ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულების ტერიტორია. ეს ის პერიოდია, როცა არ არსებობდა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა. პატარიძის აზრით, „არც ეს განსაზღვრება უნდა იყოს განსაკუთრებულად გამძლე ათასწლეულების მანძილზე. მსგავსად ამისა, XIX საუკუნეში ილიასეული დეფინიცია იქმნება სწორედ მაშინ, როცა ასევე არ არსებობს პოლიტიკური ერთიანობა და სუვერენიტეტი. სწორედ მაშინ, როცა ეროვნული მეობის განმსაზღვრელი იდეის მწვავე საჭიროება არსებობს, აქედან გამომდინარე კი მისი შემუშავება უკიდურესად გამართლებულია“ (პატარიძე, 2005: 17).

ტრიადაში სარწმუნოების მესამე ადგილზე გადატანა, გია ნოდის თქმით, „შეესაბამება რელიგიისადმი ერთგვარად ამბივალენტურ დამოკიდებულებას ახლადშობილ ქართულ ნაციონალიზმში, ხოლო ენის, როგორც ეროვნულობის მთავარი ნიშნის, მნიშვნელობაც ქრისტიანობაზე იყო მიბმული, რადგან ქართული

ენის სტატუსი დიდწილად ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ენად ყოფნამ განსაზღვრა“ (ნოდია, 2009: 124-125).

აღნიშნულ დისკუსიას შემდეგში გამოეხმაურა მარსიანი. მისთვის ეს კომპეტენტური ინტელიგენტური განსჯა უნაყოფო აბსტრაქციების შთაბეჭდილებას ტოვებს და წერს, რომ „ტრიადა არავითარ რევიზიას არ საჭიროებს, მაგრამ თუ არ გვაკმაყოფილებს, თავად შევქმნათ უფრო ყოვლისმომცველი ფორმულირება, რომელიც საქართველოს მოქალაქის იდენტობისთვის უფრო გამოსადეგი იქნება“ (მარსიანი, 2005: 25).

ზაალ ანდრონიკაშვილის აზრით, „ილიას ხსენებული ტრიადა იმდენად ქართული იდენტობის ბირთვს არ წარმოადგენს, რამდენადაც სიუჟეტურ ბირთვს, რომელიც თავდაპირველად პირველ ნაწარმოებებში ჩაისახა, შემდეგ კი მის პოლიტიკურ თეორიაში გაიშალა. ილიას სტატიის მიზანი პოლიტიკური თეორიის სიუჟეტის სეკულარიზაციის კონტექსტში განხილვაა“ (მისი შენიშვნით, ილია ჭავჭავაძე სეკულარიზაციის კონტექსტში პირველად ზურაბ კიკნაძემ მოიხსენია) (ანდრონიკაშვილი, 2007: 157).

ილია ჭავჭავაძის ტრიადის თაობაზე ვინფრიდ ბოედერი შენიშნავს, რომ „რელიგია მართალია ქართველთა ცენტრალური ატრიბუტი იყო, მაგრამ ამ ქართული სახელმწიფოსთვის ფუძემდებელი მნიშვნელობა არ ჰქონია, ამავდროულად, საეკლესიო ორიენტაცია საქართველოს შესაბამისი სახელმწიფოებრივი გაერთიანების პოლიტიკურ პროგრამას წარმოადგენს და თავის სფეროს ერთობას განსაზღვრავს ენის თუმცა არ ახდენს ხალხის, ენისა და სარწმუნოების პოსტულირებას“ (ბოედერი, 2005: 57), (საუბარია გიორგი მერჩულეს ცნობილ ფრაზაზე).

გ. ნოდია საუბრობს იდენტობის კიდევ ერთ მარკერზე, რომელიც თვალშისაცემად აკლია ილიას ტრიადას და არც ჩვენ გაგვხსენებია ჯერჯერობით, თუმცა ქართველ ან სხვა ქვეყნების ნაციონალისტთა უმეტესობის გონებაში მას დიდი ადგილი უკავია. ეს არის საერთო წარმომავლობა, „გვარტომობა“, სისხლით ერთობა,

ერი როგორც რასობრივი ერთეული ან როგორც ბევრი თანამედროვე ქართველი იტყვის „ქართული გენი“. თუმცა, მისივე ვარაუდით, „ილიას შემთხვევაში გვარტომობის იმედით ქვეყნის მშენებლობა აბსურდული პროექტი იყო, რადგან საუკუნეების მანძილზე საქართველოში გენები უხვად ირეოდა ერთმანეთში“ (ნოდია, 2009: 126).

მკვლევარებს, რომლებიც გვარტომობას ქართველი ერის ილიასეული კონცეფციიდან გამორიცხულად მიიჩნევენ, მხედველობაში აქვთ ილიას მიერ ქართული იდენტობის მარკერების საკრალურ ტრიადაში გვარტომობის არშეტანის ფაქტი. მაგრამ ისინი ვერ ამჩნევენ იმ გარემოებას, რომ ილია ლაპარაკობს არა უბრალოდ ქართული იდენტობის სამ მარკერზე, არამედ წინა მოდერნის ეპოქიდან წინაპართაგან, ანუ მამა-პაპათა მიერ დატოვებულ სამ მარკერზე.

აქვე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გადაწყვიტა ისტორიული მახსოვრობის, როგორც ფაქტორის გააქტიურება და არა ილიას შეხედულებების გადაფასებამ.

ბუნებრივია, ადამიანი, რომლის ცხოვრების დევიზიც „მოდრაობა და მხოლოდ მოძრაობა“ იყო ვერ შეეგუებოდა თვალეზზე ხელემაფარებულ ქართველობას, რომელსაც სიმართლის დანახვა არ სურდა, იმ სიმართლის, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ერის ყოფნა – არყოფნის საკითხი. როცა ქართული ეროვნული და პატრიოტული გრძნობები მიძინებული იყო, სწორედ ილია შეეცადა ერის გამოღვიძებას გმირული ისტორიის შეხსენებით.

1888 წლის მეთაურ წერილში ილია წერდა: „ქართველმა ქრისტიანულ სარწმუნოებას შეუერთა ძველი აღთქმიდან ყოველივე რაც არასდროს დამველდება - მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა მამულის ანუ საქართველოს დაცვად და მამულის დაცვა რჯულის დაცვად გადაიქცა“.

1892 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ილია წერს: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული

სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდე დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენი ცხოვრებისას“ (ჭავჭავაძე 1941: 91).

ზურაბ კიკნაძეს ნათქვამთან დაპირისპირებაში მოჰყავს სამოციან წლებში ილიასვე ნათქვამი სიტყვები: „მრავალი წელიწადია, რაც ჩვენ საზოგადოებას ერთი ცოცხალი აზრი ერთი ფხიზელი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. ასეთნაირად დავნამცევდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც“ დავანამცევთ. მამული ერთობ ჩვენ სამშობლო ქვეყანას კი არ ნიშნავდა, არამედ თვითეულს სოფლის საკუთრებას. არ იქნება ხუთი წელიწადი, რაც მაგ საოცარმა საყვარელმა სიტყვამ, რომლის ხსენებაზედ სხვა ბედნიერ ქვეყნებში უღონოსაც გული მიეცემა ხოლმე და მტლად დაედება საყვარელს მამულს, არ იქნება ხუთი წელიწადი, რაც მაგ სასწაულმოქმედმა სიტყვამ დაკარგული მნიშვნელობა ჩვენში ისევ დაიბრუნა, ღმერთმა უშველოს „ცისკარს“, ეგ მისი მეოხება არის!“ (1862).

კიკნაძის მტკიცებით „მამულის“ „გულთმიმზიდველი“ და „დიდებული“ მნიშვნელობები „ცისკრის“ გამოჩენამდეც არსებობდა, მაგრამ თუკი ილია სამოციან წლებს მიაწერს მის „გამობრწყინებას“, იგი ამ სიტყვის არა პირველ „ბიოლოგიურ“ არამედ ახალ სულიერ დაბადებას უნდა გულისხმობდეს...ჩანს ილიას სურს დაინახოს თვისობრივი, სიღრმისეული განსხვავება თავის მამულსა და მამების მამულს შორის“ (კიკნაძე, 2005:29).

მეცნიერი ზოგადად მიმოიხილავს „მამულის“ გენეალოგიას.

1) კლასიკურ ხანაში (X-XI სს) მამული და სამეფო სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებად შეიძლება ჩაითვალოს. ამ პერიოდში მამული ის მემკვიდრეობაა,

რომელიც მამა მეფემ უანდერძა შვილ მეფეს. ამის დასტურად მას მოჰყავს ივ. ჯავახიშვილის ფრაზა: „მეფობაი მამული და ახლადმოგებული ღუაწლითა ჩემითაი“, ასევე დავით აღმაშენებლის ისტორიაში ნათქვამ ფრაზაზე ალ. მაკდონელის შესახებ: „მან პირველად მამულისა თვისისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავლისანი ევროპი“. ორივე დასახელებულ შემთხვევაში საუბარია მამისგან ნაანდერძე ქვეყანაზე.

კიკნაძე აქვე შენიშნავს, რომ ეს ფაქტები სრულებით არ გამორიცხავს „მამულის“ ამგვარი ფართო მნიშვნელობის გვერდით მისი ვიწრო მნიშვნელობით გაგების არსებობასაც, ასახელებს კიდევ რამდენიმე მაგალითს.

ამის ფონზე ზ. კიკნაძე სვამს კითხვას „ჰქონდა თუ არა „მამულს“ ისეთი „გულთმიმზიდველი“ მნიშვნელობა კლასიკურ ხანაში, რომელიც შემდგომში დაეკარგა და რომლის ხელახალ გამობრწყინებაზე საუბრობს ილია ჭავჭავაძე“?

2) მანამ, სანამ გაჩნდებოდა ილიას „მამული, ენა, სარწმუნოება“ იყო გრ. ორბელიანის მიერ წარმოთქმული „ენა, საყდარი, სარწმუნოება“ და თ-დ ივანე აფხაზისგან გაგონილი (ურუხის რედუტში) „მამული, სარწმუნოება, მეფე“ 1831 წელს ილიას შემდეგ კი იყო ა.ჯორჯაძის „ენა, მიწა, სარწმუნოება“.

3) ილიამდე მამულის არსებობას მოწმობს ვ. ორბელიანის პოეზიაც, თუმცა აქ საქმე მამულის კერძო გამოხატულებას (დმანისი) და ამავედროულად, ილიასგან განსხვავებით უიმედო, უმომავლო, პესიმისტურ დამოკიდებულებასთან გვაქვს: „გაქრი დმანისო და დაინთქე უფსკრულსა შინა“.

4) სამეფოსა და მამულის სინონიმური გაგება XVIII საუკუნის ბოლომდე არსებობდა, რაც კარგად ჩანს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში. „ბედი ქართლისას“ დასაწყისში ნათქვამი „მწყემსო კეთილო შენს წმინდა სამწყსოს, შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს“ (ნ.ბარათაშვილი).

5) 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგიურ ნაშრომში „სიყვარული მამულისა“ მოცემულია ფილადელფოს კიკნაძისეული მამულის გაგების ძალზე საინტერესო განსაზღვრება. მისთვის, როგორც სასულიერო პირისთვის მამული პირველ რიგში,

არის „ჭეშმარიტი იგი ზეციერი“, რომელიც ყველა ქრისტიანმა უნდა მოიპოვოს. მამული არის ასევე ამ ქვეყნიერზე ქვეყნიერი მამისგან ნაანდერძევი და მესამე, არსებობს მამული, რომელიც მიღებულია უშუალო წინაპრისგან (კერძო საკუთრების სახით) (კიკნაძე, 2005: 34).

5) მივედით მამულის ილიასეულ გაგებამდე.

XIX საუკუნეში ეროვნული თვითშეგნების შესუსტებასთან ერთად შეიცვალა მამულისადმი დამოკიდებულებაც. დაკნინდა მისი ღირებულებითი მნიშვნელობა „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე... მამულის სიმაღლე „ტყრუშული ღობეა“ ... მამულის პატივი - ნეხვია“.

ზ. კიკნაძე ილიას ამ განმარტებას უპირისპირებს ფ. კიკნაძისეულ განმარტებას, რომელიც სწორედ „კერძო ქოხის სიყვარულით იწყება და შემდეგ მამულამდე განზოგადდება. ადამიანი მზად არის თავი გასწიროს ქოხისთვის, რადგან ქოხი მისია და მასშია, ზუსტად ისე, როგორც მამულია მამულიშვილში. მისი აზრით, აქ საქმე გვაქვს ილიას მსჯელობის ნაკლთან, რადგან სწორედ „ტყრუშილი მამულით“ უნდა დაიწყოს კაცმა სიყვარული და მისთვის თავგასაწირად უნდა იყოს მზად, რომ შემდგომში ილიას ნაოცნებარი მამულისთვის თავგანწირვამდე ამაღლდეს.

ილიას მიერ მოცემული მამულის საკმაოდ ფართო განმარტებიდან 40 წლის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ამბობს: „ქართველ ხალხს შეურყევლად შერჩენია ორი რამ: მიწა და ენა“. აქ აღარსად არის ნახსენები სარწმუნოება, რადგან ის თავისი არააქტუალური მნიშვნელობიდან გამომდინარე აღარ შედის ერის განმსაზღვრელ მარკერებში, მეორე მხრივ, მამულის ნაცვლად გვაქვს „მიწა“, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მას შემდეგ, რაც ილიამ მთელი ცხოვრება მიუძღვნა ერის გამოცოცხლებასა და ეროვნულობის იდეას, მაინც დამდგარა ერის ცხოვრებაში დრო, როცა მამული მიწად, როგორც არსებობის, მატერიალური ფუფუნების მისაღწევ აუცილებელ პირობად ქცეულა და ისევ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

რაც შეეხება იდენტობის დანარჩენ ორ მარკერს, გვსურს მოკლედ შევხვით და ამ შემთხვევაში მხოლოდ მნიშვნელოვან ფაქტებს გადავავლოთ თვალი ლიტერატურული კუთხით.

საქართველოს ისტორიულ ასპარეზზე ენის როლი ყოველთვის უმნიშვნელოვანესი იყო, უფრო მეტიც, იგი ეროვნულობის მთავარი ინდიკატორად მოიაზრებოდა. „ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველიადესრულების, ხოლო კვრიელესონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო წყალობა-ყავ“, გინა თუ: „უფალო, შეგვიწყალებ“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ენის, როგორც იდენტობის მარკერის მნიშვნელობაზე საუბრისას მ. ჩხარტიშვილი წერს: „ეს მარკერი მაქსიმალურად უწყობდა ხელს შიდა ჯგუფური შეჭიდულობის განმტკიცებას და გარეგან დასაზღვრას. ამგვარად ენა უკავშირდება როგორც ნაციონალური ერთიანობის იდეალებს. კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ერთობის ისეთი მოდელისათვის, როგორიცაა ეთნიკი, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ენობრივი ვარიაციები ანუ დიალექტები, მაგრამ ნაციონალისთვის, როგორც საჯარო კულტურის მქონე ერთობის მოდელისთვის, ნიშანდობლივია ენობრივი ნორმა. ერთობის ნაციონალური მოდელი გულისხმობს ინტენსიურ ურთიერთობებს რეგიონებს, სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის. ამისთვის საჭიროა ერთიანი ლინგვისტური კოდი ანუ სტანდარტიზებული ენა. ენა როგორც კომუნიკაციის მედიუმში, ემსახურება არა მარტო კულტურის ცირკულაციას, არამედ ნაციონალისტური იდეებისა და სენტიმენტების მატარებელ სახელმწიფო იდეოლოგიის გავრცელებასაც“ (ჩხარტიშვილი 2007: 230).

„ძველი და ახალი ნაციონალისტები - წერს კიკნაძე, - სხვადასხვაგვარად უდგებოდნენ ენის საკითხს. ძველი თაობის ნაციონალიზმი ძველი სალიტერატურო ენისკენ იხრებოდა, ახალი - ახალი სალაპარაკო ენისკენ... ენის დევნამ და დისკრედიტაციამ რუსული მმართველობის შემოღების ეპოქაში, პარადოქსია, მაგრამ

საკრალურობა შესძინა მას... ერის კონსოლიდაციის საქმეში ილიას ეპოქის მთავარი ამოცანა ქართული ენის აღორძინება იყო“.

რა გზებით შეიძლებოდა მომხდარიყო ქართული ენის ხელახალი ემანსიპაცია, მისი ფუნქციების გაფართოება და იმ არსებული ზოგადი სურათის შეცვლა, რაც რეალურად იდგა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში?

ილიასა და მის გარშემო შემოკრებილთა ძალისხმევით დიდი ჭიდილის შემდეგ, რუსეთის მმართველობამ დაწყებით განათლებაში დაუშვა ადგილობრივ ენათა გამოყენება, თუმცა ქართული სწავლების ენად დამკვიდრების საქმე არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. მაგალითად, 1877 წელს „ივერია“ წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ თფილისის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებელი ქართულისთვის დათმობილ დროსაც რუსულს სამღვთო ისტორიასა და სხვა საგნებს ანდომებსო...“ (საქართველოს მატთანე 1877: 4).

თვით სასულიერო პირებიც კი გულგრილობას იჩენდნენ სასწავლებლებში ქართულის ჯეროვნად სწავლებისადმი.

ასევე ჭირდა ქართულენოვანი სწავლების დამკვიდრება საქალაქო სასწავლებლებშიც: „მთავარი პრობლემა მაინც ის არის, რომ სასწავლო სქემაში ქართული ვერ შედის. „თავიდან ბოლომდე, რომ წაიკითხოთ სწავლების სქემა ერთ სიტყვასაც ვერ იპოვით ქართული ენის შესახებ. კვირაში ორი გაკვეთილია, ისიც შუადღის პირველი საათიდან მეორე საათამდის...ეს ორი გაკვეთილიც კვირაში ისე უსულოთ და ამაგებით მიდის, რომ მოწაფეებს ეკარგება ხალისი არამც თუ ქართულის ენის გაკვეთილის შესწავლისა, არამედ ქართულის წიგნების კითხვისაც“ (ორიოდე სიტყვა საქალაქო სასწავლებელზე, 1877: 9).

ამ უკიდურესად რთული მდგომარეობიდან გამოსავალი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იპოვა. შეიმუშავა ექვსკლასიანი სასოფლო სკოლების პროგრამა, სადაც სწავლების ენა ქართული უნდა ყოფილიყო, ხოლო რუსული ენის სწავლება მესამე კლასიდან უნდა დაეწყოთ.

პროცესი მართლაც წარმატებით წარიმართა, ბუნებრივია, გარკვეული სირთულეების ფონზე, მაგრამ რაც მთავარია საფუძველი შეექმნა მეოცე საუკუნეში ქართულ ენის სახელმწიფო სტატუსის მოპოვებას.

1860 წელს გამოქვეყნდა ილიას წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედა“. ენის სიწმინდესა და ღირსებაზე საუბრისას ილია წერს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამღთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხო. იქნება ჩვენც ამ სტატიაში ბევრი შევსცოდეთ ჩვენს საყვარელს ენასა, მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ. მაგის განხილვა მკითხველის ნებაა. ჩვენის მხრით ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგად არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრება და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ. დასასრულ, თუ მკითხველი ეყოლება ჩვენ სტატიას, მასთან ბოდიშს ვითხოვთ ჩვენ: იქნება იგი ჩვენს სტატიაში ერთს ჭკვიანურს განხილვას ელოდა და ვერა ჰპოვა. რა ვუყოთ? როგორიც მღვდელია, ისეთიც ერიო, ამბობს ქართული ანდაზა. როგორიც პოემა იყო ნათარგმნი, იმისთანაც, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, განმხილავიც შეჰხვდა. ჩვენ ჩვენის ენის დამცირებამ დაგვაწერინა ეს სტატია, თორემ ჩვენ ვინა და კალამი ვინა“ (ჭავჭავაძე: 1991: 31-32).

თეიმურაზ დოიაშვილი წერს, რომ ეს იყო უძრაობის იდეოლოგიის (ჩინეთის ფილოსოფია) განაჩენი ილიას მხრიდან. „ძველი, კონსერვატორული მსოფლმხედველობის თაობა ვერ ამჩნევდა, ან არ სურდა დაენახა ცვლილებანი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის მწერლობაშიც და ახალ, თვისებრივად განსხვავებულ ეპოქაში გარდასული ხანის ესთეტიკისა და პოეტიკის ერთგულებას ქადაგებდა... „ორიოდ სიტყვა“, როგორც ლიტერატურული მანიფესტი, ააშკარავებდა

ძველი ესთეტიკური წარმოდგენების შეუთავსებლობას თანამედროვეობასთან, ასაბუთებდა, რომ აწმყოში წარსულის კანონებით ცხოვრება შეუძლებელია“.

ილია ენასთან დაკავშირებით არა ნაკლებ კატეგორიულია ლექსში „პასუხის პასუხი“: „მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის, მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა, მაგრამა გმობა ენისა მტრობა, ბრალა ვის დავადვით, ჩვენა თუ თქვენა?“

წერილში „ზოგიერთი რამ“ ილია ძველად ქართველთა ერთობის, ერთიანი ეროვნული ცნობიერების საფუძვლად ქართულ ენას მიიჩნევს და წერს, რომ ქართველობას „ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია“, შემდეგ იგი საუბრობს კუთხურობაზე, როგორც დამღუპველ მოვლენაზე.

მისი მწუხარების მიზეზი გათითოვანებული ქართველობაა. „მართალია კუთხურობა ყველა ერისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ არა ასეთი სიმძაფრით. იგი მაგალითისთვის ასახელებს მარსელში მცხოვრებ ფრანგს, რომელიც ფრანგის კითხვაზე სადაური ხარ? - უპასუხებს მარსელელიო, მაგრამ უცხო ქვეყნელს ეტყვის, ფრანგი ვარო. ილიას შეფასებით სწორედ ეს ნიშნავს: „მე ყველასთვის და ყველა ჩემთვის, რომ ჩემი ძალა ხალხის ძალაა, ჩემი სიკეთე ხალხის სიკეთე, ჩემი სისხლი ყოველის ფრანციელის სისხლთან ერთად დუღსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების მარღვი ჩემის ცხოვრების მარღვიაო, და თუ გინდაო, ყოველის ფრანციელის ავად თუ კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან - ჩემი ხალხის წყენააო, და ჩემი ხალხის წყენა - ჩემი საკუთარი წყენააო“.

ილიას აზრით, კუთხურობის გაძლიერებამ ერთმანეთის გაუცხოება გამოიწვია და ამან კი ენაზეც, როგორც ერთადერთ იმედზე მოახდინა დიდი გავლენა, იგი წერს: „ჩვენ ყოველ სფეროში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავ-თავდა. ამიტომ ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი, ორპირი შეიქმნა... სადღა არის ქართული ენა? ან გვინდა ქართული, როცა ჩვენ თვითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოვატქმევინებთ? (ზოგიერთ რამ).

როგორც ვხედავთ, პოსტსაბჭოთა სინამდვილეში ქართველ ინტელექტუალთა ნაწილში თავი იჩინა მისწრაფებამ ილიასეული ფორმულის „მამული, ენა, სარწმუნოება“ დამცრობისაკენ, მისი შემთხვევით ფრაზად გამოცხადებისაკენ. ეს ავტორები აღნიშნავენ, თითქოს ილიას აღარსად გაუმეორებია ეს სიტყვები და მოღვაწეობის შემდეგ ეტაპზე მან დაკარგა სახელმძღვანელო მნიშვნელობა ილიასათვის.

ეს, რა თქმა უნდა, არაა სწორი მოსაზრება. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ფორმულა „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჩნდება არა ილიას ერთ-ერთი რიგით პუბლიკაციაში, არამედ მის **საპროგრამო წერილში**, რომლითაც ჭაბუკი ილია წარდგა ქართველი საზოგადოების წინაშე. რაც შეეხება იმას, რომ სარწმუნოებრივი ფაქტორი ილიამ უკან გადაწია იმ პუბლიკაციებში, რომლებიც აჭარის საქართველოსთვის დაბრუნებას ეხება, ეს სრულიად გასაგები მოვლენაა. ასეთ დროს სარწმუნოებრივი ასპექტის წინ წამოწევა, მისი გამიჯნეობა ცხადია შეიქმნებოდა დამაბრკოლებელ ფაქტორად მუსლიმ ქართველებთან უერთიერთობაში და ეს შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული არა მარტო ილიას, არამედ იმ დროის ღირსეულ სასულიერო პირებსაც. შემდგომ პუბლიკაციებში (მაგ., წერილში „ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“) ილია კვლავ დაუბრუნდა სარწმუნოებას, როგორც ერის სულიერ-ზნეობრივი და მოქალაქეობრივი მთლიანობის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს და წარმოაჩინა მამულის, ენისა და სარწმუნოების საერთო, ფუნდამენტური მნიშვნელობა ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის.

დასკვნა

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში საინტერესო და საყურადღებო მოსაზრებები გამოითქვა. მართალია, კრიტიკოსთა მსჯელობას ზოგჯერ ტენდენციური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მათი ნააზრევს გათვალისწინება მაინც აუცილებელია როგორც ილიასმცოდნეობის, ასევე ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში ილიას ლირიკული პოეზიის ირგვლივ ორი ძირითადი თვალსაზრისი გამოიკვეთა. ერთი შეხედულების მიხედვით (რომელსაც მცირედით გასხვავებული ინტერპრეტაციებით გამოთქვამდნენ ა. ფურცელაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. ხუნდაძე და სხ.) ილიას აკლდა ჭეშმარიტი ლირიკოსის ტალანტი. მას საყვედურობდნენ ლექსების არა მუსიკალურობას (გ. ბარათაშვილი, ბ. ჯორჯაძე), ნაძალადეობას, გადაჭარბებულ მჭევრმეტყველურობას, სიტყვების დამახინჯებასა და რიტმის დარღვევას. არათანმიმდევრულობას იჩენდნენ ილიას ლირიკის შეფასების საკითხში ანტონ ფურცელაძე და ნიკო ნიკოლაძე, რომელთა მსჯელობაც შინაგანი წინააღმდეგობით იყო აღბეჭდილი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ შეხედულებათა დიდი ნაწილი პოლემიკის ფარგლებში გამოითქვა, ისეთი პოლემიკის, რომლის ერთი მონაწილე და მხარე ილია ჭავჭავაძე იყო. შესაბამისად, კრიტიკოსთა ნაწილი ილიას ლექსების შეფასებისას წინდაწინ შემუშავებული თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქართულმა კრიტიკამ იმთავითვე შენიშნა აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის პოეზიის განსხვავებული ბუნება და ზოგიერთები მიმართავდნენ ამ ორი ხელოვანის შეპირისპირებას მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით (ა. ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე, ზ. ჭიჭინაძე).

კრიტიკოსთა მეორე ნაწილი ილია ჭავჭავაძეს ჭეშმარიტი ლირიკოსის ტალანტით დაჯილდოებულ პოეტად მიიჩნევდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. ბერძნიშვილის, ა. ცაგარელის, მ. ნასიძის, კ. აბაშიძის წერილები. ალ. ცაგარელი ყურადღებას ამახვილებდა ილია ჭავჭავაძის, როგორც ლირიკოსის გამორჩეულ თვისებებზე, ფსიქოლოგიურ სიზუსტესა და პოეტური ფრაზის ენერგიულობაზე.

საგულისხმოა კრიტიკოსთა შეხედულებები ლიტერატურულ ტრადიციასთან ილიას დამოკიდებულების საკითხზე. აკაკი წერეთლის აზრით, ილია ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ მემკვიდრედ გვევლინება. აკაკი ილიას სახელს რუსთველისა და ბარათაშვილის სახელთა გვერდით მოიხსენიებს და მათ თანასწორ პოეტურ ფიგურად მიიჩნევს, მუხედავად ილიას პოეზიის ბუნების მიუღებლობისა.

ილია ჭავჭავაძის ლირიკის შესახებ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში გამოთქმულ მოსაზრებებს, მართალია, ზოგჯერ აკლდა კონკრეტული ხასიათი და უფრო ზოგადი განაცხადის სფეროში რჩებოდა, თუმცა მათი გათვალისწინება მაინც აუცილებელი დარგის ისტორიისათვის.

ილიას პოეტური ეპოსის ნიმუშებიდან მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა კრიტიკამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორ პოემას: „მეფე დიმიტრი თავდადებულსა“ და „განდეგილს“. ილიას სხვა პოემებს კრიტიკოსები მხოლოდ თუ ასახელებენ, როგორც ილიას მხატვრული ოსტატობის ნიმუშებს.

„მეფე დიმიტრი თავდადებული“ ლიტერატურული კრიტიკის მხრიდან არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული. ილიას პოემა მემარცხენე მიმართულების კრიტიკოსთა უკმაყოფილების საგნად იქცა. ილიას უსაყვედურეს ფეოდალური მონარქიის აპოლოგეტობა, წარსულის იდეალიზაცია, თანამედროვეობის თემატიკისადმი გულგრილობა. გ. თუმანიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და ს. ხუნდაძე მიიჩნევდნენ, რომ დიმიტრი არ არის მისაბამი და გაუზიარავი სახე, რამდენადაც იგი თავს სწირავს არა საკუთარი ნებით, არამედ სხვათა რჩევის შედეგად. ს. ხუნდაძემ პოემა დაიწუნა ვერსიფიკაციული თვალსაზრისითაც. „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ შესახებ შექმნილ კრიტიკულ ლიტერატურაში გამორჩეულია გრ.

ვოლსკის წერილი, რომელშიც გათვალისწინებული და არგუმენტირებულად გაკრიტიკებულია წინამორბედი კრიტიკოსების მსჯელობა. გრ. ვოლსკიმ შესანიშნავად წარმოაჩინა ილიას მიერ მოწოდებული დრამატიზმის არსი, მეფის შინაგან სამყაროში მიმდინარე ბრძოლა ზნეობრივ მოვალეობასა და სიცოცხლის შენარჩუნების ბუნებრივ ინსტინქტს შორის.

მეორე პოემა, რომელსაც ლიტერატურულმა კრიტიკამ საგანგებო ყურადღება დაუთმო, იყო „განდეგილი“. ეს ნაწარმოების კრიტიკოსთა მიერ ილიას შემოქმედებაში ახალი ეტაპის დასაწყისად იქნა მიჩნეული. ქართული კრიტიკა ერთგვარად დააბნია ტენდენციის განსახიერების იმ ფორმამ, რომელსაც ვხვდებით „განდეგილში“ და ამიტომაც იგი შეცდომით მიჩნეულ იქნა „უტენდენციო“ ნაწარმოებად (დ. კეზელი, ბოსლეველი). ილიას უსაყვედურეს თანამედროვეობის პრობლემებისაგან დისტანცირება და განდეგილი ბერის „უსაგნო ცხოვრების“ აპოლოგია. მეცხრამეტე საუკუნეში „განდეგილის“ შესახებ შექმნილ ლიტერატურაში სრულიად გამორჩეული ახალგაზრდა კრიტიკოსის კიტა აბაშიძის ნარკვევი. შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის კრიტიკოსთაგან ყველაზე მეტად კიტა აბაშიძე მიუახლოვდა პოემის სათქმელს. მან „განდეგილი“ ევროპული მწერლობის სხვა თხზულებებთან (ე. ზოლას „აბე მურეს შეცოდება“, გ. ფლობერის „წმინდა ანტონის ცდუნებანი“, მ. ლერმონტოვის „მწირი“) კავშირში განიხილა და ამგვარად საფუძველი დაუდო „განდეგილის“ კომპარატივისტულ კვლევას.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა კრიტიკამ საგანგებო ყურადღება გამოავლინა ილია ჭავჭავაძის პროზის მიმართ. შედარებით ფრაგმენტულია კრიტიკოსთა მსჯელობა მოთხრობების – „მგზავრის წერილების“, „სარჩობელაზედ“ – შესახებ. კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში უფრო მეტად „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“ მოექცა.

„გლახის ნაამბობის“ შესახებ გამორჩეულია თვალსაჩინო პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის ნარკვევი. კრიტიკოსმა ეს თხზულება განიხილა 50-60-იანი წლების რუსული პროზის კონტექსტში და წარმოაჩინა მისი გარკვეული მხატვრული

უპირატესობა 50-60-იანი წლების რუსული მწერლობის ცალკეულ ნიმუშებთან შედარებით.

„კაცია ადამიანზე?!“ დაყრდნობით მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში ი. ჭავჭავაძის შემოქმედება ნ. გოგოლის პროზასთან დააკავშირეს. ამ თხზულებაში ერთნი გოგოლის „მკვდარი სულების“, მეორენი კი „ძველი ყაიდის აზნაურების“ გავლენას, გოგოლის კილოს, სინამდვილისადმი გოგოლისებურ მიდგომას ხედავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მაგ., ალექსანდრე ცაგარლის მოსაზრებებში (გოგოლის გავლენასთან დაკავშირებით) ბევრია სადავო, ფაქტია, რომ სწორედ მან მისცა ბიბეი შემდგომი დროის ლიტერატურათმცოდნეობას, რომ ნაყოფიერი მსჯელობა გაშლილიყო გოგოლისებურზე ქართულ ლიტერატურაში.

ილიას თხზულებათაგან მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის მხრიდან ყველაზე დიდი ინტერესი „ოთარაანთ ქვრივა“ დაიმსახურა. მემარცხენე კრიტიკოსები აშკარა ანტიპათიით შეხვდნენ სოციალურ ფენათა კონსოლიდაციის ილიასეული იდეას. კრიტიკოსთა ძირითადი შენიშვნები ეხებოდა ნაწარმოების დასათაურებას, ცალკეულ პერსონაჟთა სქემატურობას და ზოგიერთი მონაკვეთის არასათანადო მხატვრულ მოტივირებას. მართალია, ეს შენიშვნები უმრავლეს შემთხვევაში არ არის სამართლიანი, თუმცა საყურადღებო და ანგარიშგასაწევია იმ თვალსაზრისით, რომ გვითვალსაჩინოებს ილიას შემოქმედებისადმი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების მიმართების თავისებურებებს და ზოგად წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ქართული კრიტიკის საერთო დონესა და მიზანდასახულობაზე. „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ გამოქვეყნებული წერილებიდან უდავოდ გამორჩეულია ახალგაზრდა ლიტერატორის სტეფანე ჭრელაშვილის პუბლიკაცია, რომელიც უპირისპირდება მისი წინამორბედი კრიტიკოსების შეფასებებს და რომელშიც სადღეისოდაც საგულისხმო არაერთი დაკვირვებაა წარმოდგენილი. აგრეთვე კიტა აბაშიძის ვრცელი ეტიუდი, რომელშიც, მიუხედავად ზოგიერთი სადავო დებულებისა, ბრწყინვალეააა წარმოჩენილი, რომ ნაწარმოები მოლოდ სოციალურ ფენათა შორის

ჩატეხილ ხიდზე კი არ მოგვითხოვს, არამედ აქ დასმულია უზოგადესი პრობლემა ადამიანთა შორის ურთიერთგაუგებრობის, ადამიანის მარტოობისა და ამ აზრით, ეს ნაწარმოები ილიას პროზისა და საერთოდ ქართული მწერლობის შედეგად გვევლინება.

ილიასმცოდნეობის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საკითხი. აღნიშნულ საკითხს მწერლის თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკაში მხოლოდ ირიბად და ფრაგმენტულად თუ ეხებიან. მომდევნო პერიოდში, საბჭოთა ეპოქაში კი ილიას მსოფლმხედველობის კვლევამ უაღრესად ტენდენციური ხასიათი შეიძინა. ვითარების გამოსწორების საფუძველი თითქოს უნდა შექმნილიყო პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ მხრივ გარკვეული სამუშაოები შესრულდა კიდევ, თუმცა ილიას ნააზრევის იდეოლოგიზების მცდელობები პოსტსაბჭოთა საქართველოშიც გრძელდება.

პოსტსაბჭოთა სინამდვილეში ქართველ ინტელექტუალთა ნაწილში თავი იჩინა მისწრაფებამ ილიასეული ფორმულის „მამული, ენა, სარწმუნოება“ დამცრობისაკენ, მისი შემთხვევით ფრაზად გამოცხადებისაკენ. ეს ნეოლიბერალური იდეოლოგიის ავტორები აღნიშნავენ, თითქოს ილიას აღარსად გაუმეორებია ეს სიტყვები და მოღვაწეობის შემდეგ ეტაპზე მან დაკარგა სახელმძღვანელო მნიშვნელობა ილიასათვის.

სინამდვილეში ფორმულა „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჩნდება არა ილიას ერთ-ერთი რიგით პუბლიკაციაში, არამედ მის საპროგრამო წერილში, რომლითაც ჭაბუკი ილია წარდგა ქართველი საზოგადოების წინაშე. რაც შეეხება იმას, რომ სარწმუნოებრივი ფაქტორი ილიამ უკან გადაწია იმ პუბლიკაციებში, რომლებიც აჭარის საქართველოსთვის დაბრუნებას ეხება, ეს სრულიად გასაგები მოვლენაა. ასეთ დროს სარწმუნოებრივი ასპექტის წინ წამოწევა, მისი გამიჯნობა, ცხადია, შეიქმნებოდა დამაბრკოლებელ ფაქტორად მუსლიმ ქართველებთან ურთიერთობაში და ეს შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული არა მარტო ილიას,

არამედ იმ დროის ღირსეულ სასულიერო პირებსაც. შემდგომ პუბლიკაციებში (მაგ., წერილში „ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი“) ილია კვლავ დაუბრუნდა სარწმუნოებას, როგორც ერის სულიერ-ზნეობრივი და მოქალაქეობრივი მთლიანობის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს და წარმოაჩინა მამულის, ენისა და სარწმუნოების საერთო, ფუნდამენტური მნიშვნელობა ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. **აბაშიძე 1896:** აბაშიძე, კ., „განდეგილი“ - პოემა თ-ი ილია ჭავჭავაძისა, „მოამბე“, 1896. - N9, განყ. II.
2. **აბაშიძე 1898:** აბაშიძე კ., „ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან: თ-დი ილია ჭავჭავაძე“, ჟურნ. „მოამბე“, 1898, # 8-9.
3. **აბაშიძე 2005:** აბაშიძე გ., ილია ჭავჭავაძე: (ცხოვრება და ღვაწლი), თბილისი, 2005.
4. **არახამია 2005:** არახამია ნ., ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, თბილისი, 2005.
5. **ბარათაშვილი 1861:** ბარათაშვილი გ., წერილი რედაქტორთან, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, ტ., I, თბილისი, 1954.
6. **ბერძნიშვილი 1857:** ბერძნიშვილი ნ., „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ“, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, 1, თბილისი, 1954.
7. **ბოედერი 2005:** ბოედერი ვ., ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005.
8. **ბოლქვაძე 2010:** ბოლქვაძე თ., ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა, ილიას „ივერია“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2010.
9. **ბოცვაძე 1977:** ბოცვაძე ი., ილია ჭავჭავაძე რევოლუციამდე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბილისი, 1977.
10. **დავითაშვილი 1887:** დავითაშვილი შ. „ჩატეხილი ხიდი“: „ოთარაანთ ქვრივის“ -ს ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ / მკითხველის შენიშვნები. ტფილისი, გრ. ჩარკვიანის სტამბა, 1887.
11. **დოიაშვილი 1999:** დოიაშვილი თ., ვერსიფიკაციული პორტრეტები, თბილისი, 1999.

12. **ვახანია 1951:** ვახანია ვ., ჭავჭავაძის პირველი რეცენზენტი: (ა. ფურცელაძე), გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951.
13. **ვოლსკი გრ.,** (უმწიფარიძე), შენიშვნა უფ ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა „დიმიტრი თავდადებული“, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
14. **ზანდუკელი 1965:** ზანდუკელი მ., ილია ჭავჭავაძე ნიკო ნიკოლაძის კრიტიკის შუქზე, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 114, 1965.
15. **თუმანიშვილი 1879:** თუმანიშვილი გ., შარანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
16. **ი-ნი ამერი 1894:** ი-ნი ამერი: თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, კრებულში: ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბილისი, 1957.
17. **კალანდია 1998:** კალანდია თ., ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და 900-იანი წლების ქართული პრესა, ჟურნ. „კრიტიკა“, 1998.
18. **კეზელი 1883:** კეზელი დ., (დ. სოსლანი), საკვირაო მასლაათი, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
19. **კეზელი 1888:** სოსლანი, დ. [კეზელი დავით]. კრიტიკული განხილვა „ოთარანთ ქვრივისა“: (მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა). ტფილისი, მიხელსონის სტამბა, 1888.
20. **კიკნაძე 1957:** კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1956.
21. **კიკნაძე 2005:** კიკნაძე ზ., ილიას მამული, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005.

22. **მანსვეტაშვილი 1987:** მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი, წიგნში: მოგონებები გარდასულ დღეთა - ილია, თბილისი, „მერანი“, 1987.
23. **მარსიანი 2005:** მარსიანი, გამოხმაურება დისკუსიაზე „მამული, ენა, სარწმუნოება“, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005.
24. **მახარაძე 1898:** მახარაძე ფ., საიუბილეო ბროშურა (მცირე შენიშვა ბ-ნ მეგახლავარის წიგნაკის გამო), წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
25. **მემანიშვილი 2009:** მემანიშვილი ხ., ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მუშაობის ინდივიდუალური მანერა და სტილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
26. **მეუნარგია 1883:** მეუნარგია ი., „განდეგილი“ - პოემა ილია ჭავჭავაძისა, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
27. **მინაშვილი 1995:** მინაშვილი ლ., ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1995.
28. **მინაშვილი 2018:** მინაშვილი ლ. მწერლის იდეური ჩანაფიქრის გამოხატვის თავისებურება ილია ჭავჭავაძის პროზაში, ჟურნ. „მწიგნობარი“, #18, 2018.
29. **მჭედლიძე 1883:** მჭედლიძე ე. (ბოსლეველი), ილ. ჭავჭავაძე მისი ახალი პოემა „განდეგილი“, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
30. **ნასიძე 1898:** ნასიძე მ., თ. ილია ჭავჭავაძე – ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი, კრებულში: ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბილისი, 1957.
31. **ნიკოლაძე 1871:** ნიკოლაძე ნ., „საქართველო“, გაზ. „დროება“, 1871, № 26.
32. **ნიკოლაძე 1873:** ნ. სკანდელი [ნიკოლაძე ნ.], „ჩვენი მწერლობა: „გლახის ნაამბობზე“, ჟურნ. „კრებული“, 1873, № 5-6.

33. **ნიკოლაძე 1985:** ნიკოლაძე ნ., აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე, წიგნში: აკაკი წერეთელი რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1985.
34. **ნინიძე 2003:** ნინიძე მ., მამული, ენა, სარწმუნოება, საპატრიარქოს უწყებანი, N 30 (238) 1-7 აგვისტო, 2003.
35. **ნოდია 2009:** ნოდია გ., ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი, კრებულში ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007), ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
36. **პატარიძე 2005:** პატარიძე ლ., დისკუსია თემაზე „მამული, ენა, სარწმუნოება“, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005.
37. **ს. წკ. 1871:** ს. წკ., ბიბლიოგრაფია, „კრებული“, მეხუთე წიგნი, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
38. **სარაჯიშვილი 1879:** სარაჯიშვილი ალ., მწერლობა, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
39. **სიჭინავა 2000:** სიჭინავა ნ., ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და ქართული სალიტერატურო კრიტიკა, ჟურნ. „ბედი“, 2000, №6-7.
40. **ტაბიძე 2008:** ტაბიძე, ტ., ახალი ქართული ლიტერატურა: მეცხრამეტე საუკუნე-მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე: (მოკლე ნარკვევი), თბილისი, 2008.
41. **ფურცელაძე 1863ა:** ფურცელაძე ა., „ქართული ლიტერატურა – „საქართველოს მოამბე“, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, 1, თბილისი, 1954.
42. **ფურცელაძე 1863ბ:** ფურცელაძე ა., „ქართული ლიტერატურა“, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, 1, თბილისი, 1954.

43. **ფურცელაძე 1864:** ფურცელაძე ა., კაცია, ადამიანი მოთხრობა მ. ჯიმშერიძისა, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, ტ., I, თბილისი, 1954.
44. **ფურცელაძე 1872:** ფურცელაძე ა., საწალი კუდაბზიკა, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
45. **ღაღაბიძე 2005:** ღაღაბიძე მ., დისკუსია „მამული, ენა სარწმუნოება“, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005.
46. **ჩხარტიშვილი 2005:** ჩხარტიშვილი მ., დისკუსია თემაზე „მამული, ენა, სარწმუნოება“, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005.
47. **ჩხიკვაძე 1885:** ჩხიკვაძე რ., (ალისუბნელი), ჩვენს ლიტერატურაზე, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
48. **ცაგარელი 1870:** ცაგარელი ა., ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, ტ., II, თბილისი, 1956.
49. **წერეთელი 1865:** წერეთელი ა., რაოდენიმე სიტყვა ჩანგურის შესახებ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, ტ., I, თბილისი, 1954.
50. **წერეთელი 1894:** მაზაკველი [წერეთელი გ.], „მოამბე“, თვითური ჟურნალი, გაზ. „კვალი, 1894 # 6.
51. **ჭავჭავაძე 1914:** ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. 1, ტფილისი, 1914.
52. **ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი., თხზულებანი ოც ტომად, ტ. 5, თბილისი, 1991.
53. **ჭიჭინაძე 1985:** ჭიჭინაძე ზ., აკაკი, წიგნში: აკაკი წერეთელი რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1985.

54. **ჭრელაშვილი 1894:** ჭრელაშვილი ს., საბიბლიოგრაფიო წერილი, „ივერია“, 1894, # 10.
55. **ჭრელაშვილი 1957:** ჭრელაშვილი ს. მცირე შენიშვნა „ოთარაანთ ქვრივის“ გამო, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
56. **ჭუმბურიძე 1959:** ჭუმბურიძე ჯ. ილია ჭავჭავაძე ქართული პრესის შეფასებით (XIX ს-ის 70-იანი წ.წ.). – ჟურნ. „კრიტიკა“, 1987, № 5.
57. **ჭუმბურიძე 1966:** ჭუმბურიძე ჯ. ქართული კრიტიკის ისტორია, თბილისი, 1966.
58. **ხუნდაძე 1894 ა:** ხუნდაძე ს., მეფე დიმიტრი თავდადებული, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957.
59. **ხუნდაძე 1894 ბ:** ხუნდაძე ს., თ. ილ. ჭავჭავაძის ლექსები (ტ. 1, 1892), კრებულში: ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბილისი, 1957.
60. **ჯორჯაძე 1861:** ჯორჯაძე ბ., თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, 1, თბილისი, 1954.